# ქართლის ქალაქები რომაულ იმპერიულ და გვიან ანტიკურ ხანებში

# Iberian Cities in Roman Imperial Period and Late Antiquity

ირინე დემეტრაძე-რენცი
Irina Demetradze-Renz

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University
2022

წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი, საგრანტო ხელშეკრულება SP-21-200).

The book is published by the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (Scientific Publication Grants, Grant Agreement SP-21-200).

ტექსტის რედაქტორი:
ნატალია ვაჩეიშვილი

ფოტო ყდაზე:
ავრელიოს აქოლისის სამშენებლო წარწერა, ავტორის ფოტო
ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში
ავგუსტუსის რელიეფი, ავტორის ფოტო
ინახება რავენას ეროვნულ მუზეუმში

ISBN 978-9941-18-411-6

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5, თბილისი 0162, საქართველო

Ilia State University Press
3/5, K. Cholokashvili ave. Tbilisi 0161, Georgia

---

წიგნი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს **„პრინტჯეოს"** მიერ 2022

ვუძღვნი ჩემი ბებია-ბაბუების – თამარ კაპანაძის, ათინა მახარაძის,
ალექსანდრე მირცხულავასა და დავით დემეტრაძის
დაუვიწყარ ხსოვნას, რადგან მათ ვუმადლი, თუკი რამ კარგია ჩემში.

# შინაარსი


1. შესავალი 1
2. ისტორიული კონტექსტი 4
3. ქალაქი არმაზი – ქართლის პირველი დედაქალაქი 51
4. ქალაქი მცხეთა – სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ 104
5. ბოლოთქმა 140

ბიბლიოგრაფია 146

# ილუსტრაციების ჩამონათვალი


1. პონტოს სამეფო მითრიდატე VI ევპატორის დროს
https://commons.wikimedia.org/wiki/File:PonticKingdom.png
2. რომაული ახლო აღმოსავლეთი პირველ-მეორე საუკუნეებში
https://commons.wikimedia.org/wiki/File:Asia_Minor_in_the_2nd_century_AD_-general_map_-_Roman_provinces_under_Trajan_-_bleached_-_English_legend.jpg
3. კასპიის სამი კარი
4. ვესპასიანეს სამშენებლო წარწერა
ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.
5. XII ლეგიონი ფულმინატას დამღა
წყარო: სადიგოვა, ლ. რომაელების მიერ გაკეთებული წარწერები გობუსტანში.
6. შაბურ I-ის რელიეფი ნაქში-რუსტემიდან
https://en.wikipedia.org/wiki/File:Naghsh-e_rostam,_Irán,_2016-09-24,_DD_12.jpg
7. არმაზის ნაქალაქარი, ხედი დასავლეთით
8. ქვების ურთიერთჩამკეტი წყობა არმაზის კედლებში, ხედი ჩრდილოეთით, აფაქიძე 1963 მიხედვით
9. არმაზის კედლები, აფაქიძე 1963 მიხედვით
10. არმაზის კედლები, ხედი დასავლეთით, გზა კედლების წინ, სამაგრის ბუდეები
11. ტიეშებაინისა და ერებუნის კედლები
12. უფლისციხის კედლები, ხედი დასავლეთითა და სამხრეთით
13. ორი სამშენებლო დონე არმაზის ცისტერნაში, ხედი დასავლეთით, სამაგრის ბუდე
14. არმაზის სვეტებიანი დარბაზი, ხედი ჩრდილოეთით, ფოსოები
15. პართული მოცეკვავე ფიგურები არმაზი და მელე ჰაირამიდან
არმაზის ფიგურა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.
16. არმაზის ალიზის აგურის სახლები, ხედი ჩრდილოეთითა და დასავლეთით
17. არმაზის ცისტერნა, ხედი სამხრეთით, ფსევდო რეტიკულატუმი დასავლეთის კედელზე

18. ამფიპოლისის რომაული ცისტერნა, საბერძნეთი, ხედი აღმოსავლეთით

19. არმაზის აბანოები

20. რადიალური თაღები არმაზის არქიტექტურაში

21. აბსიდებიანი ტაძრის პედესტალი
ინახება მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმში.

22. პერგამონის ასკლეპეიონის სატაძრო კომპლექსის სამედიცინო დაწესებულება და არმაზის აბსიდებიანი ტაძარი

23. ეპიდავროსის თოლოსის დეკორაცია და არმაზის ლომისთავიანი ანტაბლემენტი
არმაზის ლომისთავიანი ანტაბლემენტი ინახება მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმში.

24. გრიფონის გარსაკრავები ქართლიდან და გრიფონის ფეხი ირანიდან
არმაზის გრიფონის გარსაკრავები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.
https://www.metmuseum.org/art/collection/search/452270

25. ვერცხლის თასები არმაზი და კართაგენიდან
არმაზის ვერცხლის თასი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.
https://www.britishmuseum.org/collection/object/H_AF-3276

26. არმაზციხე
გ. მაღრაძის ფოტო.

27. მცხეთის არქეოლოგიური უბნები

28. სვეტიცხოვლის არქეოლოგიური უბანი

29. მუზების გამოსახულებები ვერცხლის ნივთებზე, პენალი არმაზიდან, სურა კურსკიდან, კოლოფი რომიდან
პენალი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.
https://www.britishmuseum.org/collection/object/H_1866-1229-2

30. უცხოური და ადგილობრივი სახელობითი საბეჭდავი-ბეჭდები
ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

31. რომაული ვერცხლის კოვზები
ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

32. სახლების რიგი სვეტიცხოვლის გალავანთან
გ. ყიფიანის ფოტო.

33. კომპოზიტი ორდერი სვეტიცხოვლის ეზოდან
ინახება მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმში.

34. ზებრისციხე

#### მადლობა

უპირველეს ყოვლისა დიდ მადლობას მოვახსენებ შოთა რუსთაველის საქართველოს  ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რადგან ამ ფონდიდან მიღებული საგამომცემლო გრანტით დაიბეჭდა ეს წიგნი.

წიგნის ცალკეული მონაკვეთების ადრინდელი ვერსიის წაკითხვისა და მნიშვნელოვანი კომენტარებისთვის მადლობელი ვარ ჩემი კოლეგა-მეგობრების: ქალბატონ ქეთევან კურცხალიასი, დოქტორ დავით ხოშტარიასი და პროფესორ რამაზ ქურდაძის.

დაბოლოს, მადლობას ვუხდი ქალბატონ ლელა ქომეთიანს წიგნის ყდის დიზაინის შესრულებისთვის.

# შესავალი

ადამიანის მიწაზე დამკვიდრების შემდგომ სივრცე, ადგილი, ტერიტორია დასახლებად გარდაიქმნა. ბუნებრივი ლანდშაფტი კულ-ტურული გახდა და დასახლების კონცეფციაც წარმოიშვა. დროთა გან-მავლობაში დასახლებები ფუნქციურად განვითარდა და სოციალური შინაარსი შეიძინა. ყოველივე ამან ურბანიზაციის პროცესების ჩასახვა და განვითარება განაპირობა.

ქალაქების წარმოშობა-განვითარების კვლევას საუკუნოვანი ისტო-რია აქვს. ჩვენს ქვეყანაში ქალაქების არქეოლოგიური და ისტორიული შესწავლა მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყო. ის უკავშირდება რუსე-თის იმპერიის მიერ კავკასიის სამხედრო გზის მშენებლობას, რამაც სამთავროს ველზე, თანამედროვე მცხეთაში, შემთხვევით გამოავლინა არქეოლოგიური ძეგლები. ამას ავსტრიელი ნატურალისტისა და არქეოლოგის ფრიდრიხ ბაიერნის მიერ არქეოლოგიური კამპანიის წამოწყება და სამთავროს სამაროვნის აღმოჩენა მოჰყვა. მომდევნო არქეოლოგიური გათხრები არმაზის ნაქალაქარზე ჩატარდა ნიკო მარის სტუდენტის, დავით ქუთათელაძის მიერ. გამოვლინდა ქალაქის ფორტიფიკაცია და ცისტერნა. ფაქტობრივად, ამ გათხრების დროს ჩაე-ყარა საფუძველი საქართველოს არქეოლოგიას.

არმაზისა და მცხეთის არქეოლოგიური თუ ისტორიული კვლევის ინტერესი დღემდე, 21-ე საუკუნის 20-იან წლებამდე, არ განელებულა. ადგილობრივი და უცხოელი მკვლევრები იძიებდნენ და სწავლობდნენ ამ ქალაქებთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ თუ ისტორიულ წყა-როებს. მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა წამოჭრილი და შესწავ-ლილი, მრავალი შეუსწავლელი დარჩა, მრავალი კი გადააზრებასა და ახლებურ გაშუქებას მოითხოვს.

წიგნში წარმოდგენილია ქართლში მიმდინარე ურბანიზაციის პროცესების პირველადი კონტექსტის განხილვა რომაულ-ქართლური ურთიერთობების ფონზე. ახლებურად არის გაშუქებული ქართლის პირველი ორი დედაქალაქის – არმაზისა და მცხეთის წარმოშობა-განვითარების საკითხები რომაულ იმპერიულ და გვიან ანტიკურ ხანებში. ეს ქალაქები ქართლის პოლიტიკური ძალაუფლებისა და

რელიგიური კონფესიების ცენტრები იყო აღნიშნულ პერიოდებში. სწორედ, ამიტომ, იჩინა აქ თავი მრავალმა სოციალურმა, ურბანულმა, პოლიტიკურმა თუ რელიგიურმა პროცესმა. ქართლის ქალაქების წარმოშობა-განვითარებაზე ახ.წ. პირველ-მეხუთე საუკუნეებში რომაულმა ურბანიზაციამ მოახდინა გავლენა. ურბანიზაცია რომის ექსპანსიური პოლიტიკის ნაწილი იყო. რომაელი მაღალჩინოსნები ხელს უწყობდნენ პროვინციებში სოციალური და ურბანული სტრუქტურების ჩამოყალიბებას, ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებას, რადგან ეს იმპერიის მართვის ორგანიზაციას აადვილებდა. ამ პოლიტიკის გამოძახილი ქართლის სამეფოსაც მისწვდა, რომელიც არასდროს ყოფილა რომის იმპერიის ფარგლებში, თუმცა რომის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. რომაული გავლენა ქართლის ქალაქების მეხსიერებაში შემორჩა და მათ სოციალურ კონტექსტში გამოვლინდა.

ეს საკითხები უგულებელყოფილი და, შესაბამისად, ნაკლებად შესწავლილი იყო ქართულ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიასა და არქეოლოგიაში. ქართველი ისტორიკოსები და არქეოლოგები რომისა და ქართლის ურთიერთობებში ქართლის უპირატესობას აღნიშნავდნენ. ისინი ქართლის სამეფოს რომის იმპერიის ძლიერ, გავლენიან და საიმედო პარტნიორად ხედავდნენ, რომელსაც რომი მეტად აფასებდა. ამგვარი შეხედულებები, ძირითადად, რომაული იმპერიული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული წყაროების არასწორ გაგებასა და ინტერპრეტაციას ეყრდნობოდა, რასაც, თავის მხრივ, ნაციონალისტური იდეებიც ასაზრდოებდა.

ქართლის სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული კონტაქტები რომთან და რომაულ ახლო აღმოსავლეთთან ისტორიული წყაროებითა და არქეოლოგიური მასალით დასტურდება. რომაული აღმოსავლეთი ბერძნულენოვანი იყო, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა ლათინურენოვანი დასავლეთისგან. სწორედ ამით აიხსნება ქართლში უფრო მეტი ბერძნული ტექსტის არსებობა, ვიდრე ლათინურისა.

აღსანიშნავია, რომ ქართლის ახლო აღმოსავლეთთან კულტურულ კავშირს ნეოლითური ხანიდან ეყრება საფუძველი. ახლო აღმოსავლეთი ფართო გეოგრაფიული ცნებაა, რომლის არეალშიც, წინა და მცირე

აზიასთან და სხვა რეგიონებთან ერთად, სამხრეთ კავკასიაც მოიაზრება. ამიტომ, წიგნის თემატიკა კავკასიის რეგიონის გეოგრაფიულ საზღვრებს სცდება.

წიგნში წარმოდგენილი კულტურული პერიოდები და ქრონოლოგიური ჩარჩოები თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში მიღებულ პერიოდიზაციას შეესაბამება. პირველი-მესამე საუკუნეები რომაული იმპერიული პერიოდით განისაზღვრა, მეოთხე საუკუნის დასაწყისი-მეშვიდეს ბოლო, ადგილობრივი ისტორიულ-არქეოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, მეტ-ნაკლებად მიესადაგა პიტერ ბრაუნის (ბრაუნი 1971) მიერ გამოყოფილ გვიან ანტიკურ ხანას (ვარდ-ფერქინსი 2006, 3-5), ხოლო მერვე-მეთერთმეტე შუა საუკუნეებს განეკუთვნა.

რაც შეეხება გეოგრაფიულ და ეთნიკურ საკუთარ სახელებს, გამოყენებულია ადგილობრივი ტერმინები და ასევე ეგზონიმები, მაგალითად, ქართლი, ქართლელები, იბერია, იბერიელები, სომხეთი, სომხები, არმენია და არმენიელები.

წიგნში განხილული და შეჯამებულია სხვადასხვა სახის მონაცემები – არქეოლოგიური და პალინოლოგიური მასალა, ისტორიული წყაროები, გეოგრაფიული მონაცემები. გამოყენებულია ისტორიული, ტოპოგრაფიული და აერორუკები.

წიგნს საფუძვლად დაედო ჩემი სადოქტორო დისერტაცია „იბერიის კულტურული ლანდშაფტები: ნამოსახლართა მოდელები „მცხეთის ქვეყანაში" ძვ.წ. პირველ-ახ.წ. მესამე საუკუნეებში" და ორი სტატია – "Roman Urbanism in Caucasian Iberia: New Look at the City of Armazi" და "Defining urban space: The archaeology and topography of Mtskheta". პირველი სტატია გამოქვეყნდა ჟურნალში "Ancient West and East", ხოლო მეორე პროფესორ გოჩა ცეცხლაძისადმი მიძღვნილ კრებულში "Connecting the Ancient West and East".

ვფიქრობ, ეს წიგნი დააინტერესებს როგორც სამეცნიერო, ასევე არასამეცნიერო საზოგადოებას და გაამდიდრებს ქართლის ქალაქების შესახებ არსებულ ცოდნას. ასევე ხელს შეუწყობს ახალი საკვლევი საკითხების გაჩენასა და მათ შესწავლას.

# ისტორიული კონტექსტი

რომის რესპუბლიკასა და ქართლის სამეფოს შორის ურთიერთობები, რესპუბლიკის ხანის მიწურულს, რომის სამხედრო ინტერვენციითა და ქართლის დაპყრობით დაიწყო. იმპერიულ პერიოდში, ახ. წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევრიდან მესამე საუკუნის პირველ ნახევრამდე, რომსა და ქართლს შორის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტები განვითარდა, რომელიც თანდათანობით კლიენტელიზმში გადაიზარდა. ყოველივე ამის წინაპირობა მითრიდატული ომი (bellum Mithridaticum) იყო, რომელიც რომის რესპუბლიკასა (ძვ. წ. 509-27 წ.წ.) და პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორს (ძვ. წ. 120-63 წ.წ.) შორის ძვ. წ. პირველი საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა. საომარი კონფლიქტი მითრიდატეს ამბიციების ზრდამ, ტერიტორიული გაფართოებისა და მცირე აზიაში რომის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების დაპყრობის სურვილმა გამოიწვია. ამის გამო, მცირე აზიის რეგიონი თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ომმა მოიცვა. ომი, ნაწილობრივ, ამიერკავკასიასა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებსაც შეეხო და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

მითრიდატული ომი ძვ. წ. 89/88 წ. დაიწყო, როდესაც პონტოს მეფემ რომის მფარველობის ქვეშ მყოფი მცირე აზიის დასავლეთი ნაწილი დაიკავა, ბითინიის ჩათვლით. ომი ხანმოკლე თუ ხანგრძლივი ინტერვალებით (ძვ.წ. 89/88-85 წ.წ.; ძვ.წ. 83-82 წ.წ.; ძვ.წ. 73-63 წ.წ.) ძვ.წ. 63 წლამდე მიმდინარეობდა და სამი მითრიდატული ომის სახელით ან მითრიდატული ომის სამი ფაზით არის ცნობილი. ამ ხნის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში მითრიდატე რომის მთავარი მეტოქე იყო.

პონტოს სამეფოსა და რომის რესპუბლიკას შორის საომარ დაპირისპირებაში არმენიაც ჩაერთო, რომელიც ამ პერიოდში, წინა და მცირე აზიაში პონტოს სამეფოს შემდეგ, სიძლიერით მეორე ძალას წარმოადგენდა (აპიანე, რომის ისტორია, 12; ჰაინდი 2006, 144; შერვინვაითი 2006, 229-255; სარტრი 2007, 28). გარდა ამისა, არმენიის მეფე ტიგრან II (ძვ.წ. 95-55 წ.წ. იგივე ტიგრან დიდი) მითრიდატეს სიძე გახლდათ. მას ცოლად ჰყავდა მითრიდატეს ქალიშვილი კლეოპატრა პონტოელი (ჰაინდი 2006, 142).




1. პონტოს სამეფო მითრიდატე VI ევპატორის დროს

ომში არ ჩაბმულა პართია, რადგანაც პართია რომთან დაპირისპირებაზე მეტად, პონტოსა და არმენიის დასუსტებით იყო დაინტერესებული. არმენიას პართიის მიწები ჰქონდა მიტაცებული. ტიგრან II-მ მითრიდატე II-ის (ძვ.წ. 124-91 წ.წ.) გარდაცვალებისა და იმპერიის შესუსტების შემდგომ ჩრდილო-დასავლეთ პართიის მნიშვნელოვანი ნაწილი არმენიას მიუერთა (შერვინ-ვაითი 2006, 238).

მითრიდატული ომის მესამე, ფინალური ფაზის დაწყების უშუალო მიზეზი რომის მიერ ბითინიის ანექსია იყო. ამას დაერთო სენატში წამოჭრილი აზრი, თითქოსდა ძვ.წ. 82 წ. მითრიდატესთან ომი ჯერაც არ იყო დასრულებული და საჭირო იყო საბოლოო გამარჯვების მოპოვება. რომის სენატმა ომის გაგრძელება და სარდლობა კონსულ ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსს (ძვ.წ. 88-57/56 წ.წ.) დაავალა.

რომაელი ლეგიონები და მითრიდატეს ჯარები ბითინიაში შეეჯახნენ ერთმანეთს. პირველი საზღვაო ბრძოლა ძვ.წ. 73 წ. ქალაქ ქალკედონ-თან გაიმართა. რომაელებს კონსული კოტა მეთაურობდა. ეს ბრძოლა მითრიდატეს გამარჯვებით დასრულდა. მან რომაელების ფლოტი გაანადგურა. მომდევნო ბრძოლები კი რომაელების უპირატესობით წარიმართა. რომაელებმა მითრიდატე ბითინიიდან გააძევეს ძვ.წ. 72-71 წ.წ. და ლუკულუსის ლეგიონებმა პონტოს სამეფო დაიკავეს. მითრიდატე იძულებული გახდა არმენიისკენ დაეხია და ტიგრანთან შეეფარებინა თავი. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე ტიგრანი ყველაზე ძლევამოსილი მმართველი იყო ევფრატის შუა წელს ზემოთ. ძვ.წ. 82 წ. მან დასუსტებული სელევკიდები გააძევა ჩრდილოეთ სირიიდან და კილიკიის დაბლობებიდან. თავისი ძალაუფლება გაავრცელა ამ რეგიონებში და მეფეთ მეფის ტიტული დაიმკვიდრა. ტიგრანი მანამდე არასდროს შეხვედრია რომაელებს და არ იცნობდა მათ. როდესაც ლუკულუსმა დესპანი, აპიუს კლავდიუსი გაუგზავნა მითრიდატეს გადაცემის მოთხოვნით, ტიგრანმა იგი აღმოსავლეთის კარისთვის დამახასიათებელი პატივით მიიღო. აპიუსს მეფისადმი პატივისცემა არ გამოუხატავს. მან უხეში რომაელივით პირდაპირ მითრიდატეს გადაცემა ითხოვა ლუკულუსის ტრიუმფის დასაგვირგვინებლად. თანაც დააყოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რომაელები ომს გამოგიცხადებ-თო. ტიგრანმა არ გაწირა მითრიდატე და აპიუსს განუცხადა, მზად ვარ რომაელების შეტევისთვისო. ტიგრანმა, მართლაც, დაიწყო საომარი სამზადისი, რამაც ძალზე გააკვირვა ლუკულუსი (შერვინ-ვაითი 2006, 233-239).

ძვ.წ. 69 წ. ლუკულუსი არმენიაში შეიჭრა, მიუხედავად იმისა, რომ მას სენატის სრული ლეგიტიმური მხარდაჭერა არ ჰქონია. მისი სამიზნე არმენიის მეფე ტიგრან II და მისი ახალი სატახტო ქალაქი ტიგრანოკერტა იყო. მისმა ლეგიონერებმა ტიგრანოკერტაზე იერიში მიიტანეს. ტიგრან-მა პართიის მეფე ფრაატე III-ს (ძვ.წ. 69-57 წ.წ.) სთხოვა დახმარება. ფრაატემ უარით უპასუხა. ძვ.წ. 69 წ. რომაელებმა ტიგრანოკერტა დაიპ-ყრეს და მიწასთან გაასწორეს. ძვ.წ. 68 წ. კი ჩრდილოეთ არმენიაში შეიჭრნენ და არმენიის ჩრდილოეთ დედაქალაქისკენ, არტაშატასკენ

აიღეს გეზი. უამინდობისა და სიცივის გამო ლუკულუსმა ვერ მიაღწია ქალაქამდე. იგი შუა გზაში სამხრეთისკენ მიტრიალდა, გადაიარა ანტიტავროსი და ტიგროსის ნაპირებს მიადგა, სადაც კარგად გამაგრებული ქალაქი ნისიბისი უეცარი შეტევით აიღო (შერვინ-ვაითი 2006, 240-243). ამ სამხედრო ოპერაციების შედეგად, ლუკულუსმა არმენიის ქვეშევრდომობიდან გაათავისუფლა სოფენე და სირია. სირიაში კი სელევკიდები დააბრუნა (სარტრი 2007, 35-36).

ძვ.წ. 68 წლის ბოლოს ლუკულუსისთვის სიტუაცია გაუარესდა პონტოში. მითრიდატე VI-მ ძალა მოიკრიბა, პონტოში შეიჭრა და ძვ.წ. 67 წ. ქალაქ ზელასთან მრავალრიცხოვანი რომაული ჯარი დაამარცხა. ლუკულუსმა პონტოდან გალატეაში გადაინაცვლა. მითრიდატემ პონტოს სამეფო დაიკავა, ტიგრანმა კი – კაბადოკია. რომის სენატმა ლუკულუსი ორი კონსულით – მარციუს რექსითა და აცილიუს გლაბრიოთი ჩაანაცვლა და ახალი ლეგიონები დაახმარა მათ (შერვინ-ვაითი 2006, 243-244, 249). რომაელებისთვის საომარ სიტუაციას მეკობრეების მოულოდნელი თავდასხმები ართულებდა. მითრიდატე მეკობრეებთან კარგ დამოკიდებულებაში და ამიტომ, გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა. ამ დროს ახლო აღმოსავლეთის სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე რომაელი გენერალი და კონსული გნეუს პომპეუსი გამოდის.

ძვ.წ. 67 წ. სენატმა Lex Gabinia-ს (გაბინიუსის კანონი) საფუძველზე პომპეუსი (ძვ.წ. 70-48 წ.წ.) ხმელთაშუაზღვისპირეთში გაძლიერებულ მეკობრეობასთან საბრძოლველად აზიაში მიავლინა. ძვ.წ. 66 წ. პომპეუსმა მეკობრეები წარმატებით დაამარცხა, ამიტომ სენატმა იმავე წელს, Lex Manilia-ს (მანილიუსის კანონი)[1] საფუძველზე პროკონსულ იმპერიუმის განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა მას და მცირე აზიაში საომარი კამპანიების წარმოება და პონტოს საკითხის მოგვარებაც დაავალა (შერვინ-ვაითი 2006, 249-250).

პომპეუსი უმალვე შეუდგა მიცემული დავალების შესრულებას. მან დაიწყო სახმელეთო შეტაკებებისთვის მზადება. თავი მოუყარა რომის

1 ეს კანონები ტრიბუნებმა აულიუს გაბინიუსმა და გაიუს მანილიუსმა წარადგინეს და დაამტკიცეს სენატში. ამიტომაც ეწოდა მათი სახელები.

აზიის პროვინციაში არსებულ ლეგიონერებს. დადო ხელშეკრულება ფრაატე III-სთან, რომელმაც ტიგრანს აღმოსავლეთიდან შეუტია. ამასობაში მითრიდატემ მცირე არმენიაში მრავალრიცხოვანი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი შეკრიბა. პომპეუსი მათ ღამით, მოულოდნელად დაესხა თავს და მითრიდატეს ჯარი სასტიკად დაამარცხა. გამარჯვების აღსანიშნავად პომპეუსმა ქალაქი ნიკოპოლისი დააარსა. მითრიდატემ ქალაქ სინორას შეაფარა თავი, სადაც მოგვიანებით ტიგრანის ღალატი შეიტყო. პომპეუსმა კი ევფრატისა და არაქსის ველები გადაკვეთა და არტაშატას მიადგა. ტიგრანმა, ნიშნად მორჩილებისა, თავისი ოქროს გვირგვინი ფეხებთან დაუდო პომპეუსს. პომპეუსმა ტიგრანს სამეფოს უდიდესი, აღმოსავლეთი ნაწილი ჩამოართვა, ხოლო დანარჩენი მის მმართველობაში დატოვა. არმენიამ „რომისა და მისი ხალხის მეგობარი" ქვეყნის სტატუსი მიიღო (შერვი-ვაითი 2006, 251-253). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არმენია რომის კლიენტი ქვეყანა გახდა, ხოლო ტიგრანი მისი კლიენტი მეფე.

ამასობაში მითრიდატე მცირე მხლებლებით ჩრდილოეთ არმენიის გავლით კოლხეთის ჩრდილოეთ სანაპიროსკენ გაიქცა. ჩრდილოეთ არმენიაში მას საგანძურის საცავი ჰქონდა, საიდანაც მონეტების საკმაო რაოდენობა წაიღო თან და კარგად გამაგრებულ დიოსკურიაში გაატარა ზამთარი. გაზაფხულზე კი კავკასიის მთები გადალახა, გადაჭრა აზოვის ზღვა და ძვ.წ. 65 წლის ზაფხულში უკანასკნელ ფორპოსტს მიაშურა ყირიმის ბოსფორში, სადაც მისი ვერაგი შვილი მაჩარე იმყოფებოდა (შერვინ-ვაითი 2006, 252-254).

პომპეუსმა ჯერ ტიგრანთან დაალაგა ურთიერთობები და მხოლოდ შემდეგ დაედევნა მითრიდატეს. მან არმენიიდან კოლხეთისკენ გასწია. გზად კავკასიის მთებთან მოსახლე ალბანელებისა და იბერიელების ტერიტორიებზე უნდა გაევლო. ალბანელებმა პომპეუსს თავიანთ ტერიტორიაზე უფასო გავლის უფლება მისცეს. თუმცა, შემდეგ პირობა გატეხეს და თავს დაესხნენ რომაელების ჯარს. პომპეუსმა ალბანელთა თავდასხმა მოიგერია, შეტევაზე გადავიდა და გაიმარჯვა. ალბანეთის მეფემ პომპეუსს შესარიგებლად ელჩები გაუგზავნა. პომპეუსი ალბანელებთან დაზავდა, შემდეგ კი იბერიელებს

შეუტია. იბერიელები ალბანელებზე უფრო მტრულად იყვნენ განწყობილნი. მათ რომაელთა დამარცხება და ამით მითრიდატესთვის სამსახურის გაწევა სურდათ. იბერიელები არც მიდიელებს და არც სპარსელებს არ ექვემდებარებოდნენ (პლუტარქე, პომპეუსი, 34, 1, 2, 3, 4, 5). თუმცა, პომპეუსის ლაშქრობებამდე, იბერიის გარკვეული ნაწილი ტიგრან II-ს ჰქონდა დაპყრობილი. ეს ის ადგილები უნდა ყოფილიყო, საიდაც მდინარე მტკვარი არმენიიდან იბერიაში მიედინება. სავარაუდოდ, ტიგრანი იბერიელებისა და ალბანელების სუზერენი იყო, რადგანაც ამ ხალხების ჯარები ტიგრანოკერტას დასაცავად იბრძოდნენ. ქართლელების კავალერია ძლიერებითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა (იხ. შერვინ-ვაითი 1984, 196 ლიტერატურით).

პომპეუსმა დიდი ბრძოლა გადაიხადა იბერიელების წინააღმდეგ (პლუტარქე, პომპეუსი, 34, 5). ძვ.წ. 65 წ. (ლუციუს კოტასა და ლუციუს ტორკვატუსის კონსულობის დრო) პომპეუსმა ქართლის სატახტო ქალაქი არმაზი აიღო, რომელიც მდინარე მტკვარზე მდებარეობდა. ქართლის მეფე არტოკე[2] ქალაქიდან გაიქცა და მტკვარზე გადასასვლელი ხიდი დაწვა. პომპეუსი არმაზში გამაგრდა. მტკვრის ის ნაპირი, რომელზეც ქალაქი იყო განლაგებული მთლიანად დაიკავა და გზების გამგებელი გახდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაედევნა არტოკეს. არმაზში კი ზურგის გასამაგრებლად ჯარის განაყოფი დატოვა. როდესაც პომპეუსმა მტკვარზე გადასვლა დააპირა, არტოკემ დაზავება ითხოვა. მან ხიდის აღდგენა და რომაელი ჯარისკაცების სურსათით მომარაგება იკისრა, მაგრამ, როდესაც რომაელები მტკვრის მეორე მხარეს დაინახა, შეშინდა და ისევ გაიქცა. ამჯერად, მისი დომენის მეორე მდინარე, პელორუსი (არაგვი) გადაკვეთა და ისევ დაწვა ხიდი. არტოკეს მხლებლების უმრავლესობა ბრძოლაში დაიხოცა, ნაწილი კი მდინარემ წაიღო. გადარჩენილები ტყეებში მიიმალნენ, შემდეგ ხეებზე აძვრნენ და ზემოდან დაიწყეს ისრების სროლა. რომაელები ხეების მოჭრას შეუდგნენ და ამგვარად, საბოლოოდ დაამარცხეს იბერიელები. არტოკემ პომპეუსს ისევ გაუგზავნა ელჩები და ძღვენი. პომპეუსმა ძღვენი მიიღო, მაგრამ დაზავებაზე უარი განაცხადა. მან არტოკეს შვილები მოითხოვა მძევლებად. არტოკე დროს

2 ქართული წყაროების არტაგი.

ზაფხულამდე, პელორუსის წყლის დაწევამდე წელავდა. როდესაც წყალმა დაიწია და რომაელებმა მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა შეძლეს, არტოკემ შვილები მძევლებად გაუგზავნა პომპეუსს და ზავიც დაიდო (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 37, 1-2).

პომპეუსმა შეიტყო, რომ იბერიიდან მდინარე ფაზისი არც ისე შორს იყო. იგი მდინარეს ჩაყვა და კოლხეთში ჩავიდა. პომპეუსმა კოლხეთშიც წარმატებით ილაშქრა. დაიმორჩილა კოლხები და მათი მეზობელი ტომები. იგი ხან სამხედრო ძალას იყენებდა, ხან მოლაპარაკებებს მიმართავდა (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 37, 3). ფაზისის პორტთან იგი პონტოს (ევქსინი) ფლოტის მეთაურს, სერვილიუსს, შეხვდა (პლუტარქე, პომპეუსი 34, 5). გემით კოლხეთში მგზავრობა პრობლემური იყო ნავსადგურების ნაკლებობისა და აგრესიული ადგილობრივი ტომების გამო, რომლებიც გემებს თავს ესხმოდნენ. პომპეუსი თავად არ დადევნებია მითრიდატეს. მან სერვილიუსს დაავალა მითრიდატესთვის საზღვაო და სასურსათო გზის გადაკეტვა და დასძინა, რომ მითრიდატეს რომაულ არმიაზე უარეს მტერს, შიმშილს აზვედრებდა. თავად კი სიტუაციის დასალაგებლად, ალბანელებსა და სომხებს მიუბრუნდა (დიო კასიუსი, რომის ისტორია 37, 3, 5; შერვინ-ვაითი 2006, 255-257).

მითრიდატემ ბოსფორში ჯარის შეკრება ვერ მოახერხა, რადგანაც მისმა ვაჟმა, ფარნაკემ ჯარისკაცები აუჯანყა. ასე რომ მითრიდატეს უკანასკნელი საბრძოლო რესურსიც ამოეწურა. მას არ სურდა პომპეუსს ჩავარდნოდა ტყვედ და დამცირებულს გაევლო რომის ტრიუმფალურ მსვლელობაში. ამიტომ, თავის ერთგულ მეომარს, გალ ბითუითუსს სთხოვა ხმლით მოეკლა. ძვ.წ. 63 წ. პანტიკაპეიონის სიმაგრეში მითრიდატე ევპატორმა სიცოცხლე დაასრულა (აპიანე, რომის ისტორია, 12, 17, 112; ჰეიტე 2009, 121-122).

ჯერ კიდევ მითრიდატეს საბოლოოდ დამარცხებამდე, ძვ.წ. 64 წ. პომპეუსმა პონტოს სამეფო გააუქმა. შეუერთა ბითინიას და შექმნა ბითინიისა და პონტოს რომაული პროვინცია. ძვ.წ. 64 წელსვე შეიჭრა სირიაში და მისი ანექსია მოახდინა (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 37, 15; შერვინ-ვაითი 2006, 258-260; სარტრი 2007, 37-40).

პომპეუსის საომარმა კამპანიებმა რომის საზღვრები აღმოსავლე-

თით მნიშვნელოვნად გააფართოვა, რამაც მანამდე წინა და მცირე აზიაში არსებული სამეფოების კონფიგურაცია სრულიად შეცვალა. პონტოსა და არმენიის დაქსაქსვის შემდეგ, პომპეუსმა მითრიდატესა და ტიგრანის მიერ დაპყრობილი სამეფოები დაუბრუნა ძველ მონარქებს ან მათ მემკვიდრეებს. პომპეუსი მათ სამფლობელოებს უფართოებდა, სანაცვლოდ კი ფულსა და ძვირფას საჩუქრებს იღებდა. პომპეუსმა ახალი საგადასახადო სისტემაც შექმნა და წინა და მცირე აზიის რეგიონში დაამკვიდრა (შერვინ-უაითი 2006, 266-270). ამგვარად შექმნა კლიენტი სამეფოების ქსელი, რომელთა რიცხვში იყო: კაბადოკია (არიობარზანე I ძვ.წ. 95-63/62 წ.წ.); არმენია (ტიგრანი II ძვ.წ. 95-55 წ.წ.); სოფენე (ტიგრან უმცროსი ძვ.წ. 66 წ.); ოსროენე (აბგარ II ძვ.წ. 68-53 წ.წ.); კომაგენე (ანტიოქოს I ძვ.წ. 70-31 წ.წ.) და სხვა (აპიანე, რომის ისტორია, 12.23.114). შავიზღვისპირეთის რომის კლიენტი სამეფოები გახდნენ ყირიმის ბოსფორი, რომელსაც მითრიდატეს გარდაცვალებისთანავე, ძვ.წ. 63 წლიდან, მისი შვილი ფარნაკე მართავდა (შერვინ-უაითი 2006, 269) და კოლხეთი, რომელიც მანამდე მითრიდატეს სამფლობელოში შედიოდა. კოლხეთის გამგებელი, სავარაუდოდ, ადგილობრივი არისტარხე იყო, რომელმაც თავის სახელზე მონეტის მოჭრაც კი მოასწრო (კაპანაძე 1969, 41-42; ცეცხლაძე 1993, 233-256, პატარიძე 2019, 83-86).

პომპეუსმა ოსტატურად მოახერხა კლიენტი სამეფოებისგან რომსა და პართიას შორის ბუფერული ზონის შექმნა. პართიასთან მოლაპარაკებების შედეგად მდინარე ევფრატი რომაულ აღმოსავლეთსა და პართიას შორის სასაზღვრო ზოლად აქცია (მომზენი 1908, 434; შერვინ-უაითი 2006, 263).

აზიის ლაშქრობების შემდეგ პომპეუსი ძლევამოსილი და გამდიდრებული დაბრუნდა იტალიაში. მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა რომის ხაზინაც. ძვ.წ. 61 წ. პომპეუსის მესამე ტრიუმფალურმა მსვლელობამ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი მის ძლევამოსილებას. რომში მსვლელობა ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ყველა წინამორბედი მსვლელობა დაჩრდილა. პომპეზურ პროცესიაში აღმოსავლეთის მრავალმა ხალხებმა მიიღეს მონაწილეობა: პონტოელებმა, არმენიელებმა, კაბადოკიელებმა, კილიკიელებმა, სირიის ხალხებმა,

ალბანებმა, ჰენიოხებმა, აქაველებმა, სკვითებმა და აღმოსავლეთ იბერიელებმა. პროცესიაში დიდძალი ქონებით დატვირთული და დაპყრობილ მეფეთა ინსიგნიებით დამშვენებული ეტლები ჩაატარეს, რომელთაც ტყვეები და დატყვევებული მეკობრეები მიჰყვებოდნენ. ტყვეებს არ ედოთ ბორკილები. ისინი თავიანთ ნაციონალურ სამოსში იყვნენ ჩაცმულნი. თავად პომპეუსი დაპყრობილი ქვეყნების მეფეებს, მათი ოჯახის წევრებსა და ბელადებს მიუძღოდა წინ, ვითომდა ალექსანდრე მაკედონელის მოსასხამში გამოწყობილი. დიდგვაროვან ტყვეთა რიცხვში იყვნენ ტიგრან უმცროსი, ტიგრან II-ის შვილი, მითრიდატე ევპატორის ვაჟები და ქალიშვილები, კოლხების ბელადი ოლთაკე, ებრაელთა მეფე არისტობულოსი, იბერთა სამი და ალბანთა ორი ბელადი, სკვითების ქალი მმართველები და სხვა. მათ პომპეუსის ლეგიონერები მიყვებოდნენ უკან. პროცესიაში, ასევე, მიჰქონდათ წარწერები, სადაც პომპეუსის მიერ ჩადენილი საგმირო საქმეების სია იყო წარმოდგენილი, მაგალითად, თუ რამდენი გემი დაიპყრო, რამდენი ქალაქი ააშენა და რამდენი მეფე შეიპყრო. დაპყრობილ მეფეთა ჩამონათვალში იყვნენ: ტიგრან არმენიელი, არტოკე იბერიელი, ოროეზე ალბანელი და სხვა (აპიანე, რომის ისტორია, 12. 24; ვაისმენი 2006, 364-365).

მიუხედავად პომპეუსის ძლევამოსილებისა და გავლენისა, სენატმა ორი წლის განმავლობაში არ გააკეთა პომპეუსის აღმოსავლეთის კამპანიების მონაპოვრის რატიფიცირება. ამის გამო პომპეუსი მისი ვეტერანი ლეგიონერების მიწაზე დასახლების საკითხს ვერ აგვარებდა. ამ გარემოებით ძლიერ უკმაყოფილო პომპეუსმა ძვ.წ. 60 წ. შეკრა ალიანსი, რომის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და გავლენიან მოქალაქესთან, მარკუს ლიცინიუს კრასუსთან, რომელიც ამავე დროს სპარტაკის აჯანყების ჩამხშობი იყო. ალიანსში კრასუსის პროტეჟე იულიუს კეისარიც გაწევრიანდა. ალიანსის სამივე წევრს თავისი პოლიტიკური ინტერესი და ანგარება ამოძრავებდა. ალიანსი მალევე გახდა რომის წარმმართველი პოლიტიკური და სამხედრო ძალა. ძვ.წ. 53 წ. კრასუსის სიკვდილის შემდეგ ალიანსი დაიშალა. პომპეუსი და იულიუს კეისარი მალევე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თუკი პომპეუსი აზიის ლაშქრობების

გმირი იყო და მან კავკასიიდან წითელ ზღვამდე ტერიტორია დაიპყრო, იულიუს კეისარი გალიის ომების გამარჯვებული გახლდათ, რომელმაც მდინარე რეინიდან ატლანტიკის ოკეანემდე გაავრცელა რომის იურისდიქცია. პომპეუსისა და იულიუს კეისრის დაპირისპირება სამოქალაქო ომში (ძვ.წ. 50-48 წ.წ.) გადაიზარდა, რომელიც კეისრის გამარჯვებითა და პომპეუსის მკვლელობით დასრულდა (ვაისმენი 2006, 368-423; როუსანი 2006, 424-433; ბიარდი 2016, 278-287).

იულიუს კეისარს ექსპანსიური პოლიტიკა არ შეუცვლია. კლეოპა-ტრა VII-ის ეგვიპტის ტახტზე გამეფების (ძვ.წ. 47 წ.) შემდეგ მან პონტოსა და ბოსფორის სამეფოებში ილაშქრა. რომში დაბრუნებულმა იულიუს კეისარმა დიდი ძალაუფლება მოიხვეჭა. ის სენატმა დიქტატორად (dic-tator perpetuo) აღიარა. რომის რესპუბლიკის მომხრეებს აშინებდათ კეისრის ერთპიროვნული ძალაუფლება და მონარქიის აღდგენის პერს-პექტივა, ამიტომ მისი მოშორება გადაწყვიტეს. ძვ.წ. 44 წ. 15 მარტს იულიუს კეისარი შეთქმულმა სენატორებმა სენატის შენობაში (Curia Pompeia) მოკლეს (როუსანი 2006, 434-466; ბიარდი 2016, 291-302).

რომში პოლიტიკური და სამხედრო არეულობა დაიწყო, რომე-ლიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. პოლიტიკური დესტაბილიზაცია და სამხედრო კონფლიქტები, ფაქტობრივად, ძვ.წ. 30-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ რომში სიტუაციის გაკონტროლებასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას კეისრის მეგობარი და მოკავშირე მარკუს ანტონიუსი (ძვ.წ. 43-30 წ.წ.) ცდილობდა. ის დაუპირისპირდა იულიუს კეისრის მემკვიდრეს, მის დის შვილიშვილს, 18 წლის ოქტავიანეს, რომელმაც სამხედრო ძალების მობილიზება და რომის მოქალაქეთა გარკვეული წრეების მხარდაჭერა მოახერხა. ანტონიუსი და ოქტავიანე საერთო პოლიტიკური ინტე-რესებიდან გამომდინარე, მალევე შერიგდნენ. მათ გენერალ მარკუს ამელიუს ლეპიდუსთან ალიანსი შეკრეს და სამთა მმართველობა (tri-umviratus) ჩამოაყალიბეს. ტრიუმვირებს ქვეყნის რეორგანიზაცია ხუთ წელიწადში უნდა გაეკეთებინათ, რაც კონსტიტუციური რესპუბლიკის (rei publicae cinstituendae) შექმნას გულისხმობდა. ოქტავიანემ და ანტონიუსმა კეისრის მკვლელებთან, კასიუსთან და ბრუტუსთან ომი

წამოიწყეს (როუსანი 2006, 468-486). ძვ.წ. 42 წ. კასიუსი და ბრუტუსი ოქტავიანესთან და ანტონიუსთან ბრძოლაში დამარცხდნენ და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს. ამის შემდეგ ოქტავიანე და ანტონიუსი ისევ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დაპირისპირება ისევ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ძვ.წ. 40 წ. ოქტავიანემ და ანტონიუსმა ხმელთაშუაზღვისპირეთი ერთმანეთში გაინაწილეს. ანტონიუსი თავისი ჯარითა და მრავალი გემით იტალიიდან საბერძნეთის გავლით აზიაში წავიდა. აზიაში იგი მომძლავრებასა და პართიასთან ომს აპირებდა. ანტონიუსმა პომპეუსის მიერ მცირე აზიაში შექმნილი პოლიტიკური თანაფარდობა გადაათამაშა. მან გააფართოვა პონტოს სამეფო და ახალი მეფე პოლემონი აიყვანა მის ტახტზე. კაბადოკიაში არქელაუსი (ძვ.წ. 36-17 წ.წ.) გაამეფა, გალატეაში  ამისტა (ძვ.წ. 37 წ.), იუდეაში კი – ჰეროდე (ძვ.წ. 36-1 წ.წ.). კლიენტი მეფეები სამხედრო სიტუაციას აკონტროლებდნენ, რაც, თავის მხრივ, მშვიდობას განაპირობებდა. ანტონიუსი არმენიისა და მედია ატროპატანესკენ დაიძრა. ძვ.წ. 37/36 წ. მან არმენიის წინააღმდეგ საომრად პუბლიკუს კანიდიუს კრასუსი გაგზავნა. არმენიის მეფე არტავასდეს II (ძვ.წ. 55-34 წ.წ.) უომრად დანებდა კრასუსს. არმენიის შემდეგ კანიდიუს კრასუსმა  იბერიელები და ალბანელები დალაშქრა (ფელინგი 2006, 5-31). ეს იყო აგრიპასა და გალუსის კონსულობის დრო, როდესაც კანიდიუს კრასუსი იბერიაში შეიჭრა. მან  იბერიის მეფე ფარნაბაზუსი დაამარცხა და მოკავშირედ გაიხადა იგი. შემდეგ ფარნაბაზუსთან ერთად ალბანეთისკენ გაეშურა. კრასუსმა და ფარნაბაზუსმა  ალბანეთის მეფე ზობერი დაამარცხეს. გამარჯვების შემდეგ კრასუსმა ალბანეთიც, იბერიის მსგავსად, რომის მოკავშირედ აქცია (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 49. 24.1; დაბროვა 1989, 67).

ანტონიუსის აღმოსავლეთის კამპანიამ, საბოლოოდ, კრახი განიცადა.  ძვ.წ. 31 წ. აქციუმის ბრძოლაში იგი სასტიკად დამარცხდა ოქტავიანესთან, რის შემდეგაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 50. 12.13-19, 51. 1. 10; ბიარდი 2016, 348-349).

ანტონიუსისა და ოქტავიანეს დაპირისპირება რომის რესპუბლიკის უკანასკნელი საომარი კონფლიქტი იყო. მას შემდეგ რესპუბლიკა მალევე დაიშალა. რესპუბლიკის დაშლაში დიდი წვლილი შეიტანა იულიუს კეისრის პოლიტიკურმა კურსმა და სამხედრო კამპანიებმა. ანტონიუსის დამარცხების შემდეგ ოქტავიანე ერთპიროვნული ლიდერი გახდა, რომელმაც ახალი წყობა – პრინციპატი ჩამოაყალიბა, რაც ფაქტობრივად იმპერიის პირველი ფაზა იყო. თავად კი რომის პირველი იმპერატორი გახდა. მან დაიმკვიდრა ტიტული კეისარი ავგუსტუსი (Augustus – ღვთის შვილი, ღვთაებრივი), რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ რომის თითქმის ყოველ იმპერატორს ენიჭებოდა.

ავგუსტუსის მმართველობა (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 14 წ.წ.) განსაკუთრებული აღმავლობით აღინიშა. გაფართოვდა და განახლდა საგზაო ქსელი, მოხდა რეგულარული ჯარისა და საგადასახადო სისტემების რეორგანიზაცია, ქალაქი რომის აღმშენებლობა. სწორედ, რომთან დაკავშირებით წარმოსთქვა მან ცნობილი სიტყვები, აგურის რომი დამხვდა და მარმარილოსას ვტოვებო. ავგუსტუსის სახელს უკავშირდება რომაული მშვიდობის დასაწყისი (Pax Romana/Pax Augusta), რომელიც ავგუსტუსმა გამოაცხადა რომის რესპუბლიკის უკანასკნელი ომის დასასრულს. რომაული მშვიდობა 200 წელზე მეტხანს გაგრძელდა (ძვ.წ. 27 - ახ.წ. 180 წ.წ.), მარკუს ავრელიუსის (161-180 წ.წ.) იმპერატორობის ბოლომდე და ნაკლები ომიანობით, აღმშენებლობითა და ორგანიზაციული საქმიანობებით ხასიათდებოდა. ამგვარმა პოლიტიკამ რეგიონებში სტაბილურობა და სავაჭრო ქსელების გაფართოება გამოიწვია (ქრუქი 2006, 123-146).

ავგუსტუსის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი აზიაში რომის გავლენის გაძლიერება იყო. სირია რომის დაქვემდებარებაში შედიოდა, რომლის საზღვარიც ევფრატამდე ვრცელდებოდა. ოთხი ლეგიონი იცავდა ვრცელ ტერიტორიას, რომელსაც სხვა ხალხებთან ერთად იბერიელები და ალბანელებიც ესაზღვრებოდნენ. რომის ძლევამოსილება ამ ხალხების უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფდა (ტაციტუსი, ანალები 4. 5).

რომის მთავარი მეტოქე ახლო აღმოსავლეთში ახლა უკვე პართია იყო, ხოლო არმენია რომსა და პართიას შორის მთავარი ქიშპობის საგანი.

რომი ისევ არმენიის სუზერენად რჩებოდა. ძვ.წ 20 წ. ავგუსტუსის ბრძანებით, იმპერატორის გერმა, შემდგომში მისმა მემკვიდრემ და იმპერატორმა, ტიბერიუსმა სომხეთში რომაელების პროტეჟე ტიგრან III (ძვ.წ. 20-28 წ.წ.) გაამეფა. მიუხედავად ამისა, არმენია პართიის გავლენასაც განიცდიდა. პართიასთან ომს ავგუსტუსმა დიპლომატიური მოლაპარაკებები არჩია, რომელშიც ტიბერიუსიც მონაწილეობდა. მოლაპარაკებების შედეგად ორი ათწლეულის მანძილზე მცირე აზიაში მშვიდობა დამყარდა. რომსა და პართიას შორის ევფრატი ისევ სასაზღვრო ზოლად რჩებოდა. ამ პერიოდში ავგუსტუსმა სირიასა და მცირე აზიაში იმოგზაურა. იგი სამეფოებს შორის კონფლიქტურ სიტუაციებსა და მიწების მფლობელობისთვის გამართულ დავებს არეგულირებდა (გრუენი 2006, 158-162; სქულარდი 2011, 208-210).

მცირე აზიაში ყოფნისას ალბანელებისა და იბერიელების მეფეებს იმპერატორთან ელჩები გაუგზავნიათ. ავგუსტუსის მემორიალურ წარწერაში "Res Geste Divi Augusti" (ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმენი) წერია – ალბანელთა და იბერთა მეფეების მიერ გამოგზავნილი ელჩები იმპერატორს მეგობრობას ეხვეწებოდნენო (nostram amicitiam appetiverunt per legatos .... Albanorumque rex et Hibberorum) (ბრონდი 1985, 20; დაბროვა 1989, 68). წარწერა დაახლოებით ახ.წ. 13-15 წლებში ლათინურ ენაზე შეიქმნა, ბერძნულად ითარგმნა და რომის იმპერიაში გავრცელდა (ქული 2009, 18-30). წარწერის ბერძნული ვარიანტი ანკარაშიც აღმოჩნდა. მისი შინაარსიდან ვიგებთ, რომ ახ.წ. 10-იან წლებში იბერია ჯერ კიდევ არ ყოფილა რომის კლიენტი სამეფო.

პომპეუსის მიერ კლიენტი სამეფოებისა და ბუფერული ზონის შექმნის პოლიტიკა მცირე აზიაში იმპერატორებმა ტიბერიუსმა (14-37 წ.წ.), ნერონმა (54-68 წ.წ.), ვესპასიანემ (69-79 წ.წ.), ტრაიანემ (98-117 წ.წ.), ადრიანემ (117-138 წ.წ.), სეპტიმუს სევერუსმა (193-211 წ.წ.), მაკრინუსმა (217-218 წ.წ.), აურელიანემ (270-275 წ.წ.) და დიოკლიტიანემ (284-305 წ.წ.) გააგრძელეს.

რომის უმაღლესი პირების დაინტერესება სამხრეთ კავკასიისადმი, ფაქტობრივად, მცირე აზიაში განვითარებულმა პოლიტიკურმა და სამხედრო კამპანიებმა განაპირობა.




2. რომაული ახლო აღმოსავლეთი პირველ-მეორე საუკუნეებში

კარდინალური იყო რომის ინტერესი არმენიისადმი და მასთან ქართლისა და ალბანეთის ტერიტორიული სიახლოვე. რომსა და პართიას შორის არმენია და მისი ტახტი მუდმივი დაპირისპირების საგანი იყო რომაულ იმპერიულ ხანაში. არმენიის ტახტზე ხან რომის პროტეჟე მეფე იჯდა, ხანაც პართელი არშაკიდების მემკვიდრე. არმენია დაუსრულებლად გადადიოდა ერთი იმპერიის გავლენიდან მეორეში. რომი არმენიის სამფლობელოს ანაწევრებდა და სხვადასხვა რომაულ პროვინციაში აერთიანებდა, მანამდე, სანამ არმენია საბოლოოდ რომ-სა და პართიას შორის ბუფერულ ზონად არ ჩამოყალიბდა. არმენიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ალბანეთი მდებარეობდა, ხოლო ჩრდი-ლოეთით ქართლი. ამიტომ ეს ორი ქვეყანა რომის აღმოსავლურ საომარ კამპანიებსა და პოლიტიკურ ურთიერთობებში იყო ჩართული. თუმცა, ქართლის სამეფო, ისევე როგორც ალბანეთი, რომის იმპერიაში არასდროს ყოფილა გაერთიანებული. ორივე ქვეყანა ადგილობრივი მმართველების, მეფეების მიერ იმართებოდა.

ახ.წ. პირველი საუკუნის 30-იან წლებში იბერიის სამეფო პირებმა მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიეს რომს. 35 წ. პართიის მეფე არტაბან II-მ (12-38/41 წ.წ.) თავისი უფროსი შვილი, არშაკი გაამეფა არმენიის ტახტზე, რითაც არმენია პართიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია. იმპერატორ ტიბერიუსს არ სურდა თავად დაპირისპირებოდა პართელებს. ამიტომ, მან ისარგებლა იბერიის ტახტზე შექმნილი წინააღმდეგობით, რომელიც იბერიის მეფეს, ფარსმანსა და მის ძმას, მითრიდატეს, შორის არსებობდა. ტიბერიუსმა ფარსმანს არშაკის ჩამოგდება და მითრიდატეს სომხეთის ტახტზე გამეფება შესთავაზა. ფარსმანი ტახტის მეტოქეს მოიშორებდა, რომს კი მისი ინტერესების გამტარებელი მმართველი ეყოლებოდა არმენიაში. ფარსმანმა და მითრიდატემ არშაკის მცველები მოისყიდეს და მოაკვლევინეს იგი. იმავდროულად იბერიელები სომხეთში შეიჭრნენ და ჩრდილოეთის დედაქალაქი არტაშატა/არტაქსატა დაიპყრეს. როდესაც ეს ამბავი არტაბანმა შეიტყო, მან დამსჯელი ჯარი არმენიაში გააგზავნა, მეორე ვაჟის, ოროდეს მეთაურობით. ასევე, თავისი ხალხი მეომრების დასაქირავებლად გაგზავნა. ამასობაში ფარსმანმა ალბანელებთან და სარმატებთან[3] შეკრა ალიანსი. სარმატები დაქირავებული მეომრები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა საომარ კამპანიაში იღებდნენ მონაწილეობას. სარმატების ნაწილი პართელებმაც იქირავეს. სარმატები კავკასიონზე უნდა გადასულიყვნენ და პართიის ჯარს შეერთებოდნენ. კავკასიონის გადასასვლელებს ქართლელები აკონტროლებდნენ. მათ ჩაკეტეს გზები და არ გადაუშვეს პროპართელი სარმატები. ღია დარჩა დერბენტის უღელტეხილი, მაგრამ მისი გადალახვა თითქმის შეუძლებელი იყო ზაფხულში წყალდიდობების, ხოლო ზამთარში ქარების გამო. ამიტომ, სარმატებმა ვერ მოახერხეს პართელების ჯართან შეერთება. იბერიელებმა თავიანთი მოკავშირე სარმატები კი დაუბრკოლებლად გაატარეს კავკასიონზე (ტაციტუსი, ანალები 6. 31, 32, 33).

ოროდე მოკავშირე სარმატების გარეშე დარჩა. ამით ისარგებლეს იბერიელებმა და დაბანაკებულ პართელებზე იერიში მიიტანეს. პარ-

---

3 სარმატები ჩრდილოკავკასიელი ტომების კრებითი სახელია, რომელთა რიცხვში სპარსულენოვანი ალანებიც შედიოდნენ.

თელებმა გადაწყვიტეს პოზიციური ბრძოლის გამართვა. მათი ჯარის სიძლიერე ძირითადად კავალერია იყო. ფარსმანს კი, კავალერიასთან ერთად, ქვეითი ჯარიც ძლიერი ჰყავდა. ზოგადად, ქართლელები და ალბანელები მთიან რეგიონში ცხოვრების გამო კარგად იყვნენ გაწვრთნილნი და რთულ საომარ პირობებს შეგუებულნი. პართელებმა და იბერიელებმა ბრძოლის ხაზი განსაზღვრეს. პართელები მხნედ იყვნენ, რადგანაც არშაკიდების დიდებულ სამეფო სახლსა და აღმოსავლეთის იმპერიას წარმოადგენდნენ და გაურკვეველი წარმოშობის იბერიელებსა და მათ მიერ დაქირავებულ ჯარს უპირისპირდებოდნენ. ფარსმანმა კი შემდეგი სიტყვებით შეაგულიანა თავისი ჯარისკაცები: „ჩვენ არასდროს ვყოფილვართ პართელების უღელქვეშ. გამარჯვების შედეგად, რაც მეტ ნადავლს მოვიხვეჭთ, მით უფრო დიდი იქნება ჩვენდამი პატივისცემა. ხოლო თუ ზურგს ვაჩვენებთ მტერს, მაშინ სირცხვილი და განსაცდელი არ აგვცდება". მოწინააღმდეგეებს შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ბრძოლაში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ფარსმანი და ოროდე. მძვინვარე ფარსმანმა მოახერხა და თავში დაჭრა მუზარადიანი ოროდე. დაჭრილი პართელი უფლისწული ცხენმა გააქანა. პართელებს ეგონათ, რომ მეთაური მოუკვდათ და ძლიერ დაიბნენ. ამით ისარგებლეს იბერიელებმა და პართელებზე გამარჯვება მოიპოვეს (ტაციტუსი, ანალები, 6. 34, 35).

ამ გამარჯვების შედეგად არმენიის ტახტზე იბერიელი უფლისწული მითრიდატე გამეფდა. იგი სომხეთს 35-36 წ.წ. განაგებდა. ამ პერიოდში სომხეთს, ფაქტობრივად, პრორომაული ძალა მართავდა, რომელმაც ქვეყანა რომის გავლენის სფეროს დაუბრუნა (ტაციტუსი, ანალები, 11. 8; დაბროვა 1989, 69; ბოსვორსი 1977, 221; ბრონდი 1994, 219).

37 წ. ტიბერიუსის გარდაცვალების შემდეგ რომის საიმპერატორო ტახტი კალიგულამ (37-41 წ.წ.) დაიკავა. მან მნიშვნელოვნად დააკნინა ტიბერიუსის მიღწევები რომაულ აღმოსავლეთში. კალიგულას ბრძანებით, მითრიდატე იბერიელი რომში გამოიძახეს და დააპატიმრეს. პართია არმენიის სუზერენი გახდა (ტაციტუსი, ანალები, 11. 8). სიტუაცია იმპერატორ კლავდიუსის (41-54 წ.წ.) მმართველობის დროს შეიცვალა. მან მითრიდატე გაათავისუფლა და არმენიაში დაბრუნება

შესთავაზა. მითრიდატემ რომაელებთან ერთად ბრძოლით დაიბრუნა არმენიის ტახტი (ტაციტუსი, ანალები 11. 8, 9).

რომის პოლიტიკა პროსპარსული სომხური არისტოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მის ინტერესებში შედიოდა რომის მიერ მართული და პრორომაული პოლიტიკის გამტარებელი მეფის ყოლა არმენიის ტახტზე. სწორედ ასეთი მეფე იყო მითრიდატე იბერიელი.

ამგვარი სიტუაცია სუფევდა არმენიაში იქამდე, სანამ დაახლოებით 52 წელს ფარსმან იბერიელი მისი ძმის, მითრიდატეს სომხეთის ტახტიდან ჩამოგდებასა და სანაცვლოდ მისი შვილის, რადამისტის გამეფებას არ განიზრახავდა. ფარსმანი რადამისტში ტახტის მეტოქეს ხედავდა და მისი თავიდან მოშორება უნდოდა. ფარსმანი თავის გეგმას ღიად ვერ განახორციელებდა, რადგანაც მითრიდატეს რომის მხარდაჭერა ჰქონდა. ამიტომ, ფარსმანმა და რადამისტმა მითრიდატეს წინააღმდეგ შეთქმულების გეგმა შეიმუშავეს. ვითომდაც, რადამისტს მამა და დედინაცვალი ავიწროვებდნენ და იგი თავშესაფრის ძიებაში ბიძასთან არმენიაში გაემგზავრა. მითრიდატემ საკუთარი შვილივით მიიღო რადამისტი. რადამისტი მაღალი, ლამაზი, ფიზიკურად ძლიერი და ძალზე წარმოსადეგი ახალგაზრდა იყო. მან ადვილად მოხიბლა მითრიდატე და მისი ნდობა მოიპოვა. მითრიდატემ ვერც კი შენიშნა, მის ზურგსუკან, როგორ მოუწოდებდა რადამისტი დიდგვაროვან სომხებს აჯანყებისკენ. გარკვეული ხნის შემდგომ რადამისტი იბერიაში დაბრუნდა და მამას უთხრა, სომხეთში ნიადაგი მომზადებულია, ახლა საქმე ჩვენზეაო. ფარსმანმა შესაფერისი მიზეზი გამოიგონა მითრიდატესთან ომის დასაწყებად. ალბანეთის მეფესთან დაპირისპირებისას, მითრიდატემ, რომაელების დახმარება ჩამიშალაო და, რადამისტს დიდძალი ჯარი მისცა სომხეთში სალაშქროდ. რადამისტი მოულოდნელად შეიჭრა არმენიაში. შეეტაკა მითრიდატესა და მის ჯარს და აიძულა, გარნის/გორნეას ციხეში შეეფარებინა თავი. გარნის რომაული გარნიზონი იცავდა პრეფექტი კელიუს პოლიოსა და ცენტურიონ კასპერიუსის მეთაურობით. რადამისტმა გარნის ალყითა და ბლოკადით ვერაფერი დააკლო. ამიტომ, პრეფექტი პოლიო მოქრთამა. ამას ცენტურიონი კასპერიუსი შეეწინააღმდეგა,

რომელიც სიტუაციის დალაგებას მოლაპარაკების გზით ცდილობდა. არმენიის საკითხის გასარკვევად კასპერიუსი სირიის მმართველ უმიდიუს კვადრატუსთან გაემგზავრა. პრეფექტმა პოლიომ ისარგებლა ცენტურიონის არყოფნით და მითრიდატეზე ზეწოლას შეეცადა. იგი ყველანაირად ცდილობდა, დაეთანხმებინა მითრიდატე რადამისტთან დაზავებაზე. არმენიის მეფე უარზე იყო. ბოლოს პოლიომ გარნიზონი ააჯანყა ხელფასის გაზრდის მოთხოვნით. ჯარისკაცები საგუშაგოს მიტოვებით იმუქრებოდნენ. მითრიდატეს სხვა გზა აღარ ჰქონდა. მან გარნის ციხე დატოვა და რადამისტს ჩაბარდა. რადამისტი მითრიდატეს სიცოცხლის შენარჩუნებას ჰპირდებოდა. მან ბიძას უთხრა, არც ხმლით მოგკლავ და არც საწამლავით მოგწამლავო. რადამისტმა პირობა გატეხა. მან ფარსმანის თანხმობით მოკლა მითრიდატე. თუმცა, არც ხმლით მოუკლავს და არც საწამლავით მოუწამლავს. მითრიდატე და მისი ცოლი, რომელიც ფარსმანის ქალიშვილი და რადამისტის და იყო, მიწაზე დააგდეს და ტანსაცმლის მძიმე გროვის ქვეშ გაგუდეს. რადამისტმა მითრიდატეს ორი ვაჟიც მოკლა, რადგანაც ისინი ცხარედ დასტიროდნენ მშობლებს. როდესაც კვადრატუსმა მითრიდატესა და მისი ოჯახის საზარელი მკვლელობის ამბავი შეიტყო, კრება მოიწვია და შეკრებილთ დაეკითხა, დაესაჯათ თუ არა მითრიდატეს მკვლელები. კრებამ გადაწყვიტა, რომ რომაელები არ უნდა ჩარეულიყვნენ ასეთ რთულ და დაძაბულ სიტუაციაში. თუმცა, საბოლოოდ მაინც შეუთვალეს ფარსმანს, რომ ჯარი გაეყვანა არმენიიდან, ხოლო რადამისტი ტახტიდან გადამდგარიყო (ტაციტუსი, ანალები 12. 44-48).

რომმა არმენიაში თავისი გავლენის შესანარჩუნებლად კაბადოკიის პროკურატორი იულიუს პელიგნუსი და მისი მილიცია მიავლინა. პელიგნუსი მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდა ადგილობრივ ბარბაროსებს. მან დახმარება რადამისტს სთხოვა. რადამისტით და მისი მხარდაჭერით ისე მოიხიბლა პელიგნუსი, რომ არმენიის მეფის ინსიგნიის დატოვება ურჩია მას და დახმარებასაც დაჰპირდა. მაგრამ, მალე მითრიდატესა და მისი ოჯახის მკვლელობის საზარელი ამბავი გავრცელდა. რომაელებს უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ ყველა არ იყო პელიგნუსის მსგავსი უპრინციპო და უზნეო. ამიტომ,

მათ ლეგატი ჰელვიდიუს პრისკუსი გაგზავნეს არმენიაში სიტუაციის მოსაგვარებლად. ლეგატმა, მართლაც რომ, ზევრგან მოაგვარა სიტუაცია, უფრო მოლაპარაკებებით, ვიდრე ძალით, მაგრამ მალე ის სირიაში დააბრუნეს პართიასთან საომარი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. როდესაც რომის ჯარმა არმენია დატოვა, პართელებმა იერიში მიიტანეს არმენიაზე. იბერიელებმა უბრძოლველად დატოვეს არმენია. პართიის მეფე ვოლოგეზე I-მა (51-78 წ.წ.) არმენიის ტახტზე მისი ძმა, ტირიდადე გაამეფა. პართელებმა სომხეთის დედაქალაქები არტაშატა/არტაქსატა და ტიგრანოკერტა აიღეს. დადგა ზამთარი და არმენიაში სურსათით მომარაგებამ იკლო. ამას პანდემიაც დაერთო. შექმნილი სიტუაციის გამო პართელებმა არმენია დატოვეს. ამით ისარგებლა რადამისტმა და უკან დაბრუნდა. მან განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინა მოსახლეობისადმი. ზოგადად მომთმენმა და შემგუებელმა სომხებმაც კი ვერ გაუძლეს რადამისტის სისასტიკეს. არმენიელები აჯანყდნენ და შეიარაღებულებმა ალყა შემოარტყეს რადამისტის სასახლეს. რადამისტს ისღა დარჩენოდა, რომ ცხენს მოხტომოდა და გაქცეულიყო. რადამისტთან ერთად მისი ცოლი, რადამისტის ბიძაშვილი და მითრიდატეს შვილი, ზენობიაც გაიქცა. ზენობია ორსულად იყო. ცხენზე ჯანჯღარით ცუდად გახდა და ვეღარ შეძლო მგზავრობის გაგრძელება. მან სთხოვა რადამისტს, მოეკლა და მტრის ხელში არ ჩაეგდო. რადამისტი ჯერ ყოყმანობდა, ხოლო შემდეგ ხანჯალი დასცა ზენობიას და მდინარე არაქსის დინებას გააყოლა. სასიკვდილოდ დაჭრილი ზენობია მწყემსებმა შენიშნეს და წყლიდან ამოიყვანეს. ქალის ჩაცმულობით მიხვდნენ, რომ იგი დიდგვაროვანი უნდა ყოფილიყო. მწყემსებმა უმკურნალეს, გადაარჩინეს და არტაშატაში წაიყვანეს ზენობია. იქიდან კი ტირიდადესთან გაამგზავრეს. ტირიდადე I-ის (52-58 წ.წ.) კარზე ზენობიას დედოფლის საკადრისი პატივით ექცეოდნენ (ტაციტუსი, ანალები 12. 49-51).

ამ მოვლენების მსვლელობისას რომს, ძირითადად, ნეიტრალური პოზიცია ეკავა. მაგრამ, როგორც კი ტირიდადე არმენიაში გამეფდა და იქ პართული გავლენა გაძლიერდა, იმპერატორმა ნერონმა (54-68 წ.წ.) პროკონსულ დომიციუს კორბულოს დაავალა არმენია ისევ რომისთვის

დაექვემდებარებინა (ტაციტუსი, ანალები 13. 8; გრიფინი 2001, 226; ვერვეტი 2003, 437).

კორბულომ მის განკარგულებაში მყოფი ლეგიონები გაყო და არმენიას სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად შეუტია. მან კლიენტ მეფეებსაც დაავალა, მოსაზღვრე ტერიტორიებიდან თავს დასხმოდნენ არმენიაში მყოფ პართელებს. კომაგენეს მეფე ანტიოქოსმა სამხრეთ-დასავლეთიდან შეუტია არმენიას, ხოლო იბერიის მეფე ფარსმანმა – ჩრდილოეთიდან. მას მერე რაც ფარსმანმა თავისი შვილი, რადამისტი ღალატისთვის სიკვდილით დასაჯა, რომაელებისთვის ერთგულების დასამტკიცებლად აქტიურად ჩაერთო ბრძოლაში. თუმცა, არმენიისადმი ძველი მტრობაც ამოძრავებდა. ამ ბრძოლებში რომაელებმა პირველად გამოიყენეს დამეგობრებული მოსხი ტომები, რომლებმაც არმენიის დაუსახლებელ ტერიტორიებს გადაურბინეს (ტაციტუსი, ანალები 13. 37). კორბულომ მარდის ტომის მეკობრეებიც დაამარცხა იბერიელი მეომრების ხელით და ასევე დაზოგა რომაული სამხედრო რესურსი (ტაციტუსი, ანალები 14. 23; გრეგორატი 2014, 76-85).

ტაციტუსის თხრობიდან გაურკვეველია, თუ რა ტიპის ღალატი ჩაიდინა რადამისტმა, რისთვისაც იგი მეფე-მამამ სიკვდილით დასაჯა. რადამისტი ფარსმანის გეგმის მიხედვით მოქმედებდა ყოველთვის. იგი ფარსმანის რჩევით გაემგზავრა არმენიაში. მისი ხელშეწყობით გადმოაგდო ტახტიდან მითრიდატე და მისივე თანხმობით მოკლა ცოლ-შვილთან ერთად. რადამისტის რეპუტაცია ძალზე შელახული იყო, როგორც რომაელებში, ასევე არმენიელებსა და პართელებშიც. მან მითრიდატესა და მისი ოჯახის გარდა, საკუთარი ცოლის მკვლელობაც სცადა, რომელიც სასწაულებრივად გადარჩა და არმენიის მეფის, ტირიდადეს კარზე აღმოჩნდა. ფარსმანს აღარაფერში ესაჭიროებოდა ასეთი შვილი, რომლის თავიდან მოშორება ისედაც უნდოდა. ამიტომ, შესაძლოა, ვითომდა ღალატისთვის დასაჯა სიკვდილით, სინამდვილეში კი რომის კეთილგანწყობა დაიბრუნა.

57/58 წლის ზამთარში კორბულო არტაშატაში შეიჭრა, ჩაანაცვლა ტირიდადე არაარშაკიდი, რომის კლიენტი მეფით, ტიგრანით და 59 წლის ზაფხულში ტიგრანოკერტაც დაიპყრო (გრიფინი 2001, 226).

ტიგრანს არმენიის დასაცავად ათასი რომაელი ლეგიონერი, სამი დაქირავებული კოჰორტა და ორი კავალერიის ესკადრონი მისცა. არმენიის მოსაზღვრე ტერიტორიები იბერიასთან, პონტოსთან, სოფენესა და კომაგენესთან მათ მეფეებს – ფარსმანს, პოლემონს, არისტობულოსა და ანტიოქოსს დაუქვემდებარა. თვითონ კორბულო კი სირიაში გაემგზავრა გარდაცვლილი მმართველის, უმიდიუს კვადრატუსის პოზიციის დასაკავებლად (ტაციტუსი, ანალები 14. 26).

კორბულო ცდილობდა, რომ ზოგიერთი საკითხი მშვიდობიანად მოეგვარებინა, ამიტომ იგი დიპლომატიას ხშირად მიმართავდა. პართელებთან ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს ევფრატზე რომაული ფორტების დანგრევაზეც კი დათანხმდა. 62/63 წ. პართიის ელჩობა რომში ეწვია ნერონს. ნერონმა ტიგრანის გადაგდება და ისევ ტირიდადეს გამეფება შესთავაზა ელჩებს, თუმცა, ერთი პირობით, ტირიდადეს, მორჩილების ნიშნად, თავისი ოქროს გვირგვინი ნერონის ქანდაკების ფეხებთან უნდა დაედო რანდეიას (მცირე აზია) რომაულ ბანაკში. პართელები ჯერ უარზე იყვნენ, მაგრამ შემდეგ დათანხმდნენ. 63 წელს არმენიის ტახტზე ისევ არშაკიდების სამეფო სახლის წარმომადგენელი იჯდა, რომელიც რომის ვასალი იყო (გრიფინი 2001, 227). ეს რომის პოლიტიკური გამარჯვება იყო. ფაქტობრივად, განმეორდა 100 წლის წინანდელი რიტუალი, როდესაც არმენიელმა ტიგრან II-მ რომის უზენაესობა ცნო და პომპეუსს ფეხებთან თავისი ოქროს გვირგვინი დაუდო.

ნერონის აღმოსავლეთის პოლიტიკის კურსში „კასპიის კარის" კამპანიაა აღსანიშნავი. იმპერატორი აღმოსავლეთში ლაშქრობასა და „კასპიის კარში" გავლას გეგმავდა. ამ პროექტისთვის მან 66-67 წლებში სპეციალურად შექმნა ლეგიონი I იტალიკა, რომელიც იტალიელი წარმოშობის, 6 ფუტის (1.80 სმ) სიმაღლის მქონე ჯარისკაცებისგან დააკომპლექტა და ალექსანდრე მაკედონელის ფალანგა უწოდა (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 55, 24, 2; სვეტონიუსი, ნერონი, 19.1.). მან ასევე გააერთიანა ბრიტანეთის, რეინისა და დუნაისპირეთის საჯარისო დანაყოფები და ლეგიონი XIV გემინა (მანი 1963, 483-485, დრინქვოთერი 2019, 148-150). თუმცა, ამ ფართომასშტაბიან პროექტს

განხორციელება არ ეწერა. იუდეაში დაწყებულმა კრიზისმა და ბრიტანეთში ვენდექსის აჯანყებამ „კასპიის კარის" კამპანიისთვის ბალკანეთში დისლოცირებული ლეგიონების უკან გაწვევა განაპირობა (დრინქვოთერი 2019, 151). ამ გარემოებებს 68 წელს ნერონის ნაადრევი სიკვდილიც დაერთო. „კასპიის კარის" კამპანიის წამოწყების მიზეზი, მიზანი და განხორციელების ადგილი უცნობი დარჩა. მრავალი მკვლევარი ცდილობდა, ჩასწვდომოდა ნერონის პროექტის აზრს, აეხსნა იმპერატორის მისწრაფება და დაედგინა მისი სამიზნე ადგილი, რადგანაც კლასიკურ ხანში „კასპიის კარის" სახელით სამი გეოგრაფიული პუნქტი იყო ცნობილი. ბერძნული და ლათინურენოვანი ავტორები სამ ლოკაციას უწოდებდნენ „კასპიის კარს" (Kaspiai pulai, Caspiae portae). პირველი ისტორიულ მედიასა და ირანს შორის მოქცეულ ელბურზის მთაგრეხილზე მდებარეობდა, თანამედროვე თეირანიდან დაახლოებით 87 კმ სამხრეთ-აღმოსავლეთით, მეორე ცენტრალური კავკასიის დარიალის ხეობაში, მესამე – დერბენტი კი, ჩრდილო კავკასიის უკიდურეს აღმოსავლეთ ქედსა და კასპიის ზღვას შორის (ანდერსონი 1928, 130).




**3. კასპიის სამი კარი**

იირანის „კასპიის კარის" სახელი ელბურზის მთაგრეხილის, კასპიუსის ქედის აღმოსავლეთით მოსახლე კასპის ტომისგან წარმოდგებოდა (პლინიუსი, საბუნებისმეტყველო ისტორია, 6. 45; ანდერსონი 1928, 131; მესერვი 2008, 249). სწორედ ეს უღელტეხილი გაიარა ალექსანდრე მაკედონელმა თავისი ჯარით, როდესაც დარიოს III-ს დაედევნა ძვ.წ. 330 წელს (არიანე, ანაბასისი 3. 19, 20; ანდერსონი 1928, 132; მესერვი 2008, 249).

დარიალის ხეობის კარის „კასპიის კარად" მოხსენიება პირველად ნერონის დროიდან იწყება და უკავშირდება კორბულოს ლაშქრობებს არმენიასა და სამხრეთ კავკასიაში (57-67 წ.წ.) (ანდერსონი 1928, 135, 144; მესერვი 2008, 252-253; საუერი 2020, 858-869). ნერონის სიკვდილის შემდეგ პლინიუს უფროსმა განასხვავა ეს ორი ადგილმდებარეობა ერთმანეთისგან და აღნიშნა, რომ „კავკასიის კარს" შეცდომით „კასპიის კარს" უწოდებდნენო. პლინიუსმა ხეობისა და მისი სიმაგრე კუმანიის რამდენიმე დამახასიათებელი დეტალიც გადმოგვცა (პლინიუსი, საბუნებისმეტყველო ისტორია; 6, 10. 30). თავად „კავკასიის კარს" რამდენიმე სახელი ჰქონდა: იბერიის, სარმატებისა და ალანების ანუ დარიალის[4] (იხ. ანდერსონი 1928 ლიტერატურით; იხ. საუერი 2020, 857-927 ლიტერატურით). დარიალის სახელით პირველად მესამე საუკუნიდან, შაბურ I-ის მმართველობის დროიდან (240-272 წ.წ.) იხსენიება (საუერი 2020, 867).

მესამე „კასპიის კარის" სახელი – დერბენტი[5] გვიანდელია. ის ლიტერატურულ წყაროებში მეშვიდე საუკუნიდან ჩნდება და აღმოსავლეთ რომის იმპერატორის ჰერაკლიუს I-ის (610-641 წ.წ.) საომარ კამპანიებს უკავშირდება (ანდერსონი 1928,152; საუერი 2020, 881).

მრავალი კლასიკური და გვიან ანტიკური ხანის ავტორი ურევდა ამ უღელტეხილების ადგილმდებარეობასა და სახელებს ერთმანეთში. აღრევას თავისი მიზეზები ჰქონდა, მაგალითად, ალბანებისა და ალანების სახელწოდებების მსგავსება, ძველი ისტორიკოსების არაზუსტი გეოგრაფიული ცოდნა და ა.შ. (ანდერსონი, 1928, 130-135, 152;

4 დარიალი სპარსულად ალანების კარს ნიშნავს.

5 დერბენტი სპარსულად ბარიერს ნიშნავს.

მესერვი 2008, 253-256).

ერთადერთი ავტორი, რომელმაც ამ სამი სიმაგრის ლოკაცია და სახელწოდებები მართებულად განსაზღვრა და შესაბამისი კოორდინატები მიანიჭა, პტოლემაიოსი იყო. „კასპიის კარი" (Kaspiai pulai) იყო ირანში, „სარმატების კარი" (Sarmatikai pulai) ცენტრალურ კავკასიაში, ხოლო „ალბანების კარი" (Albaniai pulai) კასპიის ზღვასთან (პტოლემაიოსი, გეოგრაფია, 5. 8; ანდერსონი 1928, 130).

ამ სამი კარის ერთმანეთში არევა მე-19 საუკუნეშიც გაგრძელდა. სადავო გახდა ალბანების იდენტიფიკაციაც, რაც ფრიდრიხ მომზენის ინტერპრეტაციამ გამოიწვია. ტაციტუსის მიერ მოხსენიებული ალბანები (ტაციტუსი, ისტორია 1. 6. 2.) მომზენმა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ალანებად აღიქვა (მომზენი 1909, 62). ეს მოსაზრება სხვა მკვლევრებმაც გაიზიარეს და ჩათვალეს, რომ ნერონი დარიალის უღელტეხილზე ალანებთან სალაშქროდ ემზადებოდა (ანდერსონი 1928, 146-149; კოლენდო 1981; გრიფინი 2001, 228-229; გაგოშიძე 2008, 17; ბრონდი 2013, 97; საუერი 2020, 860). მკვლევრების ნაწილმა ტაციტუსის ტექსტის გადაკეთება მომზენის შეცდომად მიიჩნია. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ნერონის სამხედრო კამპანიის მიზანი დერბენტის ანუ „კასპიის კარში" გავლა და პართელების წინააღმდეგ ლაშქრობა უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამხელა სამხედრო რესურსის მობილიზება მხოლოდ დარიალის ხეობის დასალაშქრად არ იქნებოდა მიზანშეწონილი, თანაც, ალანები ნერონის დროს რომის იმპერიისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ (ბოსვორსი 1977, 223-228; 1983, 265-276; ვილერი 2013, 324; დრინქვოთერი 2019, 148-151).

„კასპიის კარში" გავლა და პართელებთან შეტაკება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების დარი იქნებოდა. ალექსანდრე სამაგალითო ფიგურა იყო. მას ჰბაძავდა მითრიდატე ევპატორი, გნეუს პომპეუსი, იულიუს კეისარი და ბევრი სხვა უმაღლესი პოლიტიკური ფიგურა. ნერონიც ალექსანდრეს ედრებოდა. მას ალექსანდრეს ლაშქრობების გამეორება სურდა. ამას „ალექსანდრე მაკედონელის ფალანგის" სახელწოდებაც მოწმობს. ამიტომ, შესაძლოა, ნერონის „კასპიის კამპანია" ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთის ლაშქრობებით ყოფილიყო

შთაგონებული და კონკრეტულ მილიტარისტულ მიზნებთან ერთად განსაკუთრებული მისიაც ჰქონოდა, მაგალითად, იმპერატორის სახელის განდიდება და უკვდავყოფა (ანდერსონი 1928, 142-146; სანფორდი 1937, 102).

დღემდე უცნობია, თუ რატომ და სად უნდოდა ნერონს ასეთი ამბიციური პროექტის განხორციელება. ამიტომ, ეს საკითხი ისევ სპეკულაციის თემად რჩება. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია თავად ფაქტი, რომის იმპერატორის მიერ ამგვარი მასშტაბური კამპანიის მომზადებისა, რადგანაც ეს კიდევ ერთხელ გამოხატავს რომაელების კავკასიისადმი დაინტერესებას.

ნერონმა დაასრულა იულიუს-კლავდიოსების დინასტიის მმართველობა რომის იმპერიაში. მომდევნო იმპერატორი, რომლის საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ დაუკავშირდა აღმოსავლეთს, იყო ვესპასიანე (69-79 წ.წ.). მან ფლავიუსების დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. მმართველობის დასაწყისშივე, 69 წლის მიწურულს, ვესპასიანემ ანიკეტის აჯანყება ჩაახშო კოლხეთში, სავარაუდოდ, ლეგიონ XV აპოლინარისის მონაწილეობით (ვილერი 2000, 278). მან საომარი მოქმედებები განაახლა მცირე აზიაში, რითაც რომსა და პართიას შორის ორმოცდაათწლიანი მშვიდობიანი პერიოდი დაარღვია. ომისთვის სამზადისი ვესპასიანემ საგზაო და საფორტიფიკაციო სისტემების რეორგანიზაციით დაიწყო, რადგანაც კარგად გამართული საგზაო ქსელი ჯარის გადაადგილებისთვის და მისი სურსათით მომარაგებისთვის იყო აუცილებელი. გზებზე უსაფრთხო მოძრაობისთვის ვესპასიანემ ფორტები ჩაამწკრივა. ამ პროექტის ფარგლებში მოხდა 71-72 წ.წ. სატალას[6] გამაგრება, 72 წ. მილეთენეს[7] განახლება და სამოსატას[8] თავიდან აშენება, ასევე მილეთენესა და სატალას შორის გზის გაყვანა (ბოსვორსი 1976, 64-77). ვესპასიანემ მანამდე მცირე აზიაში არსებული სამეფოების კონფიგურაციაც შეცვალა. მან 72 წ. მცირე არმენია კაბადოკიის რომაულ

---

6 სატალა იყო რომაული ფორტი კაბადოკიის პროვინციაში, სადაც ადრიანეს დროს იდგა XV ლეგიონი აპოლინარისი.

7 მილეთენე იყო ქალაქი კაბადოკიაში, სადაც ვესპასიანეს დროს იდგა XII ლეგიონი ფულმინატა.

8 სამოსატა იყო კომაგენეს ძველი დედაქალაქი.

პროვინციას შეუერთა (დაბროვა 1986, 71).

ვესპასიანეს მოღვაწეობამ ქართლის სამეფომდეც მიაღწია. 75 წელს რომაელებმა იმპერატორის სახელით რომაელების მოყვარულ იბერიის მეფე მითრიდატეს და მის ხალხს ქალაქის კედლები აუშენეს. ამას მოწმობს 1867 წელს არმაზის ნაქალაქარიდან 5 კმ სამხრეთით, ადგილ ნაქულბაქევთან შემთხვევით აღმოჩენილი მოჩარჩოებული ბერძნული სამშენებლო წარწერა. მისი შინაარსი ასეთია: „ ... იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტოსმა, დიდმა პონტიფექსმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ იმპერატორად გამოცხადებულმა, ექვსჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა, მამამ მამულისამ, ცენზორმა, და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა, მეხუთეჯერ დეზიგნირებულმა, ცენზორმა, და დომიციანე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ, სამჯერ კონსულმა, მეოთხეჯერ დეზიგნირებულმა, იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის ძეს (წერეთელი 1958, 5-20), კეისრისა და რომაელთა მოყვარულს და მის ხალხს, ქალაქის კედლები აუშენა (ΦΙΛΟΚΑΙΣΑΡΙ ΚΑΙ ΦΙΛΟΡΩΜΑ ... ΘΝΙΤΑ ΤΕΙΧΗ ΕΞΩ ΧΥΡΟΣ ... Ν ...). ტიხოს - ΤΕΙΧΗ ბერძნულად ქალაქის კედელს ნიშნავს. ამიტომ, ქალაქის კედლების აშენებაზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა კედლების განმტკიცებაზე, როგორც ეს გ. წერეთელსა და სხვა მკვლევრებს მიაჩნდათ. ქალაქის კედლების აშენებას ვარაუდობდა ა. ბოლტუნოვა (ბოლტუნოვა 1971, 213–222).

ვესპასიანეს ტიტულატურის მიხედვით წარწერა ზუსტად თარიღდება ახ.წ. 75 წლით (პომიალოვსკი 1881, 68). სამშენებლო წარწერა, ფაქტობრივად, პოლიტიკური შინაარსისაა. იმპერატორი რომაული ტრადიციის მიხედვით მიმართავს ქართლის უმაღლეს პირს და მის ხალხს. ფინალურ ნაწილში აღნიშნული იბერიის მეფისა და მისი ხალხის ფილორომანას სტატუსი გვეუბნება, რომ მითრიდატე რომის კლიენტი მეფეა, ხოლო ქართლი რომის კლიენტი სამეფო. როგორც ვნახეთ, ავგუსტუსიდან ვესპასიანემდე რომის იმპერატორების დამოკიდებულება ქართლის სამეფოსადმი თანდათანობით შეიცვალა.



**4. ვესპასიანეს სამშენებლო წარწერა**

ფილორომანას სტატუსი, რომელსაც ქართლელები ახ.წ. პირველი საუკუნის 10-იანი წლებიდან ითხოვდნენ, 70-იანებში მიუღიათ (ბოსვორსი 1977, 225). წარწერიდან იბერიის ორი მეფისა და ერთი დედოფლის (?) სახელებს ვიგებთ, რომელთა ისტორიულ კონტექსტში ჩასმა შეგვიძლია. მითრიდატე ფარსმან I-ის შვილი და ტახტის მემკვიდრე იყო.

რომაელების მიერ არმაზის კედლების აშენება, შესაძლოა, ქართლის მეფის გასამრჯელო ყოფილიყო მის მიერ გაწეული სამსახურისთვის ან სულაც კავშირში ყოფილიყო ვესპასიანეს მიერ აღმოსავლეთის საზღვრების რეორგანიზაციასთან. თუმცა, ჩემი აზრით, ეს ფაქტი რომის იმპერიის აღმოსავლეთის  გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა. რომის იმპერია სირიასა და ანატოლიაში რომაული პროვინციებისა და მეგობრული სამეფოების შექმნის პოლიტიკას აწარმოებდა (სარტრი 2007, 70). მეგობარ სამეფოებს რომი გზებსა და აკვედუკებს უშენებდა, აძლევდა ფულს, ეხმარებოდა ტერიტორიების შემოერთებაში. რომი დაინტერესებული იყო ძლიერი და მეგობრული სამეფოებისა და მეფეების არსებობაში. ის მათ თავისი სამხედრო სიძლიერის ნაწილად თვლიდა (ბრონდი 1984, 98). ქართლის მეფის, ფარსმან I-ის ძმა, მითრიდატე სომხეთის ტახტზე რომის ხელშეწყობით გამეფდა. ქალაქის კედელი ვესპასიანემ აუშენა

მითრიდატესა და მის ხალხს. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ფარსმან II-ს იმპერატორმა ადრიანემ საჯარისო განაყოფი მისცა, მიუხედავად დაძაბული ურთიერთობისა, ხოლო მომდევნო იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა სამფლობელოს გადიდების ნება დართო. ყოველივე აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ქალაქის კედლების აშენება არ იყო ერთჯერადი დახმარების აქტი რომის მხრიდან. იმპერია მეგობრული კლიენტი სამეფოს შექმნის პოლიტიკას ქართლშიც ატარებდა.

რომის გავლენა სამხრეთ კავკასიაში იმპერატორ დომიციანეს (81-96 წ.წ.) მმართველობის წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. რომაულმა სამხედრო ძალამ კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდეც მიაღწია, რასაც გობუსტანში აღმოჩენილი, ქვაზე ამოტვიფრული XII ლეგიონი ფულმინატას დამღა მოწმობს.




**5. XII ლეგიონი ფულმინატას დამღა**

შესაძლოა, ლეგიონი კავკასიონის მეორე სტრატეგიულ კარს, დერბენტს იცავდა (ბოსვორსი 1977, 226-227; საუერი 2020, 864).

აღმოსავლეთის კამპანიებს იმპერატორ ტრაიანეს (98-117 წ.წ.) საგარეო პოლიტიკაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ტრაიანემ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია ახლო აღმოსავლეთში. მან მცირე აზიის სამეფოების სტატუსი და კონფიგურაცია შეცვალა. წარმატებით იბრძოლა პართელების წინააღმდეგ, თუმცა ცოცხალმა ვერ ჩააღწია რომში. იგი 117 წ. კილიკიაში გარდაიცვალა.

ტრაიანეს აღმოსავლეთის კამპანია და პართული ომები ამგვარად დაიწყო. 114 წ. იმპერატორი რომიდან ანტიოქიაში გაემგზავრა გემით. ანტიოქიაში მან გამოიზამთრა, შემდეგ კი სატალაში გადაინაცვლა, სადაც სხვა რომაული საჯარისო ნაწილები შეუერთდნენ. სატალაშივე ეახლნენ იმპერატორს კლიენტი მეფეები. მათ შორის იყვნენ იბერიელების, სარმატებისა და კოლხების მეფეები. ტრაიანემ ჰენიოხების, მაქელონებისა და ალბანების მეფეები დაასაჩუქრა. კლიენტი მეფეები და მათი ჯარები რომაულ ლეგიონებთან ერთად იბრძოდნენ. ტრაიანეს ერთ-ერთი უკანასკნელი მონეტა იმპერატორისა და კლიენტი სამეფოების სუბორდინაციას ასახავს. ავერსზე გამოსახულია იმპერატორი და მასთან დაახლოებული და დაქვემდებარებული პირები, ხოლო რევერსზე აწერია – დაქვემდებარებული სამეფოები (REGNA ADSIGNATA) (იხ. დებევუაზი 1938, 222 ლიტერატურით).

სატალადან ტრაიანე მილეთენესა და სამოსატაში გადავიდა. 114 წ. იმპერატორმა არმენიაში მეფობა გააუქმა და პართიის გავლენის ქვეშ მყოფი ქალაქი ნისიბისი დაიპყრო. პართიის დედაქალაქის, ქტესიფონის აღებით კი პართელებთან ომი დააგვირგვინა და 116 წ. შექმნა არმენიისა და მესოპოტამიის რომაული პროვინციები. სენატმა პართიკუსის ტიტული მიანიჭა იმპერატორს. მოიჭრა ტრაიანეს გამარჯვების აღსანიშნავი მონეტები, რომელთაც ავერსზე ეწერა – დაპყრობილი პართია (PARTHIA CAPTA). ტრაიანემ რომისა და პართიის საომარ ისტორიაში პირველად მოახერხა საზღვრის ტიგროსამდე გადაწევა (ლაითფუთი 1990, 115-124; გრიფინი 2000, 123-131).

სავარაუდოდ, ფარსმან იბერიელის ძმა, ამაზასპოსიც სატალაში შეუერთდა ტრაიანეს თავისი ჯარით. თავად ამაზასპოსს ბრძოლებში მონაწილეობის მიღება ვერ მოუსწრია. იგი საომარი მოქმედებების დაწ-

ყებამდე გარდაცვლილა და ნისიბისის (მიგდონიის ანტიოქია) ახლოს დაუმარხავთ (დებევუაზი 1938, 222; თუმანოვი 1969, 13-14). ამ ამბავს რომში აღმოჩენილი ეპიტაფია გვამცნობს, სადაც ბერძნულად წერია: „სახელოვანი მეფის ძე, ამაზასპოსი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც კასპიის კართანაა, იბერი, იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც ააგო ნიკატორმა მიგდონის, ზეთისხილის ხეების მასაზრდოებელ მდინარესთან. გარდაიცვალა ავზონთა წინამძღოლის თანამგზავრი, მოსული უფლისთვის პართელებთან საბრძოლველად, ვიდრე გაისვრიდა, ვაი რომ ძლიერ ხელს მტრის სისხლში, შუბით, მშვილდითა და მახვილით ქვეითიც იყო და მხედარიც, მორცხვი ქალწულების მსგავსად" [9] (ყაუხჩიშვილი 2009, 12; ბრონდი 1994, 230 cf. გამყრელიძე, თოდუა 2006, 16). ამაზასპის ეპიტაფია მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს – იბერიელების 114-117 წ.წ. რომაულ-პართულ ომებში მონაწილეობას გვამცნობს, მაგრამ არ გვეუბნება, რატომ დაასაფლავეს ქართლელი უფლისწული ნისიბისთან ან რატომ გააკეთეს მისი მემორიალური წარწერა ბერძნულ ენაზე რომში?

მრავალი ლათინური და ბერძნულენოვანი ეპიტაფიაა ცნობილი რომაული სამყაროდან, რომლებიც მიცვალებულების, ან მათი ნაშთების რეპატრიაციას ასახავს. ბერძნულენოვანი ეპიტაფიები, ლათინურისგან განსხვავებით, უფრო ინფორმაციულია. ისინი მიცვალებულის ხასიათისა და ყოფის დეტალებს გადმოსცემენ. ძირითადად, მეფეების, იმპერატორების, სახელმწიფო და სამხედრო მაღალჩინოსნების ცხედრების ან ნაშთების დაბრუნება ხდებოდა სამშობლოში, თუმცა ვაჭრების, ჯარისკაცებისა და სხვა სოციალური ფენის ხალხის გადასვენების ფაქტებიცაა ცნობილი. ომებში დაღუპული ან დაკარგული მეომრების ეპიტაფიების გაკეთება მათ სამშობლოში ხდებოდა. ძველ სამყაროში ეს გავრცელებული პრაქტიკა იყო, რომელსაც კენოტაფი ერქვა. რეპატრიაცია ფასიანი იყო და მას რომაული კანონი არეგულირებდა. თავად ეს პროცესი მდიდრული დასაფლავების რიტუალის ნაწილი იყო (თაიბოუთი 2016, 390-417). აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რამდენიმე

9 ეპიტაფია 1890 წლიდან მოყოლებული მრავალჯერაა გამოცემული. არსებობს ბერძნული ტექსტის რამდენადმე განსხვავებული თარგმანები. ეპიტაფია დაკარგულია.

საყოველთაოდ ცნობილი რეპატრიაციის ფაქტი, მაგალითად, იმპერა-ტორ ტრაიანეს ფერფლი კილიკიიდან რომში წაიღეს და დაკეზთან მისი ტრიუმფის ამსახველი კოლონის ქვეშ დაფლეს. მითრიდატე ევპატორის ცხედარი მისმა ვაჟმა ყირიმიდან  მცირე აზიაში გაუგზავნა პომპეუსს, რომელმაც დიდი პატივით დაკრძალა, სავარაუდოდ, ამასიაში. თავად პომპეუსის ცხედრის ნაშთები მისმა ცოლმა, კორნელიამ ეგვიპტიდან იტალიაში წაიღო და იქ თავიანთ ვილაში დაასაფლავა.

ამაზასპის დასაფლავება და მისი ეპიტაფია არცერთ ჩვენთვის ცნობილ სიტუაციაში არ ეწერება. უცნობია, თუ ვინ ან რა მიზნით შეუკვეთა ეპიტაფიის ტექსტი. რატომღაც ტექსტის ავტორად ადრიანეს მიიჩნევენ (თაიბოუთი 2016, 400, შენიშვნა 26). ამგვარი წარწერები ძირითადად დამკვეთის დამოკიდებულებას და აზრებს ასახავდა და არა მიცვალებულისას (თაკომა, თაიბოუთი 2016, 347).

ტრაიანეს სიკვდილის შემდეგ რომის იმპერატორი მისი შვილო-ბილი და მემკვიდრე, ადრიანე (117-138 წ.წ.) გახდა. ადრიანემ ტრაიანეს ექსპანსიური პოლიტიკის კურსი შეცვალა. მისი პრიორიტეტი იმპერისა და მისი საზღვრების დაცვა გახდა, ნაცვლად ახალი მიწების დაპყრობისა. ადრიანე ბევრს მოგზაურობდა იმპერიის როგორც დასავლეთით, ასევე აღმოსავლეთით და ცდილობდა მრავალეთნიკურ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობების დამყარებას. უგებდა მათ გზებს, უშენებდა ხი-დებსა და აკვედუკებს. აღადგენდა პროვინციების ძველ, დანგრეულ ურბანულ ცენტრებს და აშენებდა ახალს. იგი იმპერიაში რომაული კულტურის გავრცელებას უწყობდა ხელს (ვებერი 2006, 295, 312, 319).

მცირე აზიაში ადრიანემ თითქმის მიატოვა ევფრატის აღმოსავ-ლეთი და დამცავი ხაზი სირიაში გააძლიერა (ბერნსი 2016, 36). სირიის პროვინციას, სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ ხმელთა-შუაზღვისპირეთში. რომაელი იმპერატორები ხშირად ჩადიოდნენ სირიაში თავიანთი პოლიტიკური და სამხედრო მიზნების განსახორ-ციელებლად, მაგალითად, პირველ საუკუნეში სირიაში ავგუსტუსი და ვესპასიანე იმყოფებოდნენ, მეორე-მესამე საუკუნეებში ტრაიანე, ადრიანე, მარკუს ავრელიუსი, სეპტიმუს სევერუსი, კარაკალა, მაკრი-

ნუსი, აურელიანე, დიოკლიტიანე და სხვა. რომაელი იმპერატორების საყვარელი რეზიდენცია ქალაქი ანტიოქია იყო. 129/130 წ.წ. ადრიანემ ანტიოქიაში დაიდო ბინა და იქიდან მიემგზავრებოდა ხოლმე პროვინციის ჩრდილოეთი მხარეების მოსანახულებლად. ადრიანეს ვიზიტი სირიის პროვინციაში მშვიდობიანი მისიით გამოირჩეოდა. ის ერთადერთი იმპერატორი გახლდათ, რომელიც სირიაში საომრად არ ჩასულა (სარტრი 2007, 132).

131 წ. ადრიანე კაბადოკიაში გაემგზავრა, სადაც კლიენტი მეფეები დაიბარა შეხვედრაზე. დაბარებულ მეფეებს შორის იყო იბერიის მეფე ფარსმან II. შეხვედრის ადგილი, სავარაუდოდ, სატალა უნდა ყოფილიყო (ბოსვორსი 1977, 228). ფარსმანმა ქედმაღლობა გამოიჩინა და არ ეახლა იმპერატორს. ადრიანემ მეფეები გულუხვად დაასაჩუქრა. როდესაც ფარსმანმა ეს ამბავი შეიტყო, ინანა, რატომ არ ვეახლეო. ადრიანემ არც ფარსმანს დასწყვიტა გული. სხვა მდიდრულ საჩუქრებთან ერთად, ერთი სპილო და ორმოცდაათი ჯარისკაცი გაუგზავნა იბერიის მეფეს. ფარსმანმაც საპასუხოდ მდიდრული ძღვენი და ოქროს ძაფებით ამოქარგული ტუნიკები გაუგზავნა ადრიანეს. ადრიანემ კი ოქროთი მოქარგული ტუნიკები 300 სიკვდილმისჯილ დამნაშავეს ჩააცვა და არენაზე გაიყვანა ფარსმანის საჩუქრების გასამასხარავებლად (ავგუსტუსების ისტორია, ადრიანე 17. 10. 11. 12).

ეს ამბავი „ადრიანეს ცხოვრებიდან" ვიცით, რომელიც მეოთხე საუკუნის ლათინურენოვანი ლიტერატურული წყაროა. თხზულება თავდაპირველად ვინმე აელიუს სპარტიანუსს მიეწერებოდა. შემდეგ კი ავტორთა კოლექტივს და აღინიშნებოდა მისი წინააღმდეგობრივი შინაარსი. ავტორის ვინაობა და თავად წყაროს სანდოობა დღემდე სადავოა (სიმი 1968, 1972; ლანგენფელდი 2017). ამიტომ, ჩვენ არ ვიცით რამდენად შეესაბამება წყაროში მოთხრობილი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამბები, ისტორიულ ფაქტებს, თანაც, არც მათი გადამოწმება ხერხდება სხვა რომელიმე ისტორიული თუ არქეოლოგიური წყაროთი. აღსანიშნავია, რომ ტექსტში აღწერილი ადრიანეს გულუხვობა კარგად ესადაგება მის რეალურ პოლიტიკურ კურსს და კლიენტი მეფეების მომადლიერების სურვილით აიხსნება, მაგრამ გაუგებარია, ფარსმანის

ქედმაღალი და ურჩი საქციელი. ადრიანეს საპასუხო მოქმედება – ფარსმანის ნაჩუქარ ტუნიკებში სიკვდილმისჯილთა გამოწყობა კი, შესაძლოა, იბერიის მეფის გაფრთხილებად ჩაითვალოს.

ადრიანესა და ფარსმანს შორის ურთიერთობა ნამდვილად დაიძაბებოდა რამდენიმე წლის შემდეგ. 135 წ. ფარსმანმა ალანები იბერიის ტერიტორიაზე გაატარა და ალბანეთსა და მედია ატროპატანეს შეუსია. ალანების ლაშქრობამ იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ არმენიისა და კაბადოკიის ტერიტორიებიც მოიცვა. ალანების გამანადგურებელი თავდასხმის შეჩერება მხოლოდ სპარსეთის მეფე ვოლოგეზესა და კაბადოკიის ლეგატის ფლავიუს არიანეს ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა. ვოლოგეზემ საჩუქრებით მოისყიდა ალანები, არიანემ კი სამხედრო ძალით დააშინა ისინი (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 69.15.1; ბოსვორსი 1977, 219-229; ვებერი 2006, 313). ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გამოავლინა, რომ ქართლელებს დარიალის კარის კონტროლი და ალანების მანიპულირება შეეძლოთ.

ფარსმან II-ს ურთიერთობები იმპერატორ ანტონინუს პიუსთან (138-161 წ.წ.) მოუგვარებია. ანტონინუს პიუსს კეთილი და მზრუნველი იმპერატორის სახელი ჰქონდა. მას მიაჩნდა, რომ ექსპანსიური პოლიტიკა და იმპერიის გაფართოება დაპყრობების ხარჯზე აღარ იყო საჭირო. ანტონინუსის პრესტიჟი საქვეყნოდ იყო ცნობილი. მასთან ელჩები მიდიოდნენ ინდოეთიდან, ჰირკანიიდან, ბაქტრიიდან და სხვა ქვეყნებიდან (ვებერი 2006, 335-336). 141 წ. ფარსმან იბერიელიც ეწვია რომში იმპერატორს თავისი ცოლ-შვილითა და ამალით. ანტონინუსმა ფარსმანს დომენი გაუზარდა, კაპიტოლიუმზე მსხვერპლშეწირვის უფლება მისცა, ფარსმანის ცხენიანი ქანდაკება დაადგმევინა ბელონას ტაძარში და პირადად დაესწრო ფარსმანის, მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებული იბერიელების შეიარაღებულ სამხედრო ასპარეზობას (ეპიტომე; [10] ავგუსტუსების ისტორია, ანტონინუს პიუსი 9. 6).[11]

---

10 ეპიტომე დიო კასიუსს მიეწერებოდა. ის უცნობი ავტორის მიერაა შესრულებული, მაგრამ დიო კასიუსის „რომის ისტორიას" ერთვის.

11 ფარსმანის ვიზიტი, შესაძლოა, ოსტიის ფასტიშიც ყოფილიყო მოხსენიებული. 1958 (?) წ. ძველი რომის საპორტო ქალაქ ოსტიაში აღმოჩნდა ლათინურენოვანი ფასტი - რომაელი მაგისტრების კალენდარი, სადაც ჩამოთვლილი იყო მოვლენები ძვ.წ. 49 წლიდან ახ.წ. 175 წლამდე. ფასტის ერთ-ერთ ფრაგმენტზე წერია სახელი ფარსმან. ტექსტი ფრაგმენტულია.

ბელონა ომის რომაული ქალღმერთი იყო. მისი სახელობის ტაძარში ფარსმანის ცხენიანი ქანდაკების აღმართვა და თავად იმპერატორის მიერ იბერიელების სამხედრო მომზადების დონის შემოწმება კიდევ ერთხელ ცხადყოფს რომაელების დაინტერესებას იბერიელების სამხედრო ძლიერებით. მიუხედავად იმისა, რომ ანტონინუს პიუსი მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა აღმოსავლეთში, როგორც ჩანს, იგი ადგილობრივი მოსახლეობის სამხედრო წვრთნასა და მზადყოფნას მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ახ.წ. პირველ-მეორე საუკუნეებში რომაელებს ქართლელები ორი მიზეზის გამო ესაჭიროებოდათ. პირველი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართლელები ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთით გადასასვლელ გზებს დარიალის კარის მეშვეობით აკონტროლებდნენ და სარმატებს/ალანებს თავიანთი ინტერესებისთვის იყენებდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც სტრაბონი აღნიშნავდა, ის იყო, რომ ქართლელები და სარმატები მონათესავე ხალხები იყვნენ და ერთმანეთში საქმეებს ადვილად აგვარებდნენ (სტრაბონი 11, 3, 3). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამის დამადასტურებელი მხოლოდ ორი შემთხვევაა ცნობილი ლიტერატურული წყაროებიდან და მათი არქეოლოგიური მონაცემებით გადამოწმება არ ხერხდება. პირველ შემთხვევას პირველ საუკუნეში (35 წ.) ჰქონდა ადგილი, ხოლო მეორეს – მეორეში (135 წ.). რომის იმპერიის ქართლის სამეფოსადმი ინტერესი საუკუნეების მანძილზე დარიალის კარის კონტროლის ვიწრო ინტერესით არ უნდა შემოფარგლულიყო (ვილერი 2013, 324; cf. ბრონდი 1994, 216; გაგოშიძე 2007, 30; გაგოშიძე 2008, 1, 10, 12-22; გამყრელიძე 2012, 197). პირველ-მეორე საუკუნეებში სარმატები რომის იმპერიისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. სარმატების/ალანების ლაშქრობები პირდაპირ თუ ირიბად პართელების წინააღმდეგ იყო მიმართული. პართელების დასუსტებით კი რომის გავლენა ძლიერდებოდა მცირე აზიაში. მაგალითად, 35 წლის ლაშქრობის შედეგად რომი ორმაგად მოგებული დარჩა, რადგანაც თავისი მინიმალური სამხედრო დანახარჯით, ქართ-

მისი ჰიპოთეზური რეკონსტრუქციის საფუძველზე, ზოგმა მკვლევარმა მიიჩნია, რომ კალენდარში აღნიშნულია ფარსმან იბერიელის ვიზიტი ანტონინუს პიუსთან რომში (ნესელჰაუფი 1958, 219-288; გამყრელიძე 2008, 122-124).

ლელების ხელით პოზიციების გამტკიცება შეძლო არმენიაში. ალანების 72 წლის ლაშქრობამაც მედია ატროპატანესა და არმენიაში მხოლოდ პართია აზარალა. ალანებმა საგანგებოდ აუარეს გვერდი რომის მცირე აზიის პროვინციებს და ორი ქვეყნიდან მოხვეჭილი, დიდძალი ნადავლით დახუნძლულნი, სავარაუდოდ, იბერიის კავკასიონის კარის გავლით დაბრუნდნენ სახლში (ბოსვორსი 1977, 223). მხოლოდ 135 წელს შეესივნენ ისინი რომის დაქვემდებარებულ ტერიტორიებს. არიანეს არ გასჭირვებია ალანების მოგერიება, რითაც კიდევ ერთხელ დაანახა პართელებს რომაული სამხედრო ძლიერება.

ამრიგად, მეორე და გაცილებით მნიშვნელოვანი მიზეზი რომაელების იბერიით დაინტერესებისა, ქართლის სამეფოს არმენიასთან გეოგრაფიული სიახლოვე იყო. რომაელები ქართლელებს სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ. ქართლელი მეფეები რომის ზურგით სომხებს უპირისპირდებოდნენ როგორც პოლიტიკურად, ასევე მილიტარისტულად. ისინი სომხეთში პრორომაული მმართველი ძალის არსებობას უზრუნველყოფდნენ. ამგვარ სამსახურში კარგ გასამრჯელოს იღებდნენ. იბერიელი უფლისწულები სომხეთში მეფდებოდნენ, ხოლო მეფენი, რომის მხარდაჭერით, სომხეთის ხარჯზე თავიანთ სამფლობელოს აფართოებდნენ. გამოდიოდა, რომ რომის ამგვარი პოლიტიკის შედეგად, იბერიელები აღმოსავლეთ იმპერიის ჩრდილოეთ პერიფერიას იცავდნენ, ისევე როგორც ალბანელები აღმოსავლეთისას. ეს გარემოებები გვაფიქრებინებს, რომ პირველ-მეორე საუკუნეებში ქართლი, ალბანეთთან ერთად, რომის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრების დამცავი სისტემის ნაწილი იყო (ბოსვორსი 1977, 227).

იმპერიის დასაცავად რომაელ იმპერატორებს საზღვრების კონცეფცია ჰქონდათ შემუშავებული, რაც სხვადასხვა რეგიონში უსაფრთხოების განსხვავებული ზომების გატარებას ნიშნავდა. პირველ-მეორე საუკუნეებში მცირე აზიაში ბუფერული ზონების შექმნის პოლიტიკა იყო აქტუალური, ხოლო ბრიტანეთში მრავალკილომეტრიანი სასიმაგრო კედლების (ადრიანეს კედელი) აშენება. ავგუსტუსის ხანიდან მოყოლებული, რომის სასაზღვრო პოლიტიკის კარდინალური

პრინციპი იყო საზღვრებს მიღმა განლაგებული მტრულად თუ კეთილად განწყობილი ხალხებისა და სამეფოების დამორჩილება სამხედრო ძალით, დიპლომატიური მოლაპარაკებით ან მოსყიდვით. ამგვარი პოლიტიკის შედეგად, აზიელი ადგილობრივი მმართველნი, რომის პერიოდული დახმარებით, თავიანთ სამეფოებს ამლიერებდნენ, რითაც, იმავდროულად, რომის აღმოსავლეთის საზღვრებსაც იცავდნენ. ეს ზომები ხანმოკლე იყო, რადგანაც სამეფოები სუსტნი, ხოლო მათი მეფენი არასანდონი იყვნენ. იმპერატორები, საბოლოოდ, ამგვარ სამეფოებში მეფობას აუქმებდნენ და პროვინციის სტატუსით იმპერიაში აერთიანებდნენ (ვილიამსი 1996, 2). სწორედ, ამგვარი პოლიტიკის შედეგად აღმოჩნდა რომის აღმოსავლეთ იმპერიაში სირია, იუდეა, პონტო, კაბადოკია, სოფენე, კომაგენე და არმენია.

ანტონინუს პიუსის გარდაცვალების შემდგომ იმპერატორი მარკუს ავრელიუსი (161-180 წ.წ.) გახდა. მარკუს ავრელიუსმა მოწყალე, მშვიდობისა და უსაფრთხოების მოყვარული იმპერატორის სახელი დაიმკვიდრა, თუმცა, არაერთი საომარი კამპანია აწარმოვა როგორც იმპერიის დასავლეთით, ასევე აღმოსავლეთით. აღმოსავლეთში მან თითქმის გაიმეორა ტრაიანეს მიღწევები. 163-65 წ.წ. კაბადოკია, სირია და არმენია რომის გავლენას დაუბრუნა. აიღო ქალაქი დურა ევროპოსი და ევფრატის შუა წელამდე ტერიტორიები ისევ რომის პირდაპირი კონტროლის ქვეშ მოაქცია (ვებერი 2006, 345-349, 362; ბერნსი 2016, 36).

პართიის წინააღმდეგ საომარი კამპანიები იმპერატორმა სეპტიმუს სევერუსმა (193-211 წ.წ.) განაახლა მეორე საუკუნის მიწურულს, რასაც მესოპოტამიის ჩრდილოეთის რომის გავლენის სფეროში მოქცევა მოჰყვა. რომაულმა ლეგიონებმა იმხელა უპირატესობა მოიპოვეს, რომ მათ პართიის დედაქალაქი ცესიფონიც კი დაარბიეს. დაპყრობილი ტერიტორიების უკეთ გასაკონტროლებლად სეპტიმუს სევერუსმა აღმოსავლეთი საზღვრების რეორგანიზაცია დაიწყო. მან არაბეთიდან იორდანიამდე საზღვრების დასაცავად ფორტები ჩაამწკრივა. მოპოვებულ სამხედრო უპირატესობას რომი 230 წლამდე, ირანში სასანიდთა დინასტიის მომძლავრებამდე ინარჩუნებდა (ქემფბელი 2008, 4-6; ლიუ 2007, 35).

მითრიდატე პონტოელის დამარცხებისა და მისი სამეფოს დაქსაქსვის შემდგომ რომის იმპერიის მთავარი მეტოქე აზიის კონტინენტზე არშაკიდების პართია გახდა. დაპირისპირება ორ იმპერიას შორის ორ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა, რომელიც ხან კრიტიკულად მწვავე, ხან კი სტაბილური იყო. იცვლებოდა გავლენის სფეროები და ტერიტორიები, თუმცა, სიტუაციას მაინც რომაელები ფლობდნენ და ხშირად უპირატესობასაც კი ინარჩუნებდნენ. ამ ხნის განმავლობაში რომსა და პართიას შორის ძირითადი ტერიტორიული სასაზღვრო ზოლი მდინარე ევფრატზე გადიოდა.

რომაელებმა თავიანთ კონტროლირებად ტერიტორიებზე უსაფრთხო და სტაბილური გარემო შექმნეს ვაჭრობის ხელშესაწყობად. მთავარი სავაჭრო არტერია სირიაზე გადიოდა, საიდანაც ძვირფასი საქონელი რომის სხვადასხვა ცენტრში ჩადიოდა მზარდი საშუალო ფენის დასაკმაყოფილებლად (მილარი 1993, 33; იანგი 2001, 14-18; ბერნსი 2016, 3). ამგვარი სიტუაცია მეორე საუკუნის 20-იან წლებამდე გაგრძელდა. მაგრამ, როდესაც არშაკიდების სუსტი დინასტია სასანიდების მძლავრმა გვარმა ჩაანაცვლა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა.

224 წ. გაერთიანებული ირანის სამეფოს ტახტზე სასანიდების დინასტიის ფუძემდებელი, ისტარხის ზოროასტრელი ქურუმის, პაპაკის შვილი, არდაშირ I (224-242 წ.წ.) ავიდა. მან არტაბანუს IV (213-224 წ.წ.) ჰორმოზდგანის ბრძოლაში მოკლა, რითაც დაასრულა არშაკიდების სამეფო გვარის ორსაუკუნოვანი მმართველობა. სასანიდები აქემენიდების მემკვიდრეებად თვლიდნენ თავს. მათ აქემენიდების იმპერიის აღდგენა და წინა და მცირე აზიის ირანის გავლენის სფეროში დაბრუნება სურდათ. არდაშირმა აქემენიდი მეფეების ტიტული შაჰანშაჰ (მეფეთ-მეფე) აღადგინა. იგი ირანის შაჰან-შაჰად (šāhān šāh i Ērān) იწოდებოდა. არდაშირის შემდეგ ყოველ მომდევნო სასანიდ მეფეს შაჰანშაჰის ტიტული ჰქონდა (დარე 2012, 188-191). არდაშირმა დააარსა ქალაქი ვეჰ-არდაშირი, რომელიც ქტესიფონის ტყუპი ქალაქი და მასთან ერთად, ასურისტანის სასანური პროვინციის მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი გახდა (ლიუ 2007, 37).

სასანიდების მზარდი პოლიტიკური და მილიტარისტული ამბიციები რომის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების უსაფრთხოებას დაემუქრა. იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში სიტუაცია დაიძაბა. ამას დასავლეთში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისიც დაერთო. კრიზისი 235 წ. რომაელი ლეგიონერების მიერ იმპერატორ სევერუს ალექსანდრესა (222-235 წ.წ.) და მისი დედის, იულია მამეას მკვლელობას მოჰყვა. პოლიტიკური კრიზისი სამოქალაქო ომებში გადაიზარდა, რომელიც თითქმის 50 წელი გაგრძელდა. ეს პერიოდი რომის იმპერიის ისტორიაში „მესამე საუკუნის კრიზისის" სახელითაა ცნობილი. პოლიტიკური და სამხედრო არეულობების გამო ქალაქი რომიდან იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის მართვა გართულდა. რომის კრიზისით ისარგებლეს სასანიდებმა, ევფრატი გადალახეს და რომის აღმოსავლურ პროვინციებს შეუტიეს. 256 წ. შაბურ I-მა (240-272 წ.წ.), საბოლოოდ, აიღო დურა-ევროპოსი. სასანიდებმა სასტიკად დაარბიეს ქალაქი, რომელიც მას შემდეგ ვეღარც აღდგა. დურას შემდგომ შაბურმა აიღო ანტიოქია, ნიკოპოლისი და სხვა ქალაქები. რომი უძლური აღმოჩნდა, დაეცვა ევფრატზე გამავალი საზღვარი (დრინქვოთერი 2008, 28-38; სარტრი 2007, 342-350; ბერნსი 2016, 6).

სასანიდებთან ბრძოლაში რომის სამმა იმპერატორმა განიცადა სამარცხვინო მარცხი. გორდიანე III (223-244 წ.წ.) მისიკეს/მიშიკეს ბრძოლაში დაიღუპა. ფილიპე არაბი (244-249 წ.წ.) იძულებული გახდა, დამამცირებელი ზავი დაედო, თანაც 500.000 დენარი გადაეხადა შაბურისთვის (დარე 2012, 190). იმპერატორი ვალერიანე (253–260 წ.წ.) კი 260 წ. ქალაქ ედესასთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაშივე გარდაიცვალა. მოვლენების ამგვარი წარუმატებელი მიმდინარეობა უპრეცედენტო იყო რომისთვის. რომაელები სრულ დაბნეულობასა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ. რომის პოზიციების დასუსტებამ სასანიდების გაძლიერება გამოიწვია წინა და მცირე აზიაში. განსაკუთრებულ ძლიერებასა და ტერიტორიულ ზრდას მათ შაბურ I-ის მმართველობის დროს მიაღწიეს. სასანიდების სამფლობელო ეთნიკური, ლინგვისტური, პოლიტიკური და რელიგიური ნიშნების მიხედვით, ირანად (Ērānšahr) და ან-ირანად (Anērān) ანუ არა-ირანად დაიყო. თუკი

არდაშირ I მხოლოდ ირანის მეფეთ-მეფე იყო, მისი შვილი, შაბურ I ირანისა და არა-ირანის შაჰან-შაჰი (šāhān šāh i Ērān ud Anērān) გახდა. შაბურ I-ის ძლევამოსილებას მეტად თვალსაჩინოდ ასახავს ბიშაპური-სა[12] და ნაქში-რუსტემის[13] კლდეებზე ამოკვეთილი ოთხი სკულპტურუ-ლი რელიეფი და რამდენიმე წარწერა. ისინი შაბურის მმართველობის პერიოდში, რომაელებზე გამარჯვების შემდგომ შეიქმნა. რელიეფების სიუჟეტები შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია. ისინი შაბურის რომაული ტრიუმფების ციკლს ილუსტრირებენ და მეფეთ-მეფის პრესტიჟს უსვამენ ხაზს. მათზე გამარჯვებული, ცხენზე ამხედრებული შაბური და რომის სამი დამარცხებული და დამცირებული იმპერატორი არის გამოქანდაკებული. გორდიანე III-ის ცხედარი შაბურის ცხენის ფლოქვებთანაა, ფილიპე არაბი პროსკინეზას პოზაშია, ვალერიანეს ხელები კი შაბურს უჭირავს, იმის საჩვენებლად, რომ მან თავისი ხელით შეიპყრო იმპერატორი. ეს ამბავი ნაქში-რუსტემის რელიეფის შუა



**6. შაბურ I-ის რელიეფი ნაქში-რუსტემიდან**

12 ბიშაპური – სასანიდების ქალაქი. მდებარეობს თანამედროვე ფარსის პროვინციაში, ირანში.

13 ნაქში-რუსტემი აქემენიდ მეფეთა განსასვენებელი კლდოვანი ადგილი, სადაც სასანური რელიეფები და წარწერებიც არის ამოკვეთილი. მდებარეობს თანამედროვე ფარსის პროვინციაში, ირანში.

სპარსულ წარწერაშიცაა მოთხრობილი, რომელიც შაბურისა და მისი ცხენის ფიგურების მარჯვნივაა ამოტვიფრული. ტექსტი ზოროასტრელ ქურუმ კარტირს/კერდირს მიეწერება, რომლის ბიუსტიც წარწერის ზემოთაა. ამგვარი კომპოზიცია საგანგებოდ შეიქმნა აქემენიდი მეფეთ-მეფეების განსასვენებელ ადგილას, რათა კიდევ ერთხელ გამოჩენილიყო სასანიდების ტრიუმფი და რომაელების მარცხი. პროსკინეზას გამოხატვა ვიზუალურ ხელოვნებაში სასანური ტრადიცია არ ყოფილა. სასანიდებმა ეს რომაელებისგან ისწავლეს, რომლებიც ხშირად უსვამდნენ ხაზს პართელი და არმენიელი არშაკიდების ადორაციას რომაელი იმპერატორებისადმი (ფრაი 2008, 464; კანეფა 2009, 53-75; შაიეგანი 2017, 401–455).

შაბურ I-ის დიდება და სასანიდების ბმა აქემენიდებთან ნაქშირუსტემის მეტად მნიშვნელოვან, სასანურ ეპიგრაფიკულ ძეგლზეც არის დოკუმენტირებული. აქემენიდების დროინდელ ზოროასტრის ქააბას[14] ერთ-ერთ კედელზე ვრცელი, სამენოვანი (შუა სპარსული, პართული, ბერძნული) წარწერა[15] არის გაკეთებული შაბურის სახელით, სავარაუდოდ, 260-262 წლებში. პართულ ტექსტში წერია, რომ ირანისა და არა-ირანის ღვთაებრივი მეფეთ-მეფე შაბური მაზდას მსახურია და ასევე მაზდას მსახური ღვთაებრივი მეფეთ-მეფე არდაშირის შვილი. მასში აღწერილია შაბურის რომაული ტრიუმფები და დამარცხებული რომაელი იმპერატორების ქმედებები. ჩამოთვლილია ქვეყნები, მეფეები და მიწები, რომლებიც შაბურის დაქვემდებარებაში მოექცა. ტექსტის მეორე პარაგრაფი ამ ქვეყნების სიით იწყება: სპარსეთი, პართია, ასურისტანი, აზერბაიჯანი, არმენია, ქართლი (Wiruzān/Wručān), სიგანი, ალბანეთი, ბალასაგანი, ტერიტორია კავკასიის მთებამდე დარიალის კარის ჩათვლით, ელბურზის მთაგრეხილი და სხვა. 44-ე პარაგრაფში წერია, რომ აბიადენეს მეფე არდაშირი, კერმანის მეფე არდაშირი, მეშანის დედოფალი დენაგი, იბერიის მეფე (ჰ)ამაზასპი და სხვა ქვეყნის

14 ზოროასტრის ქააბა არის აქემენიდების დროინდელი ზოროასტრის იგივე ზარატუშტრას კოშკი.
15 შაბურ I წარწერა ლიტერატურაში ამ აბრევიატურით – SKZ მოიხსენიება. მიხეილ როსტოვცევმა წარწერას Res Geste Divi Saporis უწოდა Res Geste Divi Augustus-ის მიხედვით (როსტოვცევი 1943, 17-60).

მეფენი შაბურის პირდაპირ დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ (ჰიუზი 1999, 200-260).

როგორც ვხედავთ, ტექსტი მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს მესამე საუკუნის 60-იანი წლების ქართლის პოლიტიკური და რელიგიური სიტუაციის შესახებ. დაახლოებით მეორე საუკუნის ბოლოდან მესამე საუკუნის მიჯნამდე იბერიაში არშაკიდების ქართლური დინასტია მეფობდა. ქართლელი არშაკიდები, ისევე როგორც არმენიელი არშაკიდები, სასანიდების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ვალერიანეს დამარცხების შემდეგაც, ალბანეთის მეფეებთან ერთად რომანოფილებად დარჩნენ (იხ. თუმანოვი 1969 ლიტერატურით). შაბურ I-ის წარწერიდან კი ვიგებთ, რომ მესამე საუკუნის 60-იან წლებში ქართლი ირანის შემადგენლობაში მოქცეულა. ქვეყანას სასანური პოლიტიკის გამტარებელი მეფე ამაზასპი მართავდა და იქ ზოროასტრული რელიგია ყოფილა გავრცელებული.

შუა საუკუნეების ქართული ქრონიკების „მოქცევაი ქართლისაის" და „ცხოვრება ქართველთა მეფეთას" მიხედვით, ამ პერიოდში ქართლის მეფე მითრიდატე IV[16] იყო (მელიქიშვილი 1958, 162). სასანური და ქართული წყაროების შეუსაბამობა კ. თუმანოვის მიერ ამგვარადაა ახსნილი. ამაზასპი შაბურის მიერ იქნებოდა ხელდასხმული 260 წლის გამარჯვების შემდეგ და ის შესაძლოა მითრიდატეს ანტიმეფეც კი ყოფილიყო (თუმანოვი 1969, 18-19). ამ მოსაზრებას თ. მგალობლიშვილი და ს. რაპიც იზიარებენ (მგალობლიშვილი, რაპი 2011, 264-275).

მესამე საუკუნის ბოლოს ქართლში სასანური გავლენისა და ზოროასტრიზმის ზრდაზე ზოროასტრის ქააბას კედელზე დაახლოებით 280 წელს შესრულებული მეორე სასანური წარწერაც გვამცნობს. ტექსტი მთავარი ზოროასტრელი ქურუმის, კარტირის/კერდირის სახელითაა დაწერილი შუა სპარსულ ენაზე. მას როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიური დატვირთვა აქვს. კარტირი ოთხი სასანიდი მეფეთ-მეფის (შაბურ I, ჰორმიზდ I (270-271 წ.წ.), ბაჰრამ I (270-274 წ.წ.), ბაჰრამ II 274-293 წ.წ.) დროს მსახურობდა. იგი ირანისა და არა-ირანის

16 კ. თუმანოვსა (1969) და ს. რაპს (2003) მიაჩნდათ, რომ მითრიდატე II მეფობდა ამ პერიოდში და მისი ანტიმეფე შეიძლება ყოფილიყო ამაზასპი.

ტერიტორიებზე ავრცელებდა ზოროასტრიზმს, აშენებდა ცეცხლის ტაძრებს და ამკვიდრებდა მაგის ინსტიტუციებს. წარწერის მე-12 და მე-13 პარაგრაფებში არა-ირანის ქვეყნებია ჩამოთვლილი. კილიკიას, კაპადოკიას, გალატეას, არმენიასა და სხვათა შორის მოხსენიებულია ქართლი (Vrvčan), ალბანეთი და ტერიტორია ბალასგანიდან ალანების კარამდე. შაბურ I-ის წარწერისგან განსხვავებით, კარტირის წარწერაში ეს ქვეყნები არა-ირანად მოიაზრებოდა (მაკენზი 1989, 35-72; პანაინო 2016, 3; დარე 2012, 189; მგალობლიშვილი, რაპი 2011, 275). უცნობია, თუ რა მაჩვენებლები განსაზღვრავდა სასანიდების პერსპექტივიდან ქართლის ირანისა თუ არა-ირანისთვის მიკუთვნებას. ზოროასტრიზმის/მაზდაიზმის ლოკალური ვარიანტები ქართლში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში სასანიდებამდეც იყო გავრცელებული. შესაძლოა, კავკასიური სინკრეტული რელიგია არ იყო სრულფასოვანი  მაზდას უხუცესი ქურუმისთვის და მას ზოროასტრული პროპაგანდის გაძლიერება სურდა.

მესამე საუკუნის იბერიისა და სასანიდების ირანის ურთიერთობა ქართლში აღმოჩენილი სასანური მონეტებითა (დუნდუა, დუნდუა 2014, 40) და გემებითაც კარგად ჩანს (რამიშვილი 1979). არქეოლოგიური წყაროები სასანიდების ყოფნას დარიალის ხეობაშიც ადასტურებს მეოთხე საუკუნის ბოლოდან. დარიალის გველეთის კოშკისა და სამაროვნის გათხრებზე მოპოვებული ძვლისა და ნახშირის ფრაგმენტები მეოთხე-მეხუთე საუკუნეებით დათარიღდა (საუერი 2020, 870-871).

სასანიდთა პოლიტიკურმა და სამხედრო უპირატესობამ რომაულ აღმოსავლეთში თითქმის მესამე საუკუნის ბოლომდე გასტანა. იმპერატორ აურელიანეს (270-275 წ.წ.) დროს დაიწყო სიტუაციის ცვლა. აურელიანემ დაქსაქსული იმპერიის გაერთიანება შეძლო და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია წინა აზიაში. მან დაამარცხა დედოფალი ზენობია, რომელიც მისი ქმრის, ოდენაუსის გარდაცვალების შემდეგ მართავდა პალმირას სამეფოს და წინააღმდეგობას უწევდა როგორც სასანიდებს, ასევე რომაელებს. აურელიანემ ქალაქი პალმირა აიღო და გაასამართლა ზენობიას მინისტრები. მან აღმოსავლეთის სასიმაგრო სისტემების რეორგანიზაციაც გააკეთა (დრინქვოთერი 2008, 50-53).

ეფექტური რეფორმების მიუხედავად, „მესამე საუკუნის კრიზისი" აურელიანეს მმართველობის დროს და მის შემდეგაც გაგრძელდა. კრიზისი, ფაქტობრივად, იმპერატორმა დიოკლიტიანემ (284-305 წ.წ.) დაასრულა რეფორმების ახალი ციკლით. მან იმპერია ოფიციალურად გაყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. 286 წ. ნიკომედია აღმოსავლეთ იმპერიის ახალ ადმინისტრაციულ ცენტრად და დედაქალაქად გამოაცხადა, სადაც ააშენა სასახლე, არსენალი, გემთსაშენი და ზარაფხანა. თვითონაც ნიკომედიაში დასახლდა და იქიდან მართავდა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს. იმპერიის დასავლეთს კი ქალაქი რომიდან განაგებდა მის მიერ დანიშნული თანაიმპერატორი მაქსიმიანე. აურელიანეს შემდეგ სამხედრო რეფორმები დიოკლიტიანემ გაატარა აღმოსავლეთში, რაც ფორტების რეორგანიზაციასაც ითვალისწინებდა. რომაელებმა მნიშვნელოვანი სამხედრო გამარჯვებები მოიპოვეს. სასანიდები იძულებულნი გახდნენ მესოპოტამიის ნაწილი რომისთვის დაებრუნებინათ, ხოლო არმენიის ნაწილი სომხეთის მეფე თრდატ IV-სთვის. რომის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში ისევ გაძლიერდა. ზურგგამაგრებულმა დიოკლიტიანემ 299 წ. ქალაქ ნისიბისში ახალი ხელშეკრულება დადო სასანიდების ირანთან. ხელშეკრულების თანახმად, რომსა და ირანს შორის საზღვარი მდინარე ტიგროსამდე გადაიწია. კომერციული კონტაქტების განხორციელება მხოლოდ ნისიბისში შეიძლებოდა. არმენია მთლიანად დაუბრუნდა რომის გავლენას. იბერიის ტახტზე მეფეების დასმაც რომის პრეროგატივა გახდა. ამ დროს ირანის მეფეთ მეფე ნარსე (293-303 წ.წ.) იყო (იხ. ბოუმენი 2008, 68-83 ლიტერატურით). ნარსეს ძალაუფლების დაკნინება მის მონეტებზეც აისახა. ზოგი მონეტიდან მეფეთ მეფის არაირანის მფლობელის ტიტული გაქრა (დარე 2012, 193-194).

დიოკლიტიანეს შემდეგ ძლიერი იმპერატორი რომს კონსტანტინეს (306–337 წ.წ.) სახით მოევლინა. მეოთხე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, დიოკლიტიანეს მსგავსად, კონსტანტინემ მცირე აზიაში ახალი დედაქალაქი, კონსტანტინეპოლი დააარსა და თვითონაც იქ დასახლდა. კონსტანტინეს მმართველობას უკავშირდება მრავალი ახალი და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. მმართველობისა

და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა მისმა რეფორმებმა, სახელმწიფო ადმინისტრაციიდან და ეკონომიკიდან დაწყებული, რელიგიით დამთავრებული. კონსტანტინემ მოახერხა რეფორმების სტაბილურ სისტემებად ჩამოყალიბება, რომლებიც იუსტინიანეს დრომდე კარგად მუშაობდა. რაც შეეხება კონსტანტინეს მიერ ქრისტიანობის მიღებასა და გავრცელებას, ამ მოვლენას კიდევ უფრო ფართო გამოძახილი მოჰყვა. ეს ახალი ეპოქის დასაწყისი იყო კაცობრიობის ისტორიაში. სწორედ, ამიტომ უკავშირდება კონსტანტინე დიდის სახელი „ახალი იმპერიის" შექმნას (იხ. ქამერონი 2008, 90-109 ლიტერატურით).

რომაული რეფორმების გამოძახილი მეოთხე საუკუნის ამიერკავკასიაშიც გაისმა. არმენიის, იბერიისა და ალბანეთის სამეფო ოჯახებმა ახალი რელიგია, ქრისტიანობა აღიარეს, რაც რომთან პოლიტიკური კავშირის გამყარებას ნიშნავდა. არმენიის მეფე თრდატ III-მ ქრისტიანობა კონსტანტინეს მონათვლისა და 312-313 წ.წ. მილანის ედიქტის გამოცემის შემდეგ მიიღო, თუმცა მას სრულიად არმენიის მოსახლეობა არ მიმხრობია. განსაკუთრებული წინააღმდეგობა მეფეს მიწათმფლობელებმა გაუწიეს, რომლებიც ადგილობრივი წარმართული კულტებისგან მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობდნენ და არ აწყობდათ რელიგიური ცვლილებები. ახალ რელიგიაში ისინი სამეფო ოჯახისადმი დაქვემდებარებულ, ერთიან, უნიფიცირებულ სისტემას ხედავდნენ, რომელიც მათ დამოუკიდებლობას და შემოსავალს საფრთხეს უქმნიდა (ლაითფუთი 2008, 487).

იბერიის მეფე მირიან III-მ და მისმა ოჯახმა ქრისტიანობა მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში მიიღეს (მელიქიშვილი 1958, 162; თუმანოვი 1969, 22-23; ლაითფუთი 2008, 489). ქვეყნის უმაღლესი პირის მიერ ახალი რელიგიის აღიარებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ გარკვეული ფენების მხრიდან იგივე უკმაყოფილება მოჰყვებოდა, რაც არმენიაში. ამის ამსახველი პირდაპირი ლიტერატურული ან არქეოლოგიური წყაროები არ გაგვაჩნია, თუმცა, „მოქცევაი ქართლისაიში" დაცული ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლში ქრისტიანობის მქადაგებელმა ნინომ ცეცხლითა და მახვილით გაავრცელა ქრისტეს რჯული მთიან რეგიონებში (მქ

1963, 87), შესაძლოა, ცენტრში მიმდინარე მოვლენების გამოძახილი ყოფილიყო.

ალბანეთის მეფე ურნაირმა დაახლოებით მეოთხე საუკუნის შუა-ხანებში მიიღო ქრისტიანობა. იგი სომხების განმანათლებელმა გრიგორმა მონათლა (ზოსვორსი 2012, 520-522). არმენია, ქართლი და ალბანეთი რომაულ-ქრისტიანული სამყაროს ნაწილი გახდა. ამიერკავკასიის ახალი რელიგიური ორიენტაცია არ ნიშნავდა სასანურ ირანთან კონტაქტების გაწყვეტას. კავკასიის რეგიონი მუდმივად გადადიოდა ერთი იმპერიის გავლენის სფეროდან მეორეში. რეგიონში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნების მეფეებიც ხშირად იცვლიდნენ პოლიტიკურ ორიენტაციას და გამარჯვებულ ძალას ემხრობოდნენ. ისინი ხან რომაელების მხარეს იბრძოდნენ, ხან სასანიდებს, თუმცა, ხანდახან მათ წინააღმდეგ აჯანყებებსაც აწყობდნენ. მეოთხე საუკუნის ბოლოდან ირანსა და რომს საერთო მტერი გამოუჩნდათ ჩრდილოეთ კავკასიის მომთაბარე ტომების, ჰუნების სახით. 395 წ. ჰუნებმა გადალახეს კავკასიის უღელტეხილები და როგორც ირანის, ასევე რომის ტერიტორიები დალაშქრეს. ჰუნების ლაშქრობა კავკასიის გავლით 504/505 წ.წ. განმეორდა. კავკასიის უღელტეხილების, დარიალისა და დერბენტის გამაგრება და კონტროლი სასანიდების მიერ მეოთხე საუკუნის ბოლოდან ჰუნების გამანადგურებელ შემოსევებს უნდა უკავშირდებოდეს (იხ. საუერი 2020, 874-878 ლიტერატურით).

ამრიგად, პირველ-მეორე საუკუნეებში ქართლის სამეფოს პოლიტიკური ცხოვრება ჯერ რომსა და პონტოს, ხოლო შემდეგ რომსა და პართიას შორის, არმენიის გამო, განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობების ფონზე წარიმართა. ამ პერიოდში არმენიის რომაულ პროვინციად და ამავე დროს ბუფერულ ზონად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. ამ პროცესში იბერიაც აქტიურად იყო ჩართული. რომაულ წერილობით წყაროებში კარგად ჩანს, რომ რომსა და იბერიას შორის განსაკუთრებულად ინტენსიური კონტაქტების ხანა პირველი-მეორე საუკუნეები იყო. ეს კარგად გამოჩნდა იგივე პერიოდის ქართლის მატერიალურ კულტურაში.

ცხადია, იბერიის, ან ზოგადად ამიერკავკასიის საკითხი არ დადგებოდა რომის რესპუბლიკის ან იმპერიის დღის წესრიგში, რომ არა კავკასიის გეოგრაფიული არეალით დაინტერესება. რომაულ-იბერიული ურთიერთობები უფრო ინტენსიური ხდებოდა მაშინ, როდესაც იმპერატორები წინა ან მცირე აზიაში იმყოფებოდნენ, ან სულაც იქ ცხოვრობდნენ, რადგანაც ამ დროს მოვლენათა ცენტრი დასავლეთიდან, რომიდან აზიაში – ანტიოქიაში, ნიკომედიაში, ან კონსტანტინეპოლში ინაცვლებდა.

მესამე საუკუნის შუახანებისთვის რომის იმპერია ეკონომიკურად და პოლიტიკურად განსაკუთრებით გამთლიანდა. ამ ინტეგრაციას აშკარად ასახავს იმპერიის საგზაო ქსელი, რამაც გადასერა მთები, მდინარეები, უდაბნოები, ტყეები და რომაული სამყაროს ყველა კუთხეს მისწვდა. იმპერიის თითქმის ყველა ნაწილშია აღმოჩენილი მრავალი წარწერიანი, მანძილის აღმნიშვნელი ქვა (milestone), რაც კარგი მაგალითია იმპერიის ერთიანი საგზაო-სატრანსპორტო სისტემის არსებობისა. გარდა ამისა, შემორჩენილია იმპერიის საგზაო ქსელის რუკები ე.წ. პუტინგერის რუკა და ანტონინუსის გზამკვლევი (ვილქსი 2008, 233-234). იმპერიის ფარგლებში ტრანსპორტირების გამარტივებამ პერიფერიებში წვდომაც გააადვილა. ამ გარემოებითაც შეიძლება აიხსნას რომაული იმპორტის მოჭარბება პირველი, მეორე და მესამე საუკუნეების ქართლში.

პერიოდი, მესამე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მეხუთე საუკუნემდე, საკმაოდ ტურბულენტური და წინააღმდეგობრივი უნდა ყოფილიყო ქართლისთვის. როდესაც, დაახლოებით 284 წელს, არშაკიდების პრორომაული სამეფო დინასტია სასანიდმა ჰოსროიდებმა ჩაანაცვლეს (თუმანოვი 1969, 21-22), ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია ირანული გახდა. რომის 299 წლის გამარჯვების შედეგად ქართლი ისევ რომაული განვითარების გზას დაადგა, რასაც ქვეყნის რელიგიის ფუნდამენტური ცვლილება მოჰყვა მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში. ქრისტიანობამ დამწერლობის გაჩენა და ზოგადად წერა-კითხვის განვითარება განაპირობა. მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში განსაკუთრებული სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს ქვეყნის

რომაულ-ირანული განწყობები, რაც, ცხადია, რომისა და ირანის დაპირისპირებით იყო გამოწვეული. ამგვარი სიტუაცია გაგრძელდა ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლომდე, 502 წლამდე (მელიქიშვილი 1958, 170) და დასრულდა მაშინ, როდესაც ქართლის მეფე სასანიდებთან ბრძოლაში დაიჭრა და გარდაიცვალა.

რომის იმპერიასთან ურთიერთობამ ბევრი დადებითი შედეგი მისცა ქართლს. ერთ-ერთი ურბანიზაციის პროცესებზე ზეგავლენა იყო. რომაულ იმპერიულ პერიოდში რამდენიმე ქალაქი განვითარდა და წარმოიშვა იბერიაში. ქალაქი, რომელზეც ყველაზე თვალსაჩინოდ აისახა რომაული ურბანიზაცია, არმაზი იყო. ქალაქი არმაზის წარმოშობისა და განვითარების ასპექტებს შემდეგ თავში განვიხილავთ.

# ქალაქი არმაზი – ქართლის პირველი დედაქალაქი

ქალაქი არმაზის უადრესი მოხსენიება და ამ ტოპონიმის ვარიაციები რომაულ ისტორიულ წყაროებშია შემონახული. რომაელი გეოგრაფები, ბუნებისმეტყველნი და ჟამთააღმწერელნი ქალაქ არმაზს ახ.წ. პირველი საუკუნიდან იცნობდნენ. სტრაბონი, რომელიც ახ.წ. პირველი საუკუნის დასაწყისში წერდა თავის „გეოგრაფიას", ქალაქს არმოსიკეს (Αρμοζικη) უწოდებდა (სტრაბონი 11. 3. 5.), ხოლო ახ.წ. პირველი საუკუნის შუახანებში პლინიუს უფროსი „საბუნებისმეტყველო ისტორიაში" არმაზს ჰარმასტუსის (Harmastus) სახელით მოიხსენიებდა (პლინიუსი, საბუნებისმეტყველო ისტორია, 6. 10. 29-30). პტოლემაიოსის ახ.წ. მეორე საუკუნის „გეოგრაფიაში" იბერიის ქალაქებისა და ერთი სოფლის ჩამონათვალში არმაზის შესატყვისად არმაქტიკა (Αρμακτικα) გვხვდება (პტოლემაიოსი, გეოგრაფია, 10). ახ.წ. მესამე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე დიო კასიუსისთვის (მილარი 1964, 30) სახელი არმაზი უცნობია. იგი „რომის ისტორიაში" ქალაქს აკროპოლისის სახელით (Ακρόπολη) მოიხსენიებს (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 37. 1. 3). რომის იმპერიის საგზაო ქსელის ილუსტრირებულ რუკაზე ე.წ. პუტინგერის ტაბულაზეც არის არმაზის მდებარეობა დატანილი. მართალია, რუკამ ჩვენამდე მე-13 საუკუნის ასლის სახით მოაღწია, მაგრამ ის ადრინდელ ინფორმაციას ასახავს. რუკა პირველი-მეორე საუკუნეებიდან დაწყებული რომის იმპერიაში არსებული გზების ილუსტრაციაა. გზები ქალაქებსა და სხვა გეოგრაფიულ პუნქტებს უკავშირდება თანამედროვე მეტროპოლიტენის სისტემის მსგავსად (ქორნელი, მეთიუსი 1982, 117; ვილქსი 2008, 233-234). რუკას არ გააჩნია მასშტაბი, ის სქემატური და არაზუსტია. სახელი არმაზი ან მისი რომელიმე ვარიაცია რუკაზე არ წერია, მაგრამ ქალაქის ლოკაცია, სავარაუდოდ, აღნიშნულია. იმ ადგილას, სადაც არმაზი მდებარეობდა გამაგრებული დასახლების უსახელო სიმბოლოა. ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობდა, რომ რუკაზე აღნიშნული კიროპოლისი (ციხე მტკვარზე) უნდა ყოფილიყო არმაზი (მელიქსეთ-ბეგი 1938, 47-48).

ქართულ ისტორიულ წყაროებში არმაზი ან არმაზნი ქალაქის, ღმერთის, ციხისა და მთის სახელია. ამ წყაროთა ავტორები თავიანთი ინტერესების, მიზნებისა და დროის შესაბამის ინფორმაციას გადმოსცემდნენ. მეშვიდე საუკუნის „მოქცევაი ქართლისაიში" არმაზი ღმერთის სახელიც არის (მქ 2007, 34) და ციხისაც (არმაზნი) (მქ 1963, 98); მერვე საუკუნის ავტორის, ჯუანშერისთვის არმაზი მხოლოდ ციხეა (ქც 1955, 159); მე-11 საუკუნის ჟამთააღმწერელი, ლეონტი მროველი წერს არმაზის ციხეზე, ქალაქზე, კერპსა და მთაზე (ქც 1955, 8, 13, 43); ხოლო მე-18 საუკუნის გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი არმაზის ნაქალაქარის მდებარეობასა და საზღვრებს აღწერს (ვახუშტი 1941, 55). ქალაქი არმაზი მეფე ფარნავაზს დაუარსებია, თავისი სახელი უწოდებია და იქვე აღუმართავს იგივე სახელის კერპი: „და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხვირსა ზედა და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძი და ჰრქვან არმაზ (მქ 2007, 11). ფარნავაზი სპარსული წარმოშობის თეოფორული სახელია. მასში იკითხება სახელი არმაზი, რომელიც აჰურამაზდასა და მაზდეანობასთან არის კავშირში. ამ კავშირებზე მრავალი მეცნიერი მიუთითებდა (მარი 1901, 5; კაკაბაძე 1924, 12; მელიქსეთ-ბეგი 1938, 13; ყიფიანი 2010 ა, 93; რაპი 2014, 150). აღსანიშნავია ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრება, რომელიც არმაზს სომხურ არამაზდთან აიგივებდა. ის თვლიდა, რომ არმაზის კულტი ქართლში სპარსეთიდან, არმენიის გავლით, მოხვდა, რომლის სახელმაც ევოლუციური გზა განვლო ირანული აჰურამაზდა და სომხური არამაზდ ან არმაზდიდან. მელიქსეთ-ბეგი ღვთაება არმაზის ორ სტადიას – კერპთაყვანისმცემლობასა და ცეცხლთაყვანისმცემლობას ასხვავებდა. პირველს ბერძნულ სამყაროს უკავშირებდა, ხოლო მეორეს – სპარსულს. მისი აზრით, არმაზი, იგივე აჰურამაზდა-არმაზი, ცეცხლის კულტში გარდასახული მზის კულტი იყო (მელიქსეთ-ბეგი 1938, 13-14, 42-43). ი. ჯავახიშვილი არმაზის წარმომავლობას ქალდეურ ღვთაება არმას ან ხეთურ-მცირეაზიულ მთვარის ღმერთს უკავშირებდა (ჯავახიშვილი 1960, 98-111). ამ მოსაზრებას გ. მელიქიშვილი და ა. აფაქიძეც იზიარებდნენ (მელიქიშვილი 1962, 223; აფაქიძე 1963, 178).

არმაზი რამდენიმე ღვთაების თვისებებს აერთიანებდა. ის ელვის ან მეხისმტყორცნელი ცეცხლის და მზის ღმერთი იყო (მელიქსეთ-ბეგი 1938, 39; ჯავახიშვილი 1960, 106), რომელსაც ჩვილ ბავშვებს წირავდნენ (მქ 2007, 40-41). ელვის სროლა ბერძნული უზენაესი ღვთაების, ზევსის მთავარი მახასიათებელი იყო. ელინისტურ ახლო აღმოსავლეთში ზევსი უზენაესი ანატოლიური ღმერთების ეკვივალენტი გახდა. ეს მოვლენა სასანურ ზოროასტრიზმშიც გამოჩნდა. ელინისტურ სამყაროში გავრცელებული სინკრეტიზმი ჯერ სომხურ არმაზდში აისახა (იხ. რასელი 1987, 153-156 ლიტერატურით), ხოლო შემდეგ იბერიულ არმაზში (რაპი 2009, 675-677). მაზდა სომხებისთვის არ ყოფილა ტრადიციული ზოროასტრული სიბრძნის აღმნიშვნელი. ის უფრო ყოვლისშემძლე ღმერთი იყო. ზოროასტრული დიაკოსმოსი არმენიაში დიოკოსმოსად იქნა გაგებული. ასე, რომ სომხური მაზდაიზმი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სპარსული და ირანული ზოროასტრიზმისგან (რასელი 1987, 156-160). ამგვარი ვარიაციებია სავარაუდო ქართლის ღვთაება არმაზშიც. ამას ისიც ერთვის, რომ ადამიანის მსხვერპლშეწირვა ზოროასტრიზმისთვის უცხო იყო. ეს წესი წარმართული რელიგიების ტრადიციების გადმონაშთს ჰგავს, რომელიც ასევე შეერწყა არმაზის სინკრეტიზმს.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, როდის წარმოიშვა ქალაქი არმაზი, თუმცა, რამდენიმე წყარო ქალაქის ელინისტურ პერიოდში დაარსებაზე მიუთითებს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური წყარო ქალაქის დამცავი კედლებია. კედლების უადრესი ფენების მშენებლობის ტექნიკა და სტილი ელინისტურ პრაქტიკაზე მიგვითითებს. მეორე საბუთი სტრაბონის გეოგრაფიაშია შემონახული. სტრაბონი ქართლის ორ გამაგრებულ ქალაქს, არმოზიკესა და სევსამორას მოიხსენიებს და შემდეგ ამატებს, პირველად იქ პომპეუსი მივიდა, მერე კი კანიდიუსიო (სტრაბონი 11. 3. 5). ეს ნიშნავს, რომ პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის დროს, ძვ.წ. 65 წელს, ქალაქი უკვე არსებობდა და არმოზიკეს სახელით მიაღწია სტრაბონამდე, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ქმნიდა თავის ნაშრომს, სავარაუდოდ, რომში.

თავად სტრაბონი ძვ.წ. 64 წელს დაიბადა და არასდროს უმოგზაურია ქართლში, მაგრამ იგი პომპეუსის მოლაშქრეებისა და კომენტატორების სანდო წყაროებს ეყრდნობოდა (დუეკი 2000, 14). დიო კასიუსის მიხედვითაც, პომპეუსის ქართლში შეჭრის დროს მთავარი ქალაქი არმაზია, იგივე აკროპოლისი. ამიტომაც, დაიპყრო ის პომპეუსმა. არმაზიდანვე, თავის სატახტო ქალაქიდან, გაიქცა იბერიის მეფე არტაგი/არტოკე (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 37, 1. 3- 4). მესამე კი ქალაქი არმაზის ღმერთის სახელზე დაარსებაა. ღმერთების სახელზე ქალაქების დაარსება და ღმერთების მიერ ქალაქების მფარველობა ბერძნული ტრადიცია იყო, რომელიც ელინისტურ სამყაროშიც გავრცელდა, მაგალითად, პტოლემაიოსების ეგვიპტის დედოფალ არსინოე II-ს ქალაქები ეძღვნებოდა (კანევა 2014, 85-116).

ქალაქი არმაზი თავისი ტოპოგრაფიითაც მოგვაგონებს რამდენიმე ელინისტურ ქალაქს, მაგალითად, დურა ევროპოსს, აი ხანუმს, პერგამონს. ეს ქალაქებიც მდინარეების ხერთვისში ან ნაპირებთან მდებარეობდა.

ქალაქების წარმოშობასა და განვითარებას სხვადასხვა ბუნებრივი და კულტურული ფაქტორი განაპირობებდა. ქალაქები შენდებოდა მთებსა და ველებზე, ზღვებისა თუ მდინარეების ნაპირებზე. მრავალი ქალაქი დაარსებულა მდინარის პირას, რადგანაც მდინარე კარგი ორიენტირი და სატრანსპორტო საშუალება იყო. მდინარეები და მათი ხეობები სანაოსნო და სახმელეთო გზებად გამოიყენებოდა. ქალაქები წარმოიქმნებოდა სავაჭრო გზებსა და გზაჯვარედინებზე, რელიგიური თუ ეკონომიკური ცენტრების ირგვლივ, ხან სპონტანურად, ხან კი გეგმაზომიერად. შესაბამისად, მათი ფორმებიც განსხვავებული იყო. გზაჯვარედინის ან რომელიმე ცენტრის ირგვლივ განვითარებული ქალაქი მრგვალი გეგმარებით აღინიშნებოდა, ხოლო გზის ან მდინარის გასწვრივ წარმოქმნილი – გრძელით. ლანდშაფტი ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საზღვრავდა ქალაქის გავრცელების არეალსა და ეკონომიკის ტიპს.

ქალაქი არმაზი მდინარეების – მტკვრისა და არაგვის – შესართავში, მთა ქართლის აღმოსავლეთ ფერდზე გაშენდა. ქალაქის გეოგრაფიული

ლიმიტი ბუნებრივმა ლანდშაფტმა განაპირობა. ის დაახლოებით 30 ჰექტარზე იყო გავრცობილი, ზღვის დონიდან 467-524 მეტრის სიმაღლეზე. ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი მტკვრის კლდოვანი ხეობა იყო, რომელიც, იმავდროულად, ბუნებრივი სიმაგრის ფუნქციასაც ასრულებდა. სამხრეთით ქალაქს კარსნისხევი ჩამოუდიოდა. სამხრეთის მხარე ყველაზე იოლად მისადგომი იყო. ამიტომაც, ქალაქის დამცავი კედლები და, სავარაუდოდ, მთავარი კარიბჭეც ამ მხარეს მდებარეობდა.




**7. არმაზის ნაქალაქარი, ხედი დასავლეთით**

პირველად, აქ აღმოჩნდა კედლების მცირე ფრაგმენტი, რომელიც ურთიერთჩამკეტი ქვების მშრალი წყობით იყო აგებული (ქუთათელაძე 1966, 117; აფაქიძე 1963, ილუსტაცია VII 3).




**8. ქვების ურთიერთჩამკეტი მშრალი წყობა არმაზის კედლებში, ხედი ჩრდილოეთით, აფაქიძე 1963 მიხედვით**

შემდგომმა, 1940-იანი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა ქალაქის კედლების მნიშვნელოვანი ნაწილები გამოავლინა. კედლები სხვადასხვა სამშენებლო მეთოდით იყო აგებული. არმაზის ფორტიფიკაციას სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა პერიოდით ათარიღებდა. ა. აფაქიძე მშრალი წყობით აგებულ კედლებს ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებს აკუთვნებდა, კირხსნარზე აგებულს კი – ძვ.წ. მესამე საუკუნის შემდგომ პერიოდს (აფაქიძე 1963, 22-25). კ. მელითაური საპირე და ხურდა ქვებით თიხამიწის ხსნარზე აგებულ კედლებს ხოვლეგორის ძეგლებს უკავშირებდა და ძვ.წ. მეცხრე-მერვე საუკუნეებით ათარიღებდა, მხოლოდ კირხსნარზე აგებულს კი ახ.წ. მეოთხე-მეხუთე საუკუნეებით (მელითაური 1969, 64, 67). გ. ყიფიანი უხეშად დამუშავებული ქვიშაქვებით აგებულ კონტრფორსებიან კედელს მიიჩნევდა საპირე და ხურდა ქვის წყობის ტიპურ ნიმუშად. იგი, ზოგადად, არმაზის სასიმაგრო სისტემას გვიან ელინისტური ხანით ათარიღებდა (ყიფიანი 2005 ა, 96). კედლის იგივე ფრაგმენტი ფ. კნაუსმა რომაული ხანით, ახ.წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევრით განსაზღვრა (კნაუსი 2008, 58). ი. გაგოშიძემ არმაზის ფორტიფიკაცია ძვ.წ. პირველი-ახ.წ. პირველი საუკუნეებით დაათარიღა გორის ციხეზე დადასტურებული ნიმუშის მიხედვით (გაგოშიძე 2008, 34).




**9. არმაზის კედლები, აფაქიძე 1963 მიხედვით**

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მკვლევარს არ წარმოუდგენია დათარიღების არგუმენტაცია და მეთოდოლოგია. ზოგადად, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა არქეოლოგია ნაკლებად იყენებდა მეთოდოლოგიებს. დათარიღება, ძირითადად, ხელმისაწვდომი ანალოგიური მასალის შედარებითი ანალიზით ხდებოდა.

2015 წ. ხელახლა გაითხარა არმაზის სამხრეთი ფორტიფიკაციის დაახლოებით ოცმეტრიანი მონაკვეთი საქართველოს ეროვნული მუ-ზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. მათ ქალაქის დამცავი კედლის ძალზე მნიშვნელოვანი ფრაგმენტები და კედლის წინ სავალი გზის მონაკვეთი გამოავლინეს (ნარიმანიშვილი და სხვა 2016, 98-119), რამაც შესაძლებელი გახადა კედლების შემდგომი შესწავლა.

კარგად გამოჩნდა კედლების მშენებლობაში გამოყენებული რამდენიმე სამშენებლო ტექნიკა – ორმაგი მტრედისკუდა ჰორიზონტალური სამაგრებით გადაბმული ქვიშაქვის კვადრების ცოკოლი, რაზეც ალიზის აგურის კედლები უნდა ყოფილიყო დაშენებული; ქვიშაქვის კვადრების მეორადი გამოყენების კვალი და კირდუღაბის, ტეხილი ქვებისა და კერამიკის ნარევით აშენებული ფენები. რამდენიმე მონაკვეთზე აშკარად ჩანს ადრეული მშრალი წყობის გვიანდელი კირდუღაბითა და ტეხილი ქვით შეკეთება.







**10. არმაზის კედლები, ხედი დასავლეთით, გზა კედლების წინ, სამაგრის ბუდეები**

სასიმაგრო კედლების მშენებლობის მეთოდები განსხვავებული იყო სხვადასხვა რეგიონში და სხვადასხვა კულტურულ პერიოდში. თუმცა, მძლავრი სასიმაგრო სისტემის გამართვა ყოველთვის დიდ სახსრებსა და მცოდნე მშენებლებზე იყო დამოკიდებული. მშრალი წყობის მეგალითური საფორტიფიკაციო კედლები ჯერ კიდევ ანატოლიის პრეისტორიული ძეგლებიდანაა ცნობილი. ამ სამშენებლო ტექნიკას ხეთები და ურარტუელებიც ფლობდნენ. ურარტუელები

განსაკუთრებულად მყარი ჯიშის ქვას, ბაზალტს იყენებდნენ. მშრალი წყობით მშენებლობა ელინისტურ ხანაშიც ფართოდ იყო გავრცელებული (ბაშგელენი 1993, 35). კედლების სტაბილურობას ქვების ზომა და წონა განაპირობებდა. თუმცა, განსაკუთრებული სიმტკიცისთვის მშენებლები ქვების გვერდებზე შვერილებს თლიდნენ. რიგების დაწყობის დროს შვერილები ერთიმეორეში ჯდებოდა და იქმნებოდა ურთიერთჩამკეტი მექანიზმი. კედლების აშენების ამგვარი მეთოდი უძველეს ბერძნულ არქიტექტურაში გამოიყენებოდა (ლოურენსი 1996, 167).

მყარი კედლების ასაშენებლად ხშირად ქვის ბლოკებს ერთმანეთს სამაგრებით აბამდნენ. სამაგრები რკინისგან ან ხისგან მზადდებოდა და ჰორიზონტალური ან ვერტიკალური იყო. რკინის სამაგრებს ხშირად გამდნარ ტყვიას ასხამდნენ გასამაგრებლად. ეს აღმოსავლური ტექნიკა იყო. ლითონის სამაგრების გაკეთება უფრო დიდ ხარჯს მოითხოვდა, ვიდრე ხის, ამიტომ რკინის სამაგრები განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაგებობებში გამოიყენებოდა (ლოურენსი 1983, 288).

სამაგრის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა ე.წ. ჰორიზონტალური ორმაგი მტრედისკუდა სამაგრი, რომელიც აქემენიდთა დინასტიის მმართველობის დასაწყისიდან გამოიყენებოდა. ათასი წლის მანძილზე, ადრეული პასარგადიდან კლასიკურ პერსეპოლისამდე მიმდინარეობდა სამაგრების თანდათანობითი გარდაქმნა. შედეგად, შედარებით პრიმიტიული ორმაგი მტრედისკუდა სამაგრიდან გაუმჯობესებული კავებიანი სამაგრის ფორმა შეიქმნა (ნილანდერი 1970, 42-43; ადამი 2008, 57-58).

სამაგრები მთელ ახლო აღმოსავლეთსა და საბერძნეთში გამოიყენებოდა. მათი ხმარება ელინისტურ და რომაულ ხანაშიც გაგრძელდა. აღმოსავლეთში ალიზის აგურის არქიტექტურა იყო გავრცელებული. ალიზის კედლები ქვის ცოკოლზე შენდებოდა. ცოკოლის ქვები ერთმანეთთან სამაგრებით იყო გადაბმული. ალიზის კედლები ილესებოდა და ხის ტოტებით იხურებოდა. ელინისტური ხანიდან, როდესაც კრამიტის წარმოება გაფართოვდა ალიზის კედლები კრამიტით იხურებოდა. ეს დამცავი ზომები იყო, რომლებიც კედლებს ნესტისა და წვიმისგან იცავდა. მშენებლობის ანალოგიური ტექნიკაა არმაზის ფორტიფიკაციაში დადასტურებული (აფაქიძე 1963, 22).

არმაზის ფორტიფიკაციის მსგავსი სამშენებლო ტექნიკა და სტრატიგრაფია სამხრეთ კავკასიის რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლიდანაა ცნობილი. ქვის ცოკოლზე ალიზის აგურის კედლების მშენებლობის უადრეს ფაქტებს სამხრეთ კავკასიაში ურარტუს ქალაქები ტიეშებაინი (თანამედროვე სახელწოდება კარმირ ბლური) და ერებუნი (ერევანი) ასახავენ. მათ მშენებლობაში თიხის ხსნარის გამოყენებაც დასტურდება (ოგანესიანი 1955). აღსანიშნავია, რომ სამაგრების გამოყენება არ ჩანს არცერთ მათგანზე.



**11. ტიეშებაინისა და ერებუნის კედლები**

ქართლის ელინისტური ხანის ძეგლებიდან არმაზის გარდა უფლისციხე, გორისციხე და წიწამური ავლენენ ქვის ცოკოლზე ალიზის აგურების დაშენების პრაქტიკას. ამ ძეგლებიდან სამაგრების გამოყენება არმაზსა და წიწამურში დადასტურდა. არმაზის ფორტიფიკაციაში მუხის ჰორიზონტალური ორმაგი მტრედისკუდა სამაგრები ყოფილა გამოყენებული, წიწამურის წრიული ნაგებობის ცოკოლში კი ვერტიკალური და ჰორიზონტალური (აფაქიძე 1963, 79-80). ბუდეების მიხედვით წიწამურის ჰორიზონტალური სამაგრები კავებიანი და ლითონისგან გაკეთებული უნდა ყოფილიყო (cf. აფაქიძე 1963, 79; სძა 1990, 347).

 

**12. უფლისციხის კედლები, ხედი დასავლეთითა და სამხრეთით**

სომხეთში, გარნის ციხეზე, რომელიც ელინისტურ და რომაულ იმპერიულ პერიოდებს ასახავს, აღმოჩნდა ალიზის აგურების კედლები ქვის მშრალი წყობის ცოკოლზე და ასევე კირხსნარისა და კავებიანი სამაგრების გამოყენების კვალი (არაქელიანი 1951). გარნისა და არმაზის საფორტიფიკაციო კედლები განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენენ. ამ ორ ძეგლზე მსგავსი სტრატიგრაფია და სამშენებლო მეთოდები დადასტურდა. გარნის ციხეზე ელინისტური ხანის ქვათლილებს კირდუღაბისა და ტეხილი ქვის ნარევი ეფინება (არაქელიანი 1957, 12). ცნობილია, რომ არმენიის დაპყრობის შემდგომ, ახ.წ. პირველ საუკუნეში რომის გარნიზონი  გარნის ციხეში იდგა. ასე, რომ რომაელები ისევე აშენებდნენ საფორტიფიკაციო კედლებს, როგორც აშენეს აბანო და სხვა ნაგებობები.

სომხეთის გარდა, არმაზის კედლების მსგავსი სამშენებლო ტექნიკა და ფენების მონაცვლეობა რომის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე განლაგებული ქალაქების დამცავ კედლებზე, გამაგრებულ ნასახლარებსა და სამხედრო ბაზებზეა დადასტურებული, მაგალითად, სატალა, სამოსატა და ამიდა. ეს ადგილები ვესპასიანემ ააშენა და იუსტინიანემ აღადგინა (მითფორდი 1974, 228; ტირპანი 1989, 520-523; გრეგორი 1997, 40-53; ლაითფუთი 1998, 278; ქროუ 2001, 84).

არმაზის საფორტიფიკაციო კედელი, სამშენებლო ტექნიკის მიხედვით, სხვადასხვა პერიოდშია აშენებული. სახეზეა კედლების არაერთხელ გადაკეთების კვალი. ფრაგმენტი, რომელიც ქვის მშრალი წყობით, ხის სამაგრებითა და ალიზის აგურებითაა აშენებული,

ელინისტურ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. ამ მოსაზრებას სამშენებლო მეთოდი და სამაგრების არქაული ფორმა ასაბუთებს. ვფიქრობ, უფრო ზუსტი დათარიღების საშუალება არ გვაქვს, რადგანაც ეს სამშენებლო მეთოდი რამდენიმე საუკუნის მანძილზე გამოიყენებოდა.

ასევე რთულია არმაზის სასიმაგრო კედლების იმ მონაკვეთის დათარიღება, რომელიც კირდუღაბითა და ტეხილი ქვებითაა აგებული. თუმცა, რამდენიმე ფაქტი მეტყველებს, რომ ის რომაულ იმპერიულ პერიოდში, პირველ-მესამე საუკუნეებში აშენდა. პირველ რიგში, ადრეული, ქვის მშრალი წყობის ქვედა ფენები გვიანდელი კირდუღაბითა და ტეხილი ქვით შეუკეთებიათ. ანალოგიურ სტრატიგრაფიას ასახავს არმაზის ნაქალაქარში გამოვლენილი ცისტერნა, რომელიც ტიპურად რომაული სამშენებლო ტექნიკით კირდუღაბითა და ტეხილი ქვების ნარევითაა აგებული. ცისტერნა მანამდე არსებულ საძირკველზე დაუშენებიათ, რომელიც მშრალი წყობითა და ორმაგი მტრედისკუდა სამაგრებით ყოფილა აგებული. აღსანიშნავია, რომ ცისტერნის მშენებლობაში უფრო მაღალი ხარისხის კირდუღაბია გამოყენებული, ვიდრე ქალაქის კედლებში.





**13. ორი სამშენებლო დონე არმაზის ცისტერნაში, ხედი დასავლეთით, სამაგრის ბუდე**

კირდუღაბისა და ტეხილი ქვის საფორტიფიკაციო ნაგებობები გვიან ანტიკური ხანიდან ფართოდ იყო გავრცელებული ქართლში. მშენებლობის ამ ტექნიკას შუა საუკუნეებში ქვითკირით მშენებლობას უწოდებდნენ. არმაზის სასიმაგრო კედლებისგან განსხვავებით, ისინი

უფრო პატარა ზომის ქვებითა და უკეთესი ხარისხის კირდუღაბისგან იგებოდა. არმაზისგან ჩრდილოეთით, 5 კმ-ის დაშორებით მდებარე შუა საუკუნეების ბებრისციხე ამის ნათელი მაგალითია.

მეორე ფაქტი, რომელიც რომაულ იმპერიულ პერიოდზე მიუთითებს, თიხის ჭურჭლის ყურებია. ჭურჭლის ფრაგმენტები სასიმაგრო კედლის კირდუღაბისა და ტეხილი ქვის ფენებში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ქვასთან ერთად დუღაბის შემკვრელად კერამიკული ნატეხებიც გამოუყენებიათ. თიხის ჭურჭლის ყურები ძალზე ჰგავს პირველი-მესამე საუკუნეების ქართლის კერამიკულ ნიმუშებს (აფაქიძე და სხვა 1989, 40-41).

მესამე ფაქტია რომაული დენარის აღმოჩენა არმაზის სასიმაგრო კედლების ქვის მშრალი წყობით აშენებულ ცოკოლზე თუ ცოკოლთან (აფაქიძე 1963, 259, X). მართებულია, აქვე აღინიშნოს, რომ პირველი-მეორე საუკუნეების რომაული მონეტები  გარნის ციხის ჩრდილოეთ კედელთანაც აღმოჩნდა, რომელიც ქვათლილებით იყო ნაშენი (არაქელიანი 1957, 11).

ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რომელ ფენაში აღმოჩნდა მონეტები არმაზში. 1940-იან წლებში არქეოლოგიური გათხრებისას ნაკლებად ექცეოდა ყურადღება სტრატიგრაფიას. არქეოლოგიური არტეფაქტების აღრიცხვაც არ ხდებოდა დიდი გულისყურით. მიუხედავად არასრული ინფორმაციისა, მონეტების აღმოჩენის ფაქტები არმაზსა და გარნიში ქალაქის სასიმაგრო კედლების თარიღის დადგენაში გვეხმარება.

ახ.წ. პირველი საუკუნის ბოლო მეოთხედში  რომაელების სამშენებლო საქმიანობას ქართლში ვესპასიანეს სამშენებლო წარწერაც ასახავს, რომელიც დამწერლობის პირველი ნიმუშია აღმოსავლეთ საქართველოში. სამშენებლო წარწერა, საყოველთაოდ გავრცელებული რომაული ტრადიციის მიხედვით, იმ ქალაქის კედელში უნდა ყოფილიყო ჩასმული, რომლის მშენებლობაზეც  ტექსტში იყო საუბარი. ნაქულბაქევის[17] ახლოს ახ.წ. 75 წელს არმაზის გარდა სხვა ქალაქი ჩვენთვის ცნობილი არ არის. უფრო მეტიც, ვახუშტი ბაგრატიონის

17 ქულბაქი უცხო სიტყვაა და ბაზარს ნიშნავს (ორბელიანი 1993, 240), ნაქულბაქევი კი ყოფილ სავაჭრო ადგილს.

აღწერილობიდან ვიცით, რომ არმაზი ნაქულბაქევამდე ვრცელდებოდაო. საფიქრებელია, რომ ეს სამშენებლო წარწერა არმაზის კედლებში იყო ჩაშენებული (გაგოშიძე 2008, 18, შენიშვნა 176).

ვესპასიანეს წარწერის სრული ტექსტი არ არის შემორჩენილი. უცნობია მშენებლობის პირდაპირი შემსრულებელი და მიზეზი. ამიტომ, ზოგი მკვლევარი ფიქრობდა, რომ რომაულმა გარნიზონმა გაამაგრა სტრატეგიული ქალაქი არმაზი (ბოსვორსი 1977, 226; ლევიკი 1999, 169; გრეითრექსი 2007, 139). ზოგიერთის აზრით, არმაზის კედლების გამაგრებას ქალაქში ჯარის განაყოფის დატოვება მოჰყვა, საიდანაც კასპიის ზღვამდე ტერიტორიის პატრულირება ხდებოდა (ვილიამსი 1996, 22). ზოგმა არ დაასახელა ქალაქი, მაგრამ ივარაუდა, რომ რომაელი ინჟინრები ჩართული იყვნენ ქალაქის კედლების მშენებლობაში (ბრონდი 1994, 229-230; გაგოშიძე 2008, 18). ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა, რომ არმაზის კედლები ზურგის დასაცავად გაამაგრეს, რადგანაც იქიდან რომაელების სურსათით მომარაგება ხდებოდა (ბენეტი 1997). ზოგიერთის აზრით კი, რომაელებმა ამით კავკასიის კარი დაიცვეს (დაბროვა 1989, 72).

ჩვენ არ გვაქვს იმის პირდაპირი საბუთი, რომ ვესპასიანეს სამშენებლო წარწერა არმაზის კედლების ან „კავკასიის კარის" მშენებლობას ეხებოდა. თუმცა, გარემოებითი პირობები არმაზზე უფრო მიუთითებენ, ვიდრე „კავკასიის კარზე". „კავკასიის კარი", ანუ თანამედროვე დარიალის უღელტეხილი უნდა გამოირიცხოს, რადგანაც ის ნაქულბაქევიდან 150 კმ-ით ჩრდილოეთით, მეტად რთულ ლანდშაფტზე მდებარეობს. ვიწრო ხეობები და მაღალი მიუვალი მთები დღესაც ძნელი მისადგომია. ეს ის გეოგრაფიული რეალობაა, რომელიც არ გაუთვალისწინებიათ დასავლეთის მკვლევრებს (ბოსვორსი 1977, 224, 226; დაბროვა 1989, 70, 72; გრეითრექსი 2007, 139).

„კავკასიის კარის" კავშირი პირველი საუკუნის მშენებლობასთან უახლესმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც გამორიცხა. უადრესი საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც დარიალის ხეობაში არქეოლოგიურად დადასტურდა გვიან მეოთხე საუკუნით დათარიღდა და ჰუნების კავკასიაში შემოჭრას დაუკავშირდა (საუერი 2015; 2016).

რაც შეეხება რომაელი ინჟინრების მონაწილეობას ქართლის ქალაქის კედლების მშენებლობაში, სრულიად შესაძლებელია, რადგანაც არმაზის დამცავ კედლებში გამოვლენილი სამშენებლო ტექნიკა – კირდუღაბისა და ტეხილი ქვების ნარევი რომაული სამშენებლო მეთოდია. რომაული სამშენებლო ტექნიკის გამოყენება და გავრცელება ქართლში ახ.წ. პირველი საუკუნიდან რომაელების სამხრეთ კავკასიაში შეჭრას უკავშირდება. ის რომაელი სამხედრო ინჟინრების მიერაც გამოიყენებოდა, როგორც რომის წინასწარგანზრახული ურბანიზაციის პოლიტიკის ნაწილი (თომლინსონი 1993, 116).

კირდუღაბისა თუ კირხსნარის გამოყენება მშენებლობაში არმაზის არქიტექტურის დათარიღების მთავარი არგუმენტი იყო 1889 წელს ჩატარებული გათხრებიდან მოყოლებული (ქუთათელაძე 1966, 118-119; მშვენიერაძე 1952, 27; აფაქიძე 1963, 22-23; მელითაური 1969, 67; გაგოშიძე 2008, 39; გამყრელიძე 2012, 198). მაგრამ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კირხსნარში ქვების/კენჭების არსებობა არავის შეუმჩნევია. კირხსნარი ეგვიპტელებიდან დაწყებული ფართოდ გამოიყენებოდა მშენებლობაში. ის რომაელებმა განავითარეს შემკვრელი აგრეგატის, ქვის დამატებით ძვ.წ. მესამე საუკუნის მიწურულს. ქვის გარდა, აგრეგატი შეიძლება ყოფილიყო ქვიშა და თიხის ჭურჭლის ნამტვრევებიც. რომაელებმა თანდათანობით დახვეწეს ამ ნაერთის პროპორცია და მიიღეს ე.წ. რომაული ბეტონი, იგივე ოპუს კამენტიკუმი (opus caementicum, opus – სამუშაო, მუშაობა, caementa – ქვა), რაც იყო რომაული სამშენებლო ინოვაცია. მშენებლობის ეს მეთოდი ძვ.წ. მესამე საუკუნიდან გავრცელდა რომაულ და ელინისტურ სამყაროში (ვარდ-ფერქინსი 1994, 274; თორელი 1980, 141-159; ადამი 2008, 69-84; მალაკრინო 2010, 116; ქარანი და სხვა 2012, 118; მოგეტა 2015, 2-3). ქართლშიც რომაელები შეიტანდნენ და გაავრცელებდნენ ამ ინოვაციას, ისევე როგორც ეს გააკეთეს სომხეთსა და აღმოსავლეთ ანატოლიის ფორტებსა თუ ქალაქებში.

რომაული ბეტონი, თანამედროვე ბეტონისგან განსხვავებით, კი არ ისხმებოდა, არამედ ფენებად იდებოდა ქვების ან აგურების რიგებს შორის. შემდგომში ამგვარი მასის მოსაპირკეთებლად დამუშავებული

ქვა ან აგური იხმარებოდა, ანუ კირდუღაბში არეული ე.წ. ხურდა ქვები საპირე ქვებით მოპირკეთდებოდა. რომაული ბეტონის სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტი იყო მოწითალო ფერის ვულკანური ქვიშა, ანუ პოცოლანა, რომელიც კამპანიის ქალაქ პუტეოლის მიდამოებში იყო მოპოვებული. სწორედ ამის გამო უწოდეს მას პულვის პუტეოლანუს (pulvis puteolanus) ანუ პოცოლანა. ძვ.წ. მეორე საუკუნიდან რომაელები წყალქვეშა ნაგებობებშიც კი იყენებდნენ პოცოლანას, რადგანაც ამ კომპონენტისგან გაკეთებული დუღაბი კიდევ უფრო მტკიცე იყო (ადამი 2008, 62-69; ჯექსონი და სხვა 2010, 36-42).

იმპერიის იმ ნაწილში, სადაც ვულკანური ქვიშა არ მოიპოვებოდა, ვულკანური წარმოშობის დაფხვნილ ქვებს იყენებდნენ. ამის მაგალითია ადრიანეს კედელი რომაულ ბრიტანეთში. ადრიანეს კედელი მხოლოდ კირდუღაბითა და ქვით იყო აშენებული. ასეთი კედლები სუსტი იყო, რადგანაც ძირითადი შემკვრელი ელემენტი, კირი, ჰაერზე თანდათანობით ცარცად იქცეოდა და იშლებოდა (ვილიამსი 1996, 109).

არმაზის ნაქალაქარზე არ დადასტურებულა ვულკანური ფერფლის გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს (ვან ვესთენ, ელაშვილი 2012) და შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ვულკანური ფერფლის მოძიება. სამშენებლო მასალებში ვულკანური ფერფლის არარსებობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ მისი იდენტიფიკაცია რთული იყო და სანაცვლოდ ვულკანური ჯიშის ქვების ქვიშას იყენებდნენ.

ნიშანდობლივია, რომ კირდუღაბისა და ტეხილი ქვის ერთობლიობა, ანუ შუა საუკუნეების ქვითკირის შემადგენლობა და ლექსიკური მნიშვნელობა შეესატყვისება opus caementicum-ს, ანუ რომაულ ბეტონს. ქვითკირის ქართლში გავრცელებას ლეონტი მროველი სპარსული წარმოშობისა და სპარსული პოლიტიკის გამტარებელს, ვინმე არდამს მიაწერს (ქც 1955, 13; თომსონი 1996, 16-17). ეს საკითხი არაერთხელაა განხილული ქართველი მკვლევრების მიერ (აფაქიძე 1963, 23-24; ყიფიანი 2010 ბ). მათი მოსაზრებები უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. მაგალითად, თეორია ქვითკირის სპარსული ან სელევკიდური წარმომავლობის შესახებ არქეოლოგიური კვლევის ნაცვლად, მხოლოდ

შუა საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროების განხილვას ეყრდნობა (ყიფიანი 2010 ბ, 135-40). არქეოლოგიური წყაროები კი წინააღმდეგობაშია სპარსულ-სელევკიდურ ვერსიებთან. ახ.წ. პირველ-მეორე საუკუნეებამდე ქართლში არ დასტურდება კირდუღაბითა და ტეხილი ქვით მშენებლობა.

მროველი თავის ქრონიკაში ქალაქების ან ქალაქის კედლების აღმშენებლობას ნახევრად რეალურ პერსონაჟებს უკავშირებდა. ისტორიული თუ ლეგენდარული პერსონაჟების აღმშენებლობასთან დაკავშირება ფართოდ გამოიყენებოდა ეპიკური ჟანრის ლიტერატურასა თუ ქრონიკებში და ჯერ კიდევ გილგამეშის ეპოსიდანაა ცნობილი. ეს მეთოდი ნაწარმოებებს სარწმუნოს ხდიდა და ასევე მათი პერსონაჟების პრესტიჟს უსვამდა ხაზს. საფიქრებელია, რომ მროველი, როგორც თავისი დროისთვის განათლებული ადამიანი, იცნობდა და მიმართავდა ამ მეთოდს. მროველის თხზულება კომპილაციურია. როგორც არაერთხელ აჩვენეს ქართველმა მკვლევრებმა, ის ადრეულ სომხურ და ქართულ წყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა და სავსეა ფაქტობრივი და ქრონოლოგიური შეცდომებით (მელიქიშვილი 1978, 58; არახამია 2002, 132-133; სანაძე 2001, 8). ამრიგად, ცხადია, მროველის ქრონიკა ქრონოლოგიურ საყრდენად ვერ გამოდგება, მაგრამ ნიშანდობლივია მასში ქვითკირის სამშენებლო ტექნიკის დანერგვაზე საუბარი: „და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვითკირითა. და აქამომდე არ იყო ქართლსა შინა საქმე ქვითკირისა. და მის გამო დაისწავლეს ქვითკირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდნა ცხვირი არმაზისი ვიდრე მტკურამდე" (ქც 1955, 13). ეს, არსებითად, ტექნოლოგიური ძვრა იყო, რომელმაც წყაროშიც პოვა გამოძახილი.

ახალი სამშენებლო მეთოდები და ტექნოლოგიური ძვრები არმაზის რამდენიმე ნაგებობაზე აისახა, მაგრამ მათ ანალიზს უფრო გვიან შემოგთავაზებთ. ქალაქის არქიტექტურის განხილვას დავიწყებ შენობიდან, რომელიც ნაქალაქარზე შემორჩენილ ნაგებობათა შორის უადრესი უნდა იყოს. ის ქალაქის უკიდურეს, აღმოსავლეთ ტერასაზე, მის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა. შენობა ერთდარბაზიანი

ყოფილა. მას წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა აქვს (24 მ X 12 მ). ოთხივე შემორჩენილი კედელი კარგად გათლილი ქვიშაქვებითაა აგებული. ქვის წყობა მშრალია,[18] ისოდომური. კედლების სიგანე 1.4 მ – 1.7 მ მერყეობს, ხოლო სიმაღლე 1 მ – 2.5 მ. ქვების ზომებია: სიგრძე – 55 სმ, სიგანე – 40 სმ, სიმაღლე – 45 სმ. დარბაზის დასავლეთი კედელი ფერდობშია შეჭრილი. აღმოსავლეთი კედელი მისი ცენტრალური ფასადია. იგი ქვიშაქვის ერთრიგიან პლინტუსს ეყრდნობა. დარბაზში შესასვლელი ერთადერთი კარიც (სიგანე 1.65 მ) აქედანაა გაჭრილი. კარიდან ოთხსაფეხურიანი კიბე ჩადის დარბაზში. აღმოსავლეთი კედლის წინ, 30 სმ-ის დაშორებით, მიწაში ნახევრად ჩაფლული გათლილი ქვიშაქვის რიგი ჩანს.

1940-იან წლებში ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა, რომ დარბაზის ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების ქვედა ნაწილი ქვებით ყოფილა აგებული, ხოლო ზედა ალიზის აგურებით. აგურები თიხის ხსნარით ყოფილა შელესილი. კედლების სიმაღლე 1.7 მ იყო. მხოლოდ დასავლეთის კედელი ყოფილა ბოლომდე გათლილი ქვიშაქვებით აშენებული, რომლის სიმაღლე 3.3 მ იყო. დარბაზში კრამიტის ფრაგმენტები უპოვიათ (აფაქიძე 1963, 26). ალიზის აგურები დარბაზის გათხრის შემდგომ დაიშალა და არ შემორჩენილა.

დარბაზის შიდა ფართობია 189 მ$^2$ (21 მ X 9 მ). კედლების ქვების ზედა

18 სვეტებიანი დარბაზის ქვის მშრალი წყობით აშენებას ადასტურებდნენ დ. მშვენიერაძე (1952, 25), ა. აფაქიძე (1963, 26), კ. მელითაური (1969, 58). მშვენიერაძე ძვ.წ. მეხუთე ს. ათარიღებდა და უკავშირებდა არდამის მიერ ქვითკირის შემოღებამდე პერიოდს (მშვენიერაძე 1952, 27), ა. აფაქიძე, სასიმაგრო კედლების მიხედვით, ძვ.წ. მეოთხე-მესამე ს.ს. (1963, 25), ვ. ნიკოლაიშვილი კი, ძვლის პართულ ფირფიტაზე დაყრდნობით, ძვ.წ. მესამე-პირველი ს.ს. (ნიკოლაიშვილი 2011, 22). ი. გაგოშიძემ ეჭვქვეშ დააყენა მშრალი წყობა. აღნიშნა, რომ კირდუღაბის კვალი იპოვა ქვების წყობაში, რომელიც მიკროსკოპით შეისწავლა პეტროგრაფმა მ. ხუჭუამ. გაგოშიძემ კირდუღაბის, ფაიანსის მძივებისა და ძვლის პართული ფირფიტის საფუძველზე დარბაზი ახ.წ. პირველ-მეორე ს.ს. მიაკუთვნა (გაგოშიძე 2008, 39). ი. გაგოშიძეს არ მოუცია კირდუღაბის შემადგენლობა, ამიტომ, უცნობია ჰქონდა თუ არა მინარევები კირხსნარს და თუ ჰქონდა რომელი. ზოგადად, კირხსნარის გამოყენება არ იძლევა მყარ თარიღს. ძველ სამყაროში კირხსნარის გამოყენება არქიტექტურაში ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის სამშენებლო პრაქტიკიდან არის ცნობილი (ლეიქი 1988, 141; ქარანი და სხვა 2012, 119). მე ვერ აღმოვაჩინე კირხსნარის კვალი სვეტებიანი დარბაზის ქვების წყობაში ჩემი კვლევების დროს. როგორც ცნობილია, დარბაზი შიგნიდან იყო შელესილი. დროთა განმავლობაში შელესილობა ჩამოირეცხა, ქვებიც დაზიანდა. ქვებს შორის მანძილი გადიდდა და ჩამონაშალი მათ შორის დაილექა, რამაც კირხსნარის არსებობის შთაბეჭდილება შექმნა.

კუთხეებში ხარაჩოებისთვის განკუთვნილი ფოსოებია ამოკვეთილი.[19] დარბაზის ცენტრში, ჩრდილოეთ-სამხრეთის გრძივ ღერძზე, ქვიშაქვის ექვსი სვეტის ბაზაა ჩამწკრივებული, რომელიც დარბაზის შიდა სივრცეს ორად ყოფს და ამავე დროს მიგვანიშნებს მის ორფერდა გადახურვაზე. ბაზებს მრგვალი თავი (დიამეტრი 45 სმ, სიმაღლე 40 სმ) და მართკუთხა პლინტუსი აქვთ. ზედაპირზე მრგვალი ფოსოა (დიამეტრი 5 სმ, სიღრმე 3 სმ) ამოკვეთილი. ფოსოებში დამწვარი ხის, სავარაუდოდ, სვეტების ნაშთები აღმოჩნდა. ამიტომ დაერქვა დარბაზს სვეტებიანი. სვეტებიანი დარბაზის კედლები შელესილი ყოფილა, ხოლო იატაკი ვარდისფერი ქვიშაქვის ფხვნილით დატკეპნილი.




**14. არმაზის სვეტებიანი დარბაზი, ხედი ჩრდილოეთით, ფოსოები**

დარბაზში ქვიშაქვის ექვსი სადა, მართკუთხა აბაკუსიანი ორდერი და კიდევ რამდენიმე არტეფაქტი აღმოჩნდა. მათგან აღსანიშნავია ძვლის ფირფიტა ახალგაზრდა შიშველი ქალის გამოსახულებით, ოქროს ფირფიტები, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები, ბრინჯაოს ბალთა და ბრინჯაოს ფარგალი (აფაქიძე 1963, 26-27).

დარბაზს აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან მინაშენები აქვს. მინაშენებიც მართკუთხა ფორმისაა. მათი კედლები 30-50 სმ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. კედლების წყობა არაერთგვაროვანია. ისინი მი-

19 ზოგიერთმა მკვლევარმა ფოსოები მიიჩნია თაროების საყრდენად, რომელზეც განთავსდებოდა მდიდრული ნივთები (მშვენიერაძე 1952, 26) ან იარაღი (მელითაური 1969, 59).

რითადად ნაგებია ცუდად დამუშავებული ქვიშაქვითა და რიყის ქვით. შიგადაშიგ კარგად გათლილი ქვიშაქვებიცაა გამოყენებული. ამჟამად კედლებში კარის ღიობები არ ჩანს. თუმცა, დ. მშვენიერაძე აღნიშნავდა, რომ 1940-იან წლებში ჩატარებული გათხრების დროს მართკუთხა ნაგებობებში დაახლოებით 1.3 მ ღიობები გამოვლინდა. შენობების კედლებში კერამიკული მილების ფრაგმენტები იყო შემორჩენილი (მშვენიერაძე 1952, 25, სურათი 24).

სვეტებიანი დარბაზი ზედმიწევნით კარგად, საფუძვლიანად, წინასწარ მომზადებული სამშენებლო გეგმის მიხედვითაა აგებული. ეს რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალში გამოიხატა. დარბაზი ხელოვნურად შექმნილ ტერასაზე მდებარეობს, რომელიც მთის ფერდის ჩამოჭრისა და მიწის ზედაპირის მოსწორების შედეგად წარმოიქმნა. დარბაზის მხოლოდ ერთი კედელი, რომელიც ჩამოჭრილ ფერდს ებჯინებოდა იყო ბოლომდე ქვით აშენებული. ამ კედელს უნდა დაეცვა შენობა სინესტისგან. კედლებში ხარაჩოს ფოსოიანი ქვების განლაგებაც წინასწარ იყო გათვლილი.

სვეტებიანი დარბაზი ყველაზე დიდი და შთამბეჭდავია ნაქალაქარის ნაგებობათა შორის. ის მთის ფერდშია შეჭრილი და ლანდშაფტს მოხდენილად ერწყმის. მონუმენტურობის მიხედვით, დარბაზი მეფის სასახლე უნდა ყოფილიყო.[20] სასახლეები მეფეების ძლევამოსილებას ასახავდნენ. ისინი საცხოვრებელი ფუნქციის გარდა სოციალურსაც ითავსებდნენ. მეფეები სასახლეებში წვეულებებს აწყობდნენ, იღებდნენ ელჩებს. სასახლეების ექსტერიერიც და ინტერიერიც ფუნქციის მიხედვით ყალიბდებოდა, ანუ შინაარსი აყალიბებდა ფორმას და არა პირიქით (ნილსენი 1994, 13).

სვეტებიანი დარბაზი სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული სტილის მიხედვით უადრესია ნაქალაქარზე გამოვლენილ შენობათა შორის. ის ხაზოვანი არქიტექტურის ნიმუშს განეკუთვნება, რომელიც ელინისტური აღმოსავლეთის სასახლის არქიტექტურაში იყო გავრცელებული, მაგალითად, დურა ევროპოსის სასახლე, ჰასმონიანთა

---

20 ეს მოსაზრება ა. აფაქიძეს აქვს გამოთქმული. თუმცა, იგი სვეტებიანი დარბაზის საკულტო დანიშნულებასაც ვარაუდობს (აფაქიძე 1963, 27-28).

სასახლე იერიქონში (ნილსენი 1994, 241-242). თავისი ფორმით სვეტებიანი დარბაზი მკვეთრად განსხვავდება ნაქალაქარის სხვა ნაგებობებისაგან, რომლებიც ოვალური ფორმებით, აზსიდებითა და თაღებით ხასიათდება. ამ მაჩვენებლების მიხედვით, სვეტებიანი დარბაზი ზოგადად ელინისტური ხანით თარიღდება. ვფიქრობ, უფრო ზუსტი თარიღისთვის არასაკმარისი მასალა მოგვეპოვება. რაც შეეხება სვეტის ბაზებსა და ორდერებს ისინი ძლიერ წააგავს ტოსკანურ მოდელებს. ტოსკანური ორდერი დორიულის რომაული ადაპტაცია იყო (ულრიჩი, ქვენემონი 2013, 207). მათი არსებობა ელინისტურ დარბაზში შეიძლება იმით აიხსნას, რომ მისი ინტერიერის განახლება რომაულ იმპერიულ ხანაში მოხდა. ანალოგიური ბაზები საქართველოში მეორე-მეოთხე საუკუნეების რომაულ ვილებზე, არმაზისხევსა და ძალისშია დადასტურებული. ასევე აღმოჩენილია რომაულ გარნიში.

დარბაზის მეორე-მესამე საუკუნეებში გამოყენებაზე მიგვითითებს ძვლის პართული ფირფიტაც.[21] მისი ანალოგები რამდენიმე ადგილიდანაა ცნობილი. ყველაზე თვალსაჩინო თურქმენეთში, მელე ჰაირამის ცეცხლის ტაძარში აღმოჩენილი ორი ფირფიტაა, რომლებზეც შიშველი ყმაწვილი (უწვერული) კაცების ფიგურებია გამოსახული. ფირფიტები მეორე-მესამე საუკუნეებით დათარიღდა (კაიმი 2010, 323-333). ისინი სტილისტურად არმაზის ფიგურის იდენტურია. მათი თავსაბურავები და დგომის პოზა – ერთი ხელი იდაყვში მოხრილი და ზემოთ აწეული, მეორე ხელი თეძოზე შემოდებული, ერთი ფეხი ოდნავ მოხრილი და მეორეზე გადაჯვარედინებული – იმეორებს არმაზის ფიგურის პლასტიკას. განსხვავება სქესში, თმის ვარცხნილობასა და კიდევ იმაშია, რომ კაცებს მარცხენა ხელ-ფეხი აქვთ მოხრილი, ხოლო არმაზის ქალს მარჯვენა.

21 ძვლის ფირფიტას ძვ.წ. მესამე-პირველი საუკუნეებით ათარიღებდნენ (აფაქიძე 1963, 26-27; ნიკოლაიშვილი 2011, 22).



**15. პართული მოცეკვავე ფიგურები არმაზი და მელე ჰაირამიდან**

ირანში, კალი იაზდიგირდის (Qal'-i Yazdigird) სასახლის მე-11ა ოთახის ინტერიერის მოხატულობაში გამოვლინდა ე.წ. მოცეკვავე ქალების შიშველი ფიგურები ანალოგიურ პოზაში. ბათქაშით შელესილ ნახევარსვეტებზე შიშველი ქალები, პანი და სარმატულ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცები იყო დახატული ფერადი საღებავებით (ჰერმანი 1977, 71). ამგვარი მოხატულობის გავრცელება პართიაში არშაკიდების დინასტიას უკავშირდება და გვიანი პართული ხანით, მეორე საუკუნით თარიღდება (ქილი 1977, 8-9).

არმაზის ძვლის ფირფიტაც მეორე-მესამე საუკუნეებით უნდა დათარიღდეს (დემეტრაძე-რენცი 2021, 109). ის, ისევე როგორც მელე ჰაირამის ფირფიტები, ზომისა და ფორმის მიხედვით ავეჯის მორთულობა უნდა ყოფილიყო. სხვადასხვა კომპოზიციების ძვლის პატარა ზომის ფირფიტები ხის ავეჯის ინკრუსტაციისთვის გამოიყენებოდა. ავეჯი, ისევე როგორც კედლების მოხატულობა,

სასახლის მორთულობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. სასახლის დეკორაციის ამგვარი მოტივები არშაკიდების სამეფო კარის გართობასა და ცხოვრების წესზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის (კაიმი 2016, 91-102). საფიქრებელია, რომ პართელი არშაკიდების გემოვნება ქართლელი არშაკიდებისთვისაც მისაღები იყო.

ქალაქის რიგითი მოსახლეობა განსხვავებული სამშენებლო სტი-ლით აშენებულ სახლებში ცხოვრობდა. ალიზის სახლები სასახლის ზემოთ, დასავლეთ ტერასაზე მდებარეობდა. მათი კედლები უფრო პატარა ზომის ალიზის აგურებით იყო აშენებული, რომლებიც ტეხილი ქვის ერთრიგიან პლინტუსს ეყრდნობოდა. სახურავები წითლად შეღებილი კრამიტით ყოფილა გადახურული.







**16. არმაზის ალიზის აგურის სახლები, ხედი ჩრდილოეთითა და დასავლეთით**

რთული სათქმელია, მოსახლეობის რომელი ფენა ბინადრობდა ამ სახლებში. თუმცა, სახლების შეღებილი კრამიტებით გადახურვა მიუთითებს, რომ მათი მობინადრეები შეძლებულნი ყოფილან, რადგანაც შეღებილი კრამიტი არ იყო იაფი სამშენებლო მასალა. სტრაბონი ქართლის აღწერისას აღნიშნავდა, რომ იბერიაში არქიტექტურული სტილით ნაგები და კრამიტით გადახურული სახლები იყო (სტრაბონი 11.3.1). ძნელი სათქმელია, თუ როდის აშენდა და ფუნქციონირებდა ეს სახლები. ამის განმსაზღვრელი მონაცემები, მაგალითად, სტრატიგრაფია, კრამიტის ზომები, ან იქ აღმოჩენილი სხვა არქეოლოგიური მასალა არ მომეპოვება. მშენებლობის მეთოდით თუ ვიმსჯელებთ, ეს სახლები გვიან ელინისტურ ხანაშიც შეიძლება ყოფილიყო აშენებული და რომაულ იმპერიულშიც. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია, რომ სტრაბონი მათზე ან მათ მსგავს შენობებზე წერდა.

ქალაქი არმაზი წყლით კარსნისხევიდან მარაგდებოდა. მას რეზერვუარი და წყალგაყვანილობის სისტემა ჰქონია, რომელიც წყალსადენებისა და დრენაჟების ქსელისგან შედგებოდა. წყალსადენები კერამიკული მილებისგან იყო გაკეთებული, სადრენაჟო არხები კი ქვისგან. წყალი თიხის მილებით მიეწოდებოდა რეზერვუარსა და აბანოებს. აბანოდან ნახმარი წყალი სადრენაჟო არხებით გაედინებოდა.

რეზერვუარი ანუ ცისტერნა პირველი ნაგებობა იყო, რომელიც ნაქალაქარზე გაითხარა 1889 წელს.[22] მაშინვე დადასტურდა მშენებლობის ორი მეთოდი – მშრალი, უკირო წყობა და კირდუღაბის გამოყენება. უკირო წყობაში ორმაგ სამაგრთა ბუდეები გამოვლინდა. ზოგში ქვის სოლი ყოფილა ჩარჩენილი. ასევე აღმოჩნდა კედლის მხატვრობის ნიმუში – მრავალფერი საღებავით შესრულებული ქალის პორტრეტი, ვერცხლის ფული, მინის სამაჯური, რკინის იარაღები, კრამიტისა და თიხის ფილების ნატეხები, მარმარილოს არქიტექტურული ორნამენტები და ცხოველისა და ფრინველის ძვლები (ქუთათელაძე 1966, 18-119).

---

22 არმაზის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრები პირველად დავით ქუთათელაძემ ჩაატარა 1889 წელს. მან აღმოაჩინა დამცავი კედლის პატარა ფრაგმენტი და გათხარა ნაგებობა, რომელშიც რამდენიმე სამშენებლო ფენა გამოყო (ქუთათელაძე 1966, 117-118; თაყაიშვილი 1968, 37; აფაქიძე 1963, 259).

შენობის თავდაპირველი და ძირითადი ფუნქცია ვერ განისაზღვრა, რადგანაც იგი მრავალჯერ იყო გადაკეთებული. პირველად დ. მშვენიერაძემ დააკავშირა ცისტერნასთან თიხის მილები და გამოთქვა მოსაზრება, რომ იგი კომუნალური დანიშნულების შენობა უნდა ყოფილიყო [23] (მშვენიერაძე 1952, 25).

ცისტერნა სვეტებიანი დარბაზის ტერასაზე მდებარეობს, მისგან 6 მ ჩრდილოეთით. იგი მიწისზედა ცისტერნის ტიპს განეკუთვნება, რომლის საძირკვლადაც მანამდე არსებული შენობა გამოუყენებიათ. საძირკველი ორმაგი მტრედისკუდა სამაგრებით გადაბმული ქვიშაქვისა და ბაზალტის ბლოკების მშრალი წყობითაა აგებული. თავად ცისტერნა კი კირდუღაბისა და ქვიშაქვის პატარა ზომის უსწორმასწორო ფილებით, მეორადი გამოყენების ქვიშაქვის ბლოკებითა და რიყის ქვებითაა ნაშენი. ცისტერნა მართკუთხა და თაღოვანია, რომელიც დიდი ზომის წითლად შეღებილი კრამიტებით იყო გადახურული. სავარაუდოდ, მისი გადახურვა თაღების სამ რიგს ეყრდნობოდა, რადგანაც ცისტერნა სამგანყოფილებიანი უნდა ყოფილიყო და თითოეულ განყოფილებას თავის გადახურვა უნდა ჰქონოდა. ამჟამად მხოლოდ ორი განყოფილება და ერთი წყლის კოლექტორია შემორჩენილი. ცისტერნის შემორჩენილი ზომებია – სიგრძე 15 მ, სიგანე 14 მ, სიმაღლე 6 მ, კედლების სიგანე 0.85 მ-დან 2.25 მ-მდე მერყეობს. ჩრდილოეთის კედელი 2 მ სისქისაა. ის თაღებითა და ქვიშაქვის ბლოკების ბურჯებითაა ამოყვანილი. მასში 4 მ X 1 მ ღიობია გაჭრილი, რომელსაც ქვიშაქვის ბლოკების ზღურბლი და ქვიშაქვის პატარა ფილების რადიალური თაღი აქვს. დაახლოებით 4.5 მ სიმაღლიდან კედელი მრგვალდება და მოქნილად გადადის თაღოვან გადახურვაში. აღმოსავლეთის კედელი დაახლოებით 5 მეტრამდეა შემორჩენილი. ისიც თაღებითა და ბურჯებითაა აშენებული. მიწის თანამედროვე ზედაპირის დონეზე ქვიშაქვის არხის პირი მოჩანს. სამხრეთის კედელი დაახლოებით 3 მეტრამდეა შემორჩენილი. გამაგრებულია ოთხი მართკუთხა ბატრასით. პირველი სამის ზომაა 1 მ X 0.5 მ, ხოლო მეოთხის 2 მ X 0.5 მ. დასავლეთის კედელი სწორია და ფერდობზე მიბჯენილი. ის არსებული შენობიდან დაახლოებით

23 აფაქიძე ცისტერნას ორსენაკიან შენობას უწოდებდა (აფაქიძე 1963, 30-31).

2 მ-ზე გრძელდება და კუთხის ქვებით ბოლოვდება. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო მესამე განყოფილება, რომელიც მეორეს დაუკავშირდებოდა ჩრდილოეთის კედელზე არსებული ღიობით და დაბოლოვდებოდა კუთხის ქვებით.

ცისტერნის არაერთხელ გადაკეთების კვალს ასახავს პირველი განყოფილება. მისი დასავლეთი კედლის მცირე ნაწილი ფსევდო ოპუს რეტიკულატუმით (opus reticulatum) მოუპირკეთებიათ. ოპუს რეტი-კულატუმი იშვიათი იყო იტალიის გარეთ. ახლო აღმოსავლეთში მისი ნიმუშები გვხვდება რომის კლიენტ სამეფოებში ან იმ ადგილებში, სადაც რომაული ლეგიონები იდგა (იხ. ქროფი 2010, 206 ლიტერატურით). ოპუს რეტიკულატუმი შემდგომში მოურღვევიათ და კედელში წყლის არხის ქვიშაქვის პირი ჩაუდგამთ.




**17. არმაზის ცისტერნა, ხედი სამხრეთით, ფსევდო რეტიკულატუმი დასავლეთის კედელზე**

ცისტერნა ჭის ალტერნატიულ საშუალებად შეიქმნა. იგი ფართოდ გამოიყენებოდა ბერძნულ-რომაულ სამყაროში, როგორც წვიმის ან წყაროს წყლის მოსაგროვებელი და შესანახი საშუალება. დროთა განმავლობაში ცისტერნები განვითარდა და დაიხვეწა. ადრეული ცისტერნები მიწისქვეშ შენდებოდა. იყო ნახევრად მიწაში ჩაფლული ღია და წრიული ცისტერნებიც. უფრო გვიანდელებს კი ბოთლის ან სურის ფორმა ჰქონდათ. ძვ.წ. მეოთხე საუკუნის დასაწყისიდან ათენის აგორაზე ცისტერნამ თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ჭა. დასავლეთ

ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ელინისტური ხანიდან ვრცელდება ვიწრო, გრძელი, ღრმა და ბოლოებმომრგვალებული ცისტერნები, რომლებიც ფილებით იხურებოდა. სახურავი ბრტყელი ან ორფერდა იყო. ამ ფორმის ცისტერნა გვიანი რესპუბლიკისა და ადრეიმპერიული ხანის ლაციუმსა და კამპანიაშიც გავრცელდა. რაც შეეხება მართკუთხა ცისტერნას, ეს ფორმა პირველად ელინისტურ დელოსში გაჩნდა და შემდგომ გავრცელდა დანარჩენ საბერძნეთსა და ახლო აღმოსავლეთში. მართკუთხა ცისტერნას თაღოვანი გადახურვა ჰქონდა, რომელიც თაღების რამდენიმე რიგისგან შედგებოდა (ოლესონი 2008, 287-88).

რომის რესპუბლიკის ხანიდან ცისტერნების მშენებლობაში მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური წინსვლა მოხდა, რასაც განსაკუთრებით შეუწყოხელი რომაელების მიერ წყალგამძლე ბეტონისა და თაღის გამოგონებამ. შესაძლებელი გახდა მიწისზედა თაღოვანი, დიდი ზომის, სქელკედლიანი, მრავალგანყოფილებიანი ცისტერნების აშენება, რომლებიც გარედან ბატრასებით მაგრდებოდა. რაც უფრო ბევრი და სქელი კედელი ჰქონდა ცისტერნას, მით უფრო დიდი იყო წყლის შეკავების ძალა და ცისტერნაც უფრო ტევადი და გამძლე ხდებოდა. მიწისზედა ცისტერნიდან წყალი გრავიტაციით გადმოედინებოდა და წყლის ამოქაჩვა აღარ იყო საჭირო. რომაული ცისტერნის ყველაზე გავრცელებული ტიპი იყო მართკუთხა, ერთი ან რამდენიმე განყოფილებიანი, ცილინდრული თაღებით გადახურული რეზერვუარი. თაღის ცენტრში დაახლოებით 50 სმ-იანი ორი ნახვრეტი იყო. წყალი ცისტერნაში თიხის მილებით ან ამოლესილი ქვის არხებით ჩაედინებოდა. წყლის დონე ნიშნულებით იზომებოდა და ცისტერნის თაღის რკალამდე არ აღწევდა. ცისტერნის თავი ან ყელი, ჭის მსგავსად, კედლით იყო შემოფარგლული და დაცული. ცისტერნები შიგნიდან, ძირითადად, ოპუს სიგნინუმით (opus signinum) ილესებოდა. სანიტარულ-ჰიგიენური მოსაზრებით კედლებისა და იატაკის გადაბმის ადგილები ნახევრად მომრგვალებული ყალიბში დამზადებული დეტალებით ივსებოდა, ხოლო იატაკში წრიული ორმო იჭრებოდა. მომრგვალებული კუთხეები ადვილად იწმინდებოდა, ორმოებში კი წყლის ნალექი გროვდებოდა.

ცისტერნები შენდებოდა სხვადასხვა ადგილებში, ქალაქებში, ფორტებში, აკვედუკების თავში და სხვა. სასმელი წყლის ცისტერნები წყაროებით მარაგდებოდა, ხოლო სარწყავი წვიმით. ცისტერნების რეგისტრაცია და მართვა მნიშვნელოვანი პროცესი იყო რომაულ სამყაროში (ოლესონი 2008, 289-290; ბრუნი 2013, 308-310).

არმაზის ცისტერნა რომაული ცისტერნის ტიპური ნიმუშია. ის რომაული სამშენებლო მეთოდებითაა აშენებული და მრავალი სხვა რომაული პერიოდის ცისტერნის მსგავსია, მაგალითად, პერგამონის, ამფილოპოლისის და სხვა. ცისტერნა ქალაქის ცენტრში მდებარეობდა



**18. ამფიპოლისის რომაული ცისტერნა, საბერძნეთი, ხედი აღმოსავლეთით**

და მოსახლეობას სასმელი წყლით ამარაგებდა. ზომისა და მდებარეობის მიხედვით, ის ქალაქის მნიშვნელოვანი ნაგებობა იყო. მასში დაახლოებით 1.260 $მ^3$ მოცულობის სასმელი წყალი ეტეოდა. ცისტერნა და მასთან დაკავშირებული წყალგაყვანილობის სისტემა მუდმივ მოვლასა და შეკეთებას საჭიროებდა. ეს ნიშნავდა, რომ არსებობდა პროფესიონალი მუშახელი, რომელიც საჭირო სამუშაოებს ატარებდა და ასევე საწარმოო ობიექტები, სადაც მილები და სხვა მასალა მზადდებოდა. ცისტერნა, სავარაუდოდ, პირველ-მესამე საუკუნეებში აშენდებოდა,

მაშინ, როდესაც რომაულ-ქართლური სამხედრო და პოლიტიკური ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური იყო. ამ ტიპის ცისტენა ერთადერთია საქართველოს ტერიტორიაზე. სამშვილდის ნაქალაქარზეა გამოვლენილი ორი ღია, წვიმის წყლის რეზერვუარი, რომლის თარიღიც უცნობია.

არმაზის ცისტერნა მხოლოდ წყლის რეზერვუარი არ ყოფილა. წყლისგან დაცლის შემდეგ მისი ინტერიერი მოუხატავთ[24] და მარმარილოს სხვადასხვა არქიტექტურული დეტალით მოურთავთ. შესაძლოა, ცისტერნის შენობა საცხოვრებლადაც გამოიყენებოდა. საკითხავია, როდის ან რატომ გაუქმდა ცისტერნა და სხვა დანიშნულების ნაგებობად გადაკეთდა? ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ცისტერნა თავის პირველად ფუნქციას დაკარგავდა და აღარც მცოდნე მომვლელი პერსონალი ეყოლებოდა. შესაძლოა, ეს  სატახტო ქალაქის არმაზიდან მცხეთაში გადატანასთანაც ყოფილიყო დაკავშირებული. მეფის სასახლე, ალბათ, ყველაზე მეტ წყალს მოიხმარდა. მეფის რეზიდენციის სხვაგან გადასვლა ნიშნავდა ამ ხარჯების შემცირებას ან სულაც შეწყვეტას.

ქალაქ არმაზში ჩვენთვის ცნობილი სამი აბანო იყო. აქედან ორი დღესაც თვალსაჩინოა, მესამე დაკონსერვებულია ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. პირველი აბანო ცისტერნიდან 30 მ დასავლეთით მოსწორებულ ადგილზე, ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე მდებარეობს. ის კირქვის ფილებით, ქვიშაქვის კვადრებით, რიყის ქვებით, გამომწვარი აგურებით, თიხის ფილებითა და კირდუღაბით აუშენებიათ, ხოლო გარედან და შიგნიდან ბათქაშით შეულესავთ. აბანო წითლად შეღებილი კრამიტით – ტეგულათი (tegula) და იმბრექსით (imbrex) ყოფილა გადახურული. აბანო მართკუთხა (24 მ X 8 მ) ფორმისაა და  ხუთი ერთმანეთში გამავალი ოთახისგან შედგება. ერთმანეთთან კარის ღიობით დაკავშირებული გასახდელი (apodyteri-

24 ცისტერნის კედელზე შესრულებული ქალის პორტრეტი ახ.წ. პირველი საუკუნის შუა ხანებით დათარიღდა (კავლელაშვილი 1996, 142-143). ვფიქრობ, ეს თარიღი გამოსარიცხია, რადგანაც ცისტერნის აშენებისა და ფუნქციონირების დრო პირველი - მესამე ს.ს. უნდა იყოს. მისაღებია ფრესკის უფრო გვიანდელი თარიღი - მესამე საუკუნის  ბოლო - მეოთხე საუკუნის დასაწყისი.

um) და ცივი ოთახი (frigidarium) აბანოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ორივე ოთახი თითქმის კვადრატულია. გასახდელს ორი შესასვლელი აქვს. პირველი, ზღურბლიანი სამხრეთის კედელზე, ხოლო მეორე აღმოსავლეთისაზე. გასახდელის ჩრდილოეთ კედელზე ორი ნიშაა. ცივ ოთახს გარეთ გასასვლელი აღმოსავლეთიდან, სამსაფეხურიანი კიბით აქვს მოწყობილი. ცივი ოთახის აღმოსავლეთ კუთხეში კიბეებით ჩასასვლელი, ჩასაყვინთი აუზია. მისი დასავლეთი კედელი კირქვის მასიური ფილითაა გაკეთებული, ხოლო კიბეები ქვიშაქვის ბლოკებით. ჩრდილოეთის კედლის კარი თბილ ოთახში (tepidarium) გადის, თბილი ოთახი – ოფლის მოსადენში (laconicum/sudatorium), ოფლის მოსადენი კი ცხელში (caldarium). კარის ღიობები და ზღურბლები ქვიშაქვის მართკუთხა მასიური ფილებითაა მოპირკეთებული. თბილი და ოფლის მოსადენი ოთახების ზღურბლებს აღმოსავლეთ მხარეს ღარები დაუყვება. თბილი, ოფლის მოსადენი და ცხელი ოთახები ოვალურია. ოფლის მოსადენი და ცხელი ოთახების კედლები თიხის შვერილებიანი ფილებითაა (tegula mammata) მოპირკეთებული. თბილ და ცხელ ოთახებს აბაზანები (alveus) აქვს. თბილ ოთახს ერთი აბაზანა აქვს აღმოსავლეთის კედელზე, ხოლო ცხელს – სამი – ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე. აბაზანებისა და აუზის ზემოთ, კედლებში, წყლის თიხის მილებია ჰორიზონტალურად ჩაყოლებული. ყველა აბაზანის გარეთა კედელი კირქვის მასიური ფილისაა. ცხელი ოთახის ჩრდილოეთით საცეცხლე ოთახი (praefurnium) მდებარეობს, რომლის ღუმელსაც აგურებით გამოყვანილი რადიალური თაღი აქვს. ცხელი ოთახის ქვეშ ჰიპოკაუსტუმია. აბანოს შიდა შელესილობაზე წითელი საღებავის კვალი შეინიშნება.

აბანო წყლით დასავლეთიდან მარაგდებოდა მილსადენით, ნახმარი წყალი კი აღმოსავლეთიდან, დამრეცი ადგილიდან გაედინებოდა სადრენაჟო არხით (ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1997, 7-9). აბანოსგან 10 მ აღმოსავლეთით აუზი ყოფილა (6.4 მ X 3.6 მ) (ნიკოლაიშვილი 2011, 44), რომელიც ამჟამად აღარ ჩანს მიწის ზედაპირზე. აუზს ცივი ოთახი უკავშირდებოდა აღმოსავლეთით მდებარე კიბეებიანი ჩასასვლელით.




**19. არმაზის აბანოები**

მეორე აბანო პირველიდან 50 მ ჩრდილოეთით, მოსწორებულ ადგილზე, ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე მდებარეობს. საშენ მასალად გამოყენებულია ქვიშაქვის ქვები და კვადრები, რიყის ქვები, გამომწვარი აგურები და კირდუღაბი. აბანო საკმაოდ დაზიანებულია. ირგვლივ თიხის შვერილებიანი ფილებისა და მილების ფრაგმენტებია მიმობნეული. მთლიანი ფორმა და შელესილობა არ შემორჩენილა. მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ოვალურია. შემორჩენილი ზომებია 24 მ X 6 მ. ოთხი განყოფილება იკვეთება ერთ ხაზზე. თუმცა, მხოლოდ უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე, ცხელი ოთახის განსაზღვრაა შესაძლებელი ზუსტად, რადგანაც მის აღმოსავლეთით საცეცხლე ღუმელია, ხოლო ქვემოთ ჰიპოკაუსტუმი. საცეცხლე ღუმელს აგურებით გამოყვანილი რადიალური თაღი აქვს. ცხელი ოთახის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების ექსედრებში აბაზანებია მოწყობილი. ცხელი ოთახი შუაში გაჭრილი კარის ღიობით მეორე განყოფილებას უკავშირდება, მეორე კი მესამეს. მესამე განყოფილებაში თბილი ოთახის არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ, რადგანაც დასავლეთ კედელზე

აბაზანაა მოწყობილი. აქვეა პატარა ნიშაც. შესაძლოა, ეს განყოფილება ცივი ოთახიც იყოს, რადგანაც მას ორი ღიობი აქვს – ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. აღმოსავლეთის ღიობით ის შემდეგ განყოფილებას უკავშირდება, რომელიც, შეიძლება, გასახდელი ყოფილიყო. აბანოს ინტერიერი ნიღბებით ყოფილა მორთული (ნიკოლაიშვილი 2011, 43).

აბანოებიდან აღებული კირდუღაბისა და შელესილობის ნიმუშების სტერეომიკროსკოპულმა ანალიზმა არ აჩვენა მათ შემადგენლობაში ვულკანური ფერფლი. გამოვლინდა კირდუღაბის ღია ნარინჯისფერ-მონაცრისფრო, კარგად განლექილი, მაგრამ ცუდად შეკრული ტექსტურა. შემკვრელი მატრიცა შეიცავდა კვარცის კრისტალებს, ქვიშაქვის კარგად დაფქულ, მცირე ზომის მოყავისფრო და მომწვანო ქვიშას და მოყავისფრო რელიქტური კირის ნაწილაკებს. კირდუღაბის შემადგენლობაში 10% იყო ლავური ნაწილაკები. აგრეგატად გამოყენებული იყო წახნაგოვანი ქვიშაქვები, ტერაკოტის ნატეხები და მომრგვალებული ბაზალტური კენჭები. აგრეგატის წახნაგოვანი ფორმა მიგვანიშნებს, რომ ის ალუვიური ნალექებიდან მომდინარეობდა. შესაძლოა, სამშენებლო ადგილას პალეოტერასა ყოფილიყო. მომრგვალებული ბაზალტური კენჭები კი მდინარეული დანალექებიდან უნდა ყოფილიყო მოტანილი. სპილოსძვლისფერი ბათქაში კარგად იყო შეკრული. აგრეგატის სახით კერამიკულ ფხვნილს შეიცავდა, ხოლო პოცოლანური მასალის სახით ძალიან წვრილ ბაზალტურ ქვიშას. ბაზალტური ნაწილაკების ბიმოდალური გავრცელება მიუთითებს მდინარეული დანალექების დახარისხებაზე – წმინდა ქვიშა გამოიყენებოდა ბათქაშში შემკვრელად, ხოლო პატარა ქვები და კენჭები დუღაბში აგრეგატად.[25]

არმაზის ორივე აბანო რომაული სამშენებლო მეთოდებითაა აგებული. ისინი რომაულ არქიტექტურულ სტილსა და სამშენებლო ტრადიციებს ასახავენ. აბანოები ერთ ღერძზეა განლაგებული, განყოფილებები ერთმანეთში თანმიმდევრულად გადადის, ცხელი, თბილი და საორთქლე ოთახები ოვალურია, რაც სითბოს თანაბრად გადასანაწილებლად და ცივი კუთხეების ასაცილებლად იყო

25 დუღაბისა და ბათქაშის ნიმუშების ანალიზი გაკეთდა კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დოქტორ მარი ჯექსონის მიერ.

გაკეთებული. აბანოს ჰქონდა ცივი და ცხელი აბაზანები, დიდი და პატარა აუზები. იატაკები ჰიპოკაუსტუმის გათბობის სისტემით თბებოდა ქვემოდან. ცხელი, თბილი და საოფლე ოთახების კედლებსაც ჰიპოკაუსტუმიდან ამოსული ცხელი ჰაერი ათბობდა ტეგულა მამატას საშუალებით. შვერილებიანი ფილები კედელს ბოლომდე არ ეკვროდა, რაც კედელსა და ფილას შორის წარმოქმნილ სიცარიელეში ცხელი ჰაერის ცირკულირების საშუალებას იძლეოდა. გამომწვარი, ცეცხლგამძლე აგურით აშენებული იყო აბანოების კედლების ქვედა რიგები, ჰიპოკაუსტუმები და ღუმელები, ანუ შენობის ის ადგილები, სადაც ცეცხლი ინთებოდა და განსაკუთრებულად ცხელი ჰაერი ტრიალებდა.

აგურით მშენებლობა უფრო მოსახერხებელი და ეკონომიური იყო, რადგანაც აგურის დამზადება უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ქვის მოპოვება და დამუშავება. აგური ქვაზე მსუბუქი და, შესაბამისად, ადვილად ტრანსპორტირებადიც იყო. რომაულ არქიტექტურაში სამი სახის გამომწვარი აგური გამოიყენებოდა – ბესალეს (197 მმ$^2$), სესკიპედალეს (444 მმ$^2$) და ბიპედალეს (592 მმ$^2$). კედლის მოსაპირკეთებლად აგურები სამკუთხედებად იჭრებოდა, ხოლო თაღის გამოსაყვანად – მართკუთხედებად. ბესალეს ორ სამკუთხედად ან ორ მართკუთხედად იყოფოდა. აგურის ეს ზომა გავრცელებული იყო კლავდიუსის, ნერონის, ვესპასიანეს, ტიტუსის, ტრაიანესა და ანტონინუს პიუსის მმართველობის პერიოდებში. სესკიპედალეს რვა სამკუთხედად იყოფოდა და დომიციანესა და ადრიანეს დროს გამოიყენებოდა. ბიპედალეს კი 18 სამკუთხედად ყოფდნენ და მხოლოდ დომიციანეს მმართველობის ხანაში მოიხმარდნენ (მალაკრინო 2010, 55-58).

ქალაქ რომში აგურის საყოველთაო გამოყენება ავგუსტუსის ხანიდან დაიწყო და თანდათანობით იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში გავრცელდა. აგურისა და ბეტონის კომბინაციით რომაელმა ინჟინრებმა რადიალური წყობის თაღი შექმნეს, რაც სრულიად განსხვავებული იყო აღმოსავლური, სიგანეზე დალაგებული ალიზის აგურის წყობისგან (ჰენიგი 1983, 45; ლანქასთერი 2015, 39-48). რომაული აგურის რადიალური წყობით არმაზის აბანოების პრაფერნიუმებია აშენებული.

მათ მშენებლობაში ორად გაყოფილი რომაული აგური, ბესალეს არის გამოყენებული.




**20. რადიალური თაღები არმაზის არქიტექტურაში**

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ არმაზის აბანოების მშენებლები რომაულ ტექნიკას კარგად ფლობდნენ. აბანოების გეგმარება და სამშენებლო მასალების გამოყენება, უდავოდ, რომაულ სტანდარტებს ექვემდებარება. თუმცა, ერთი უზუსტობაა აღსანიშნავი. რომაულ თერმებში, გასაგები მიზეზების გამო, ფრიგიდარიუმი, ძირითადად, ჩრდილოეთით მდებარეობდა, ხოლო კალდარიუმი სამხრეთით, არმაზის აბანოებში კი ცხელი ოთახები ჩრდილოეთითაა განლაგებული.

არმაზის აბანოების ხაზოვანი გეგმარება მსგავსია აბანოებისა, რომლებიც რომის მთელ იმპერიაში გავრცელდა ძვ.წ. პირველი საუკუნიდან, მაგალითად, ძვ.წ. პირველი საუკუნის იერიქონის ზამთრის სასახლის ძირითადი აბანო (ნეცერი 1999, 44-47); ახ.წ. პირველი საუკუნის აბანო ჰაგინ ჰილზე ლონდონში (როუსომი 1999, 64-265), ახ.წ. მეორე საუკუნის მოზაიკურ იატაკიანი აბანო გარნის ციხეზე (არაქელიანი 1957, 23-41), მეორე-მესამე საუკუნეების აბანო ჰალეს ვილაში სტაფორდშირში და სხვა.

რომაული აბანოები ქართლში არმაზის გარდა, არმაზისხევში, ძალისში, ურბნისში და თბილისშია აღმოჩენილი (სადრაძე და სხვა 2014, 7-8). უახლოესი არმაზისხევში მდებარეობს, რომელიც ადგილობრივი დიდგვაროვანის რომაული ვილას ნაწილი უნდა ყოფილიყო. ძალისში

გამოვლენილი ორი აბანოც ადგილობრივი დიდებულის რომაული ვილას მთავარი შემადგენელი კომპონენტია. პირველი აბანო მეორეზე დიდია. მას რთული გეგმარება აქვს. აბანოს წინ გრძელი საცურაო აუზია განლაგებული. მეორე აბანო ხაზოვანია. შემორჩენილია მისი მოზაიკური იატაკი. აბანო ტრიკლინიუმს უკავშირდებოდა, რომელიც ასევე მოზაიკით იყო გაფორმებული.[26]

არმაზის აბანოები სამშენებლო ტექნიკისა და სტილის მიხედვით პირველ-მეორე საუკუნეებში ჩანს აშენებული.[27] ახ. წ. პირველი საუკუნის შემდეგ ტეგულა მამატა აღარ გამოიყენებოდა აბანოს მშენებლობაში. ეს ფილები ოთხკუთხა განივკვეთიანმა მილებმა ჩაანაცვლა (ადამი 2008, 292-293).

ცხადია, რომის აღმოსავლეთი იმპერიის განაპირას მდებარე ქვეყანაში ცენტრიდან ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების ჩაღწევას დრო დასჭირდებოდა. სამშენებლო ტექნიკა, რომელიც იმპერიის ცენტრში იყო გავრცელებული, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ დაინერგებოდა პროვინციაში და, მით უმეტეს, მის განაპირა მხარეს. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია ტეგულა მამატას მეორე საუკუნის ქართლში გამოყენება.

მეორე აბანოსთან ორი ბერძნულენოვანი სამშენებლო წარწერა აღმოჩნდა. ერთი მათგანი გვამცნობს, რომ: „არმენიის მეფის ვოლოგეზეს ასულს, ხოლო იბერთა დიდი მეფის ამაზასპის მეუღლეს, ანაგრანესმა, მამამძუძემ და ეზოსმოძღვარმა, საკუთარი სახსრით (გაკეთებული) აბანო შესწირა", ხოლო მეორე „მეფის ... მამამძუძემ ... და ეზოსმოძღვარმა გააკეთებინა თავისი საზრდელით (ან სახსრით) მიწისქვეშა გაყვანილობა (ან წყალსადენი) და აბანო (ან წყალსადენი აბანოსთვის) და შესწირა დრაკონტის დედოფალს". წარწერები თ. ყაუხჩიშვილმა თარგმნა და მეორე-მესამე საუკუნეებით დაათარიღა (ყაუხჩიშვილი 2004, 227-228).

ეს სამშენებლო წარწერები მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას

---

26 ძალისის მოზაიკის განხილვისთვის იხ. ოდიშელი 1995.

27 პირველი აბანო გ. ყიფიანმა სასახლის აბანოს გარდამავალ ტიპად მიიჩნია და მესამე-მეოთხე საუკუნეებით დაათარიღა (ყიფიანი 1997 ბ, 9-11). ვ. ნიკოლაიშვილმა გაიზიარა პირველი აბანოს თარიღი, მეორე აბანო კი მეორე-მესამე საუკუნეებით განსაზღვრა (ნიკოლაიშვილი 2011, 42).

გვამლევენ. პირველ ყოვლისა ვიგებთ, რომ მეორე აბანო მესამე საუკუნეშიც განაგრძობდა ფუნქციონირებას და ის დედოფლის საკუთრება ყოფილა. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ წარწერა ბენეფექტორის სახელსა და ევერგეტიზმის პრაქტიკას ამჟღავნებს.

აბანოები ანუ თერმები ბერძნული სამყაროდანაა ცნობილი, სადაც ცხელი და ორთქლის აბანოები ძვ. წ. მეხუთე საუკუნიდან არსებობდა. იტალიაში კი ძვ. წ. მესამე საუკუნიდან დამკვიდრდა და შემდეგ რომის მთელ იმპერიაში გავრცელდა (ანდერსონი 1907, 244; მალაკრინო 2010, 175-186). აბანო ჰიგიენის დაცვის საშუალება იყო როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში, ასევე ჯარში. თუმცა, რომაული თერმები მხოლოდ ამ ფუნქციით არ შემოიფარგლებოდა. აბანო საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომდგენელთა თავშეყრის, გართობისა და სოციალური ურთიერთობების ადგილიც იყო. ამის გამო რომაულ აბანოებში სავარჯიშო და საცურაო ოთახების გარდა, მოწყობილი იყო დარბაზები, ბიბლიოთეკები, ბაღები და შადრევნები. თერმები რომაული ცხოვრების სტილის განუყოფელი ნაწილი გახდა. ისინი მრავლად აშენდა როგორც იმპერიის დასავლეთით, ასევე აღმოსავლეთით. გავრცელდა იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრების მიღმაც, მაგალითად ქართლში.

ქალაქ არმაზში სამი რომაული აბანოს არსებობა რომაული ცხოვრების სტილის აშკარა გამოხატულებაა. ჩვენ არ ვიცით ადგილობრივი ელიტის გარდა კიდევ რომელი სოციალური ფენა დადიოდა ამ აბანოებში და შესაბამისად, ვინ მისდევდა რომაული ცხოვრების სტილს, მაგრამ, თავისთავად ეს მოვლენა უკვე სოციალური და ურბანული ფენომენია.

არმაზში ერთი ტაძარი ყოფილა, რომელიც სვეტებიანი დარბაზის ტერასაზე მდებარეობდა, მისგან 50 მ ჩრდილო-აღმოსავლეთით. ის ტერასის კიდეზე იყო აგებული და მტკვარ-არაგვის შესართავს გადაჰყურებდა. ტაძარი მხოლოდ ნაწილობრივ შემორჩა. მისი იერსახის აღდგენა საძირკვლის, კედლის ფრაგმენტებითა და არქიტექტურული დეტალებით გახდა შესაძლებელი. ტაძრის აღწერილობასა და ზომებს გ. ყიფიანის (2005 ბ) მიხედვით გთავაზობთ. ჩვენამდე ტაძრის დასავლეთ

ნაწილმა მოაღწია ცოკოლის, კედლებისა და აბსიდების ფრაგმენტების სახით. აღმოსავლეთი მხარე მთლიანად დანგრეული იყო. ცოკოლი შედგებოდა კარგად დამუშავებული ქვიშაქვებით, რომლებიც ქვიშაქვის ნამტვრევების ფენას ეფუძნებოდა. მისი სიმაღლე ერთი ქვის წყობა იყო, ხოლო სიგანე ორი. ქვების შემაკავშირებლად კირხსნარი გამოიყენებოდა. ქვის ცოკოლზე ალიზის აგურების კედლები იყო ამოყვანილი. ალიზის აგურების წყობა დასავლეთის კედელზე 2 მეტრს აღწევდა. კედლების სიგანე ორ-ნახევარი ალიზის აგურით განისაზღვრებოდა. ალიზის აგურები კვადრატული იყო (45 სმ X 45 სმ X 10 სმ). ტაძარი მართკუთხა უნდა ყოფილიყო, რადგანაც მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები დასავლეთ კედელს მართი კუთხით უკავშირდებოდა. მისი შემორჩენილი სიგრძე 17.5 მ იყო. ჩრდილოეთის კედლის ფრაგმენტის სიგრძე 9 მ იყო, დასავლეთის 17.5 მ, ხოლო სამხრეთის 12 მ. კარის ღიობები ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში იყო გაკეთებული. ინტერიერში აბსიდები იკითხებოდა. ისინი ალიზის კვადრატული აგურებით იყო გამოყვანილი. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებთან თითო ნახევარაბსიდა ისახებოდა, ხოლო დასავლეთის კედელთან – ორი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლის ნახევარაბსიდების რადიუსი 2.25 მ იყო, დასავლეთის კედლის აბსიდებისა კი 2.1 მ. აბსიდების გადაბმის ადგილები ხის მორების კარკასით იყო გამაგრებული. კარკასები თიხის დაპრესილი მასით იყო შევსებული. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების გასწვრივ 1.3 მ სიგანის დერეფნები დადასტურდა. დერეფნებში ერთმანეთისგან 1.2 მ დაშორებით 10 ორმო (30 სმ დიამეტრი 20 სმ სიღრმე) იყო. დასავლეთის აბსიდებთანაც აღმოჩნდა ჩაღრმავებები, სადაც ხის ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. ტაძრის იატაკი თიხატკეპნილი იყო. მის ცენტრში, in situ აღმოჩნდა სვეტის კირქვის ცენტრალური, ტოლგვერდა ექვსკუთხედპლინტუსიანი ბაზა (d 1.27 მ). იგი ოთხი ნაწილისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან რკინის კავებიანი სამაგრებითაა გადაბმული. სამაგრის ბუდეებში სიმტკიცისთვის ტყვია იყო ჩასხმული. ბაზის სიმაღლე 35 სმ-ია. იგი სამ-სამ საფეხურადაა დანაწევრებული. თითოეული მათგანი ვოლუტით ბოლოვდება. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ტოლ-

გვერდა ექვსკუთხედის ფორმის კირქვის ცენტრალური ორდერი. ორდერიც სამ-სამ საფეხურადაა დანაწევრებული და ვოლუტებით ბოლოვდება. ის ბურთულებიანი ორნამენტითაა შემკული. დასავლეთის კედლის მარჯვენა თაღის წინ ქანდაკებისთვის განკუთვნილი კირქვის ადგილმონაცვლებული პიედესტალი (30 სმ X 72 სმ X 70 სმ) აღმოჩნდა. მისი ოთხივე გვერდი  კანელურებიანი ნახევარსვეტებითა და ვოლუტებიანი ორდერებით, კბილანა კარნიზებით, გირლანდებისა და ვარდულების გამოსახულებებითაა შემკული. ვარდულების ზოლითაა შემკული კვარცხლბეკის ქვედა ნაწილიც. კვარცხლბეკის ზედაპირზე ქანდაკების ტერფების ჩასადგმელი ბუდეებია ამოკვეთილი. მარცხენა ფეხის ბუდე უფრო ღრმაა და შუაში 2 სმ-იანი ფოსო აქვს. ქუსლის ადგილას ბუდეებს ანატკეცები ეტყობა.





**21. აბსიდებიანი ტაძრის პედესტალი**

ასევე ტაძრის შიგნით აღმოჩნდა  ცხრა ფსევდო კორინთული ორდერი (d 18.5-19.5 სმ, h 15-17 სმ). ტაძრის გარეთ მიმობნეული იყო ნახევარსვეტის ორდერისა და კბილანა ფრიზის ფრაგმენტები. ტაძარში ჩაქცეულ მასაში მრავალი კრამიტი (ტეგულა, იმბრექსი) აღმოჩნდა. მათი უმრავლესობა დაუზიანებელი იყო. ტაძრის ჩრდილოეთით და სამხრეთით 1.6 მ დაშორებით ქვიშაქვის ფილებისგან შედგენილი სადინრები გამოვლინდა (ყიფიანი 2005 ბ, 11-37). ტაძრიდან 2 მ დასავლეთით  ქვევრების ორი რიგი აღმოჩნდა. თითო რიგში რვა ქვევრი იყო, სულ 16.

ტაძრის აღწერილობიდან გამოჩნდა, რომ მის დიზაინში აბსიდები

და კორინთული ორდერები ყოფილა გამოყენებული. აბსიდა, კამარა და თაღი რომაელი ინჟინრების გამოგონება იყო და რომაული არქიტექტურის განმსაზღვრელი ელემენტი გახდა. თუმცა, რომაელებამდე, ახლო აღმოსავლეთსა და საბერძნეთში გამომწვარი ალიზის აგურისა და ქვის თაღებით კარიბჭეები და სამარხი ნაგებობები შენდებოდა. ელინისტური ხანიდან კი მათი გამოყენება უფრო გავრცელდა (ლოურენსი 1983, 294-295). აღსანიშნავია, რომ ელინისტურმა სამყარომ, რომაელების მსგავსად, ვერ გაიაზრა, ახალი დიზაინის პოტენცია, რაც თაღების, კამარების, დეკორაციული ნახევარსვეტებისა და კოლონადების კომბინაციაში გამოვლინდა (ვინთერი 2006, 243). მრგვალი ან ოვალური არქიტექტურის განვითარება ახლო აღმოსავლეთში რომაულ ექსპანსიას უკავშირდება. ამის ნათელი დადასტურებაა ჰეროდეს სასახლეები კესარეაში, მასადასა და იერიქონში (ნილსენი 1994, 185, 194, 241, 242).

რომაული არქიტექტურისთვის ასეთივე დამახასიათებელი გახდა კორინთული ორდერი და მისი მოდიფიკაცია. კორინთული ორდერისა და თაღების ვარიაციები რომაელმა არქიტექტორებმა იმპერიულ ხანაში შეიმუშავეს (ვინთერი 2006, 22). კორინთული ორდერი და მისი მოდიფიცირებული ფორმა კომპოზიტი კაპიტელი ფართოდ გავრცელდა ქალაქი რომის საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურაში. იგი ასევე გასაოცრად სწრაფად მოედო რომის მთელ იმპერიას (ჯონსი 2000, 139; სთამფერი 2005, 68-83).

აბსიდებიანი და თაღებიანი შენობები რომაული ინოვაცია იყო. აბსიდებიან და თაღებიან შენობებს რომაელები როგორც ქალაქ რომში, ასევე, იტალიასა და იმპერიის მთელ ტერიტორიაზე აშენებდნენ (მორაჩიელო, ფონტანა 2009, 236, 295, 343). მაგალითად, მეორე საუკუნის ვესტას ტაძარი რომში; ადრიანეს ვილა ტივოლიში, სადაც ოცდაათამდე სხვადასხვა დანიშნულების შენობიდან ათამდე წრიული, აბსიდიანი და თაღოვანი იყო; მეორე საუკუნის ასკლეპეიონის სატაძრო კომპლექსი პერგამონში; მეორე-მესამე საუკუნეების ვენერას ტაძარი ბაალბეკში; მეოთხე საუკუნის მინერვა მედიკას ტაძარი რომში და ა.შ.

არმაზის აბსიდებიანი ტაძრის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ შენობის ამ ფორმას ქართლამდეც მიუღწევია. არმაზის ტაძრის

ინტერიერის ფორმა განსაკუთრებულ მსგავსებას პერგამონის ასკლეპეიონის სატაძრო კომპლექსის ერთ-ერთ სამედიცინო ფუნქციის მქონე შენობასთან ავლენს.[28]




**22. პერგამონის ასკლეპეიონის სატაძრო კომპლექსის სამედიცინო დაწესებულება და არმაზის აბსიდებიანი ტაძარი**

შენობა ექვსაბსიდიანია, ისევე, როგორც არმაზის ტაძარი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის თლილი ქვებით, გაცილებით ხარისხიანადაა აგებული და გარედან მრგვალია. პერგამონის სამედიცინო ნაგებობა 174 წ. უკვე აშენებული ყოფილა. საფიქრებელია, რომ ეს არქიტექტურული ფორმა ქართლში სწორედ რომანიზებული მცირე აზიიდან მოხვდა, რადგანაც პერგამონი იყო ცენტრი, საიდანაც ინოვაციური იდეები ვრცელდებოდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში.

ახლო აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულმა ალიზის აგურის არქიტექტურამ ბერძნული და რომაული არქიტექტურული დეტალები შეითვისა, მაგალითად, სვეტები, ორდერები, თაღები და აბსიდები. არქიტექტურული დეტალებისა და სამშენებლო მასალის სინთეზი, ანუ

28 მსგავსება აღნიშნული აქვთ გ. ყიფიანს (2005 ბ, 19) და ვ. ნიკოლაიშვილს (2011, 28).

რომაული სტილის ლოკალურ, ალიზის არქიტექტურასთან შერწყმა, კარგად ჩანს აზსიდებიანი ტაძრის მაგალითზე. არქიტექტურული სტილი და დეტალები არ გამოირჩევა დახვეწილობით, სამშენებლო მასალები კი ხარისხით. ალიზის აგურები და დაპრესილი თიხა პროვინციული არქიტექტურის მაჩვენებელია. ზოგადად, აზსიდებიანი ტაძრის არქიტექტურაში აღრეული პროვინციული სტილი შეიმჩნევა, რაც დამახასიათებელი იყო როგორც ელინისტური, ასევე რომანიზებული ახლო აღმოსავლეთისთვის.

ბერძნულ-რომაული ელემენტების ადგილობრივთან შერწყმის შედეგად იქმნებოდა შერეული სამშენებლო სტილი, რომელშიც არ ჩანდა ბერძნული ან რომაული არქიტექტურული ფორმების ლოგიკა. ეს კლასიკური არქიტექტურული დიზაინის ვერგაგებას ნიშნავდა. ამიტომ იქმნებოდა არაპროპორციული ორდერები, ბაზები, ანტაბლემენტები და ა.შ. ამის მაგალითები ისრაელისა და ირანის (ხურა, ისტარხი) არქიტექტურული ძეგლებიდან მოგვეპოვება (ვინთერი 2006, 230).

არმაზის ტაძარი რომაულ პროვინციულ არქიტექტურულ სტილს ასახავს. ორდერები, ჰექსაგონური ბაზა და საკულტო ქანდაკების პიედესტალი პროპორციული ფორმებით გამოირჩევა, თუმცა მათი დეკორაცია სხვადასხვა მხატვრული სტილის ნაზავია. აქვე მინდა აღვნიშნო ჰექსაგონური ბაზის ნაწილების გადასაბმელი რკინის კავებიანი სამაგრები, რომელიც სასიმაგრო კედლებზე გამოვლენილ, ჰორიზონტალურ, ორმაგ მტრედისკუდა სამაგრებთან შედარებით, გვიანდელი და განვითარებული ფორმაა. რკინის კავებიანი სამაგრი უფრო გამძლე იყო. ის ქვას როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად ამაგრებდა. ამგვარი სამაგრები მრავალ არქეოლოგიურ ძეგლზეა დადასტურებული აქემენიდური სპარსეთიდან (ნილანდერი 1970, 45) რომაულ პომპეიმდე (ადამი 1988, 56).

არანაირი მინიშნება არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რომელ კულტს თუ ღმერთს მიეძღვნა ტაძარი ან ვისი ქანდაკება იდგა პედესტალზე.

ელინისტურ და რომაულ არქიტექტურას ახასიათებდა ფერდობების ათვისება, ხელოვნური ტერასების შექმნა, შენობების

ლანდშაფტზე მოხდენილად დასმა. ელინისტური და რომაული ხანის არქიტექტორები ამგვარი ხერხებით ხაზს უსვამდნენ როგორც ტაძრისა თუ სასახლის გარემომცველ გარემოს, ასევე მათ ეფექტურ მდებარეობას და იქიდან გადაშლილ ხედს. ყოველივე ამის შედეგად, ლანდშაფტი და ნაგებობა მთლიანობაში აღიქმებოდა (ვინთერი 2006, 208).

არმაზის ტაძარი ამ პრინციპების გათვალისწინებითაა აშენებული. ის ტერასის უკიდურეს, აღმოსავლეთ მხარეს იდგა, საიდანაც ეფექტური ხედი იშლებოდა. ამგვარი ვიზუალური ეფექტურობა ალბათ რომაული სატაძრო არქიტექტურის შთაგონებით იყო გამოწვეული. ტაძარმა ახალი რელიგიური, საზოგადოებრივი და სოციალური სივრცე შემატა ქალაქს.

აბსიდებიანი ტაძრის ზომები და მდებარეობა იძლევა იმის საფუძველს, რომ ეს ტაძარი ქალაქის ცენტრალურ ტაძრად მივიჩნიოთ. რომაული ტიპის ცენტრალური ტაძრის აღმართვა არმაზში უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ქართლი რომის პოლიტიკური და, შესაბამისად, კულტურული გავლენის სფერო იყო. მაგრამ, რადგანაც არმაზის ტაძარი პერგამონის სატაძრო კომპლექსის ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების ფორმას იმეორებს, იგი ახ.წ. მეორე საუკუნის ბოლო მეოთხედზე ადრე ვერ აშენდებოდა. ასევე ვერ აშენდებოდა მესამე საუკუნის პირველი ნახევრის შემდგომ, რადგანაც ამ პერიოდიდან ქართლი ირანის ქვეშევრდომი ხდება და ზოროასტრულ პროპაგანდას განიცდის. ცხადია, ასეთ პოლიტიკური და რელიგიური წნეხის ქვეშ ქართლელები სატახტო ქალაქში რომაულ ტაძარს ვერ ააშენებდნენ.

რომსა და ირანს შორის დადებული 299 წლის ნისიბისის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ქართლი ისევ რომის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა. მეოთხე საუკუნიდან გაძლიერდა რომაული გავლენა, თუმცა, არმაზში ცენტრალური ტაძარი არც მეოთხე საუკუნის დასაწყისში აშენდებოდა, რადგანაც ამ დროიდან ქართლის მეფე მირიანი უკვე მცხეთაში ცხოვრობდა, სადაც ახალ რელიგიას, ქრისტიანობას ეყრებოდა საფუძველი. ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართლის პოლიტიკურმა და რელიგიურმა ცენტრმა არმაზიდან მცხეთაში გადაინაცვლა.

ამგვარად, მეოთხე საუკუნის დასაწყისში არმაზში რომაული წარმართული ტაძრის აშენება ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა. ის უნდა აშენებულიყო მეორე საუკუნის ბოლოს ან მესამე საუკუნის დასაწყისში.[29]

არმაზის ურბანული იერსახე არქიტექტურამ განსაზღვრა, რომლის ფორმირებაზეც დრო, რელიგია და საზოგადოება ახდენდა გავლენას (ანდერსონი 1907, 52). არმაზში ფუნქციურად განსხვავებული შენობები იყრიდა თავს. ქალაქში სხვადასხვა დანიშნულების კერძო თუ საზოგადოებრივი ნაგებობა შენდებოდა მაშინ, როდესაც იქ სხვადასხვა პოლიტიკური, სავაჭრო, სამეურნეო, რელიგიური თუ სხვა პროცესი და მათი მართვა მიმდინარეობდა. არმაზმა გამოავლინა ამ პროცესების ერთობლიობა და მათი ორგანიზაციის დონე. არმაზში ყოფილა მეფის სასახლე, საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო, საზოგადოებრივი და რელიგიური შენობები, სანიტარულ-ჰიგიენური დაწესებულებები, წყალმომარაგებისა და წყალგაყვანილობის სისტემა. ქალაქს ჰქონია სასიმაგრო კედლები და ორი შესასვლელი – ერთი სამხრეთით, ხოლო მეორე ჩრდილოეთით. არმაზში ქართლის უმაღლესი პირები ცხოვრობდნენ, რომელთაც რომაელები ახ.წ. პირველი საუკუნიდან ბასილევსებად იხსენიებდნენ.

ნაქალაქარზე აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალებიდან ჩანს, რომ არმაზში ისეთი შენობებიც ყოფილა, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მათგან აღსანიშნავია ლომის თავის გამოსახულებიანი ანტაბლემენტი.[30]

29 აბსიდებიანი ტაძარი გ. ყიფიანმა მესამე-მეოთხე საუკუნეებით დაათარიღა და აღნიშნა, რომ ტაძარი რომაული გავლენით, მაგრამ ადგილობრივი სამშენებლო მეთოდებით აიგო (ყიფიანი 1999, 35; 2005 ბ, 19); ვ. ნიკოლაიშვილმა ტაძარი პირველი-მეოთხე საუკუნეებით დაათარიღა, იქ აღმოჩენილი არტეფაქტების საფუძველზე (ნიკოლაიშვილი 2011, 32).
30 ფრიზი გ. ყიფიანმა მეორე-მესამე საუკუნეებით დაათარიღა (ყიფიანი 1993, 52-60).





**23. ეპიდავროსის თოლოსის დეკორაცია და ლომისთავიანი ანტაბლემენტი არმაზიდან**

ლომის თავის გამოსახულებით შემკული ფრიზები კლასიკური საბერძნეთის არქიტექტურული ძეგლებიდან არის ცნობილი, მაგალითად, ეპიდავროსის თოლოსი. ამგვარი ანტაბლემენტები ელინისტური არქიტექტურის ნიმუშებშიც იყო გავრცელებული, მაგალითად, არტემიდას ტაძარი მაგნეზიაში, ზევსის ტაძარი ნიმეაში (ვინთერი 2006, 343, 432). ასევე გვხვდება რომაულ არქიტექტურაშიც, მაგალითად, ბაალბეკის იუპიტერის ტაძარში. არმაზის ლომისთავიანი ფრიზი კლასიკური ნიმუშებისგან ძალზე განსხვავდება. ის არ გამოირჩევა დახვეწილობითა და შესრულების მაღალი ხარისხით, თუმცა, ამჟღავნებს, ისეთ მნიშვნელოვან დეტალს, როგორიც არის ლომის თავისა და ვარდულის ფრიზიდან წინ გამოწევა. არმაზის ლომის ფრიზი

პროვინციული მინაბაძია, რომელიც, ასევე რომაულ იმპერიულ ხანაში უნდა შექმნილიყო.

მკაცრი ქრონოლოგიური ჩარჩოები ვერ მიესადაგება არმაზის არქიტექტურას, სამშენებლო მეთოდებს ან სტილისტურ თავისებურებებს, რადგანაც ქალაქი რომის იმპერიის განაპირას მდებარეობდა. ნებისმიერი სიახლე, იქნებოდა ეს სამშენებლო ტექნიკა თუ არქიტექტურული სტილი, გვიან და სახეცვლილი შეაღწევდა იქ და საფიქრებელია, რომ ადგილობრივს შეერეოდა. ამის კარგი ილუსტრაციაა სვეტებიანი დარბაზის ხის სვეტები, აბსიდებიანი ტაძრის ფსევდოკორინთული ორდერები, რეტიკულატუმის იმიტაცია ცისტერნის შიდა კედელზე, აბანოების ცხელი ოთახების განლაგება ჩრდილოეთით და ლომის თავის გამოსახულებიანი ანტაბლემენტი.

არმაზის მშენებლობაში, გარდა პროვინციული სტილისა, იაფი სამშენებლო მეთოდების გამოყენებაა აღსანიშნავი. ქალაქის დამცავი კედლები ხის სამაგრებით იყო გადაბმული. სვეტებიანი დარბაზის სვეტები ხის იყო, იატაკი დაფხვნილი ქვით დატკეპნილი. ქალაქის ცენტრალური ტაძარი ალიზის აგურით იყო აშენებული, ტაძრის აბსიდები კი დაპრესილი თიხით და ხის მორებით. არ გვხვდება რომაული მაღალი ხარისხის ბეტონი. აბანოების მშენებლობაში არ დადასტურდა ვულკანური ქვიშა პოცოლანა. რომაული გამომწვარი აგური გამოყენებული იყო მხოლოდ აბანოების კედლების ქვედა რიგებში. საცხოვრებელი სახლები ალიზის აგურით იყო აგებული რიყის ქვის ცოკოლზე და არა კირდუღაბითა და ტეხილი ქვით.

არმაზის მშენებლობაში გამოყენებულმა მასალამ ქალაქის შრომის ორგანიზაციის დონე აჩვენა. მასალის შერჩევა და დამუშავება არ იყო იოლი საქმე და ის მნიშვნელოვან ხარჯებთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებულ ცოდნასა და უნარებს მოითხოვდა კარიერის მოძებნა, იქიდან მასალის მოტანა და მისი დამუშავება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო შედარებით ადვილად ხელმისაწვდომი, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენება. ხშირად, მასალა განაპირობებდა შენობების დიზაინს, სტილსა და დეკორაციას. თვით რომაული არქიტექტურაც ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე იყო დამოკიდებული

პირველ საუკუნემდე. მხოლოდ რომაულმა მილიტარისტულმა ექსპანსიამ, იმპერიის შექმნამ, იმპერიულმა ამბიციებმა და სავაჭრო ქსელების გაფართოებამ მოიტანა ის მრავალფეროვნება, რაც რომაულ იმპერიულ არქიტექტურას ახასიათებდა. რომაელებმა არათუ სამშენებლო, არამედ მოსაპირკეთებელი მასალის სხვადასხვა კონტინენტიდან იმპორტირება დაიწყეს, მაგალითად, მარმარილოსა და ხის ძვირფას ჯიშებს აფრიკიდან და აზიიდან ეზიდებოდნენ. თუმცა, მშენებლობის ამგვარი მასშტაბი მხოლოდ იმპერიის ცენტრს, უშუალოდ, ქალაქ რომს ეხებოდა და არა მის პროვინციებს.

არმაზში გამოყენებული ყველა სამშენებლო მასალა – ქვა, ხე, თიხა ადგილობრივად მოიპოვებოდა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებდა და აიაფებდა მშენებლობას. არმაზის მშენებლები სამშენებლო მასალის მეორადი გამოყენების წესსაც ხშირად მიმართავდნენ.

ნაქალაქარზე სამაროვნისთვის სპეციალურად განკუთვნილი ადგილი არ დადასტურებულა. გამოვლინდა ორი განცალკევებულად მდგომი სამარხი ნაგებობა. ერთი ქვის სარკოფაგი ქალაქის ჩრდილოეთ შესასვლელში მდებარეობდა (აფაქიძე 1963, 102). გამოსაჩენ ადგილას ქალაქის გავლენიანი პირები იკრძალებოდნენ. ეს ტრადიცია ბერძნული იყო, რომელიც ელინისტურ სამყაროშიც ფართოდ გავრცელდა (ჰიბერტი, ქამბონი 2008, 94). სარკოფაგი რომ გავლენიან ოჯახს ეკუთვნოდა, ამაზე მისი მდებარეობის გარდა, კიდევ რამდენიმე ფაქტი მეტყველებს. მასიური ბაზალტისგან გამოთლილი სარკოფაგი, საგულდაგულოდ მომზადებულ კლდოვან ტერასაზე იყო განთავსებული. ის ორი ნაწილისგან – სამარხი ყუთისა და ორფერდა სახურავისგან შედგებოდა (1.85 მ X 0.6 მ X 0.65 მ), რომლებიც ერთმანეთთან რკინის კავებიანი სამაგრებით იყო გადაბმული. სამაგრის ბუდეებში ტყვია იყო ჩასხმული. ბაზალტის მყარი ჯიშის ქვისგან მასიური საძვალის გამოთლა რთული საქმე იყო. მისი დამზადების ხარჯებს შეძლებული ოჯახი თუ გასწვდებოდა. მასიური ქვის სარკოფაგები ქართლში იშვიათობა იყო. ჩვენთვის კიდევ რამდენიმე ორფერდა სარკოფაგია ცნობილი არმაზისხევიდან და მცხეთიდან.

არმაზის სარკოფაგში გამოვლენილი არტეფაქტები სამეფო ნივ-

თების ტოლფასი იყო. სამარხის კუთხეში ვერცხლის გრიფონის გამოსახულებიანი ორი გარსაკრავები იდო, მათთან ერთად აღმოჩნდა ოქროს ხვიები, ძეწკვები, კამეოიანი სამაჯურები, თვალბუდა ბეჭდები, მძივები, ვერცხლის ვაზები, ლანგრები, თასები და კოვზები. სარკოფაგში არ აღმოჩენილა ადამიანის ძვლები, მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვის კბილები დადასტურდა (ნიკოლაიშვილი 2011, 46).

სარკოფაგი კოლექტიური იყო, სავარაუდოდ, საოჯახო, რადგანაც მასში ერთად გამოვლინდა მცირეწლოვანი ბავშვის კბილები და განსხვავებული ასაკისა და სქესის ადამიანების კუთვნილი ნივთები – ქალის ბეჭდები, ბავშვის სამაჯურები, კოვზები და სამეფო ტახტის ფეხების გარსაკრავები. გარსაკრავები ვერცხლის ფურცლისგან ჭედურობის მეთოდით იყო დამზადებული. მათი რიცხვი - ორი გვაჩვენებს, რომ ისინი ტახტის მხოლოდ წინა ფეხებს ეკვროდა. ვერცხლის გარსაკრავები არმაზისხევში, ბერსუმა პიტიახშის საძვალეშიც აღმოჩნდა (აფაქიძე 1963, 118). არმაზისხევის გარსაკრავები სხვადასხვა ზომის და შედარებით სადა იყო. თუმცა, ძირი ფრინველის ბრჭყალების გამოსახულებით ჰქონდა გაფორმებული. გარსაკრავები ხელისუფალთა ტახტს ამშვენებდა მათ სიცოცხლეში. გარდაცვალების შემდეგ კი საფლავებში ატანდნენ, როგორც განმასხვავებელ ნიშანს, ინსიგნიას.

სამეფო ტახტის ფეხები ხშირად კეთდებოდა ხისგან და მათ ლითონის ფურცლისგან დამზადებული სხვადასხვა დეკორაციული მოტივებით შემკული გარსაკრავები უკეთდებოდა. ტახტის ფეხების ცხოველის სტილიზებული თათების გამოსახულებით გაფორმება ჯერ კიდევ ასურეთიდან და აქემენიდური ირანიდანაა ცნობილი (ქერთის, რიდი 1995, 126; ჯამზადე 1995, 2-21). ტახტის ფეხები მასიური ლითონისგან და სპილოს ძვლისგანაც მზადდებოდა. აი ხანუმის ელინისტურ ტაძარში სპილოს ძვლისგან გაკეთებული სავარძლის ფეხები აღმოჩნდა, რომლებიც ძვ.წ. 145 წ. დათარიღდა (ჰიბერტი, ქამბონი 2008, 118). ხელისუფლის ტახტის ამგვარად მორთვა მისი ძლიერების გამომხატველი იყო. ეს ტრადიცია სასანურ ირანშიც გავრცელდა. სასანიდებს სამეფო ხელისუფლების სიმბოლოდ გრიფონები მიაჩნდათ. ისინი ხშირად უკეთებდნენ ავეჯს გრიფონის გამოსახულებიან ფეხებს.

ამგვარი სასანური ავეჯის ფეხები მეტროპოლიტენის, ლუვრის, ერმიტაჟისა და ბაქოს ხელოვნების მუზეუმის კოლექციებშია დაცული. ზოგიერთი მათგანი მასიური ბრინჯაოსგან არის გაკეთებული (ჰარფერი 1978, 91-100). არმაზის გარსაკრავები მათგან მასალით, დამზადების ტექნიკითა და სტილით განსხვავდება. არმაზის ნიმუშებზე ფრინველის ბრჭყალებიანი ფეხებია გამოსახული, ნაცვლად ცხოველის თათებისა, მაგრამ მსგავსებაა გრიფონების დაცქვეტილ ყურებში, მკერდზე გამოკვეთილ მცენარეულ დეკორსა და ძლევამოსილ გამომეტყველებაში.





**24. გრიფონის გარსაკრავები ქართლიდან და გრიფონის ფეხი ირანიდან**

უცნობია გარსაკრავების დამზადების ადგილი. შეიძლება ისინი ადგილობრივადაც ყოფილიყო გაკეთებული და იმპორტირებულიც. მათი სასანური სტილი კი აშკარაა, რომლის მიხედვითაც, გარსაკრავები მესამე საუკუნის ბოლოს-მეოთხე საუკუნის დასაწყისში უნდა ყოფილიყო გაკეთებული. ამ თარიღს სარკოფაგში აღმოჩენილი მეოთხე საუკუნის კოვზი (კოჰლეარიუმი) (ბლენდი, ჯონსი 1993) და რომაული ვერცხლის თასიც ამყარებს. თასზე ორ რეესტრადაა გამოსახული

ბახუსის ნიღბები, ძაღლები, დათვი, ტახი, ლომის ჯიხვზე ნადირობის სცენები და ბერძნულ-რომაული ტაძრის მოდელი. თასი დახვეწილი ნაკეთობითა და მაღალმხატვრული სტილით გამოირჩევა. ბახუსის ნიღბებით მორთული ნატიფი რომაული თეფშები კართაგენის მეოთხე საუკუნის განძშია დადასტურებული. ეს დეკორაციული მოტივი მესამე-მეოთხე საუკუნეების რომაულ ვერცხლის თასებზე გვხვდება (ქენთი, ფეინთერი 1977).



**25. ვერცხლის თასები არმაზი და კართაგენიდან**

მნიშვნელოვანია სარკოფაგში გამოვლენილი დამარხვის წესი. კბილების არსებობა მიგვანიშნებს, რომ სამარხში ოდესღაც მიცვალებულის თავის ქალა და შესაძლოა, ძვლებიც იყო მოთავსებული, ისევე როგორც არმაზისხევის ბერსუმა პიტიახშის სამარხში, სადაც ადამიანის ძვლები ორ ლანგარზე იყო დაწყობილი. პირველ ლანგარს, უფრო დიდსა და გაშლილს, კიდეებზე არშია შემოუყვებოდა, ცენტრში კი ბორჯღალი ჰქონდა გამოსახული. ქუსლზე შიგნიდან ბერძნულად ეწერა: ,,მე, მეფე ფლავიოს დადემ ვაჩუქე ბერსუმა პიტიახშს".[31] მეორე ლანგრის ცენტრალურ მედალიონში ცხენი და ბომონი იყო გამოსახული (აფაქიძე 1963, 118).

აღნიშნულ სამარხებში შიდა ქართლში გავრცელებული ინჰუმაციური დაკრძალვისგან განსხვავებული პრაქტიკა ჩანს. სარკოფაგებში მხოლოდ მიცვალებულის ძვლებს ათავსებდნენ,

---

31 ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი.

რომელსაც წინასწარ აცალკევებდნენ ხორცისგან. კოლექტიური სამარხები ძველი ძვლებისგან იწმინდებოდა, რითაც ახლად გარდაცვლილთათვის თავისუფლდებოდა ადგილი. საფიქრებელია, რომ არმაზის სარკოფაგი, რომლის სამარხი კამერა ისედაც პატარა ზომის იყო, სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ძვლებისგან გაწმენდილი.

კოლექტიურ ინჰუმაციურ ქვაყუთებში დასამარხი ადგილის გამოთავისუფლების პრაქტიკა ჯერ კიდევ ქვემო ქართლის მტკვარ-არაქსულ სამაროვნებზე დასტურდება, ხოლო შემდგომ ადრე ქრისტიანულზე. ძველი ჩონჩხის ძვლებს ქვაყუთის კუთხეში მიხვეტდნენ, ხოლო ახალ მიცვალებულს გაშოტილ პოზაში კრძალავდნენ.

სამარხი კამერების პერიოდულად ძვლებისგან განთავისუფლება აი ხანუმის ელინისტური სარკოფაგებიდანაც არის ცნობილი. ადრეულ ძვლებს ქოთნებში ათავსებდნენ და მელნით ბერძნულ ენაზე მიცვალებულის სახელს აწერდნენ (ჰიბერტი, ქამბონი 2008, 94). არმაზისა და არმაზისხევის სამარხებში გამოვლენილი წესი, გარდაცვლილი პიტიახშების სახელების ლანგრებზე დაწერა და, სავარაუდოდ, მათივე ძვლების ზედ დალაგება, შესაძლოა, ამ ელინისტური პრაქტიკის გამოძახილი ყოფილიყო.

არმაზის სარკოფაგის ეკოფაქტებისა და არტეფაქტების ერთობლიობა იმაზე მიგვითითებს, რომ ის ქართლის სამეფო ოჯახის საძვალე იყო, რომელიც ხელისუფლის უპრეცედენტო სიმდიდრესა და პრესტიჟს ასახავს.

დიდგვაროვნული სამარხი ნაგებობის მეორე ტიპი, რომელიც არმაზში აღმოჩნდა, აკლდამა იყო. ის ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთ ტერასაზე, კლდის დამუშავებულ ზედაპირზე მდებარეობდა. აკლდამა დანგრეული და გაძარცვული იყო, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტებიდან კარგად ჩანს, რომ ის რომაული სამშენებლო მეთოდებით იყო ნაგები და რომაული დეკორაციული სტილით გაფორმებული. აკლდამას ჰქონია სამარხი კამერა და ეზო, რომლის კედლებიც კარგად დამუშავებული ქვიშაქვის ბლოკების (სიმაღლე 31-36 სმ) მშრალი წყობით ყოფილა აშენებული. ეზოში სამსაფეხურიანი კიბე ჩადიოდა. ეზოს კედლების კუთხის ქვებზე ლითონის ვერტიკალური სამაგრის ბუდეები

ყოფილა ამოკვეთილი. ბუდეებში კი ტყვია ყოფილა ჩასხმული. სამარხი კამერის იატაკი შელესილი ყოფილა კირის, ქვიშისა და ტერაკოტული ფხვნილის 4 სმ-იანი ხსნარით. აკლდამაში აღმოჩნდა გამომწვარი აგურის, კარნიზისა და ფრიზის ფრაგმენტები. კარნიზზე ნარინჯისფერ ფონზე მოხატული იყო შავი კბილანები (ციციშვილი 1950, 187-89). კარნიზები, ფრიზები და დენტიკულატუმი (კბილანები) რომაულ არქიტექტურულ სტილზე მიგვითითებს.

რომაული არქიტექტურა ეკუმენური იყო. იგი ითვისებდა, ამუშავებდა და ავითარებდა სამშენებლო ტრადიციებს. შემდეგ სამხედრო ექსპანსიასთან ერთად ავრცელებდა მათ. მიუხედავად იმისა, რომ რომაული არქიტექტურა საკუთრივ იტალიაში არ შექმნილა, მას რომანული ძირი ჰქონდა, რადგანაც რომიდან ვრცელდებოდა. ცენტრალური იტალია იყო ლაბორატორია, სადაც, ძირითადად, ბერძნული წარმოშობის არქიტექტურული იდეები გამოიცდებოდა, გადამუშავდებოდა და დანარჩენ იმპერიაში ვრცელდებოდა. თაღი, კამარა, კომპოზიტი თუ ტოსკანური ორდერი, აბანო, შიდაეზო, შადრევანი, აკვედუკი, ცისტერნა და მრავალი სხვა არქიტექტურული დეტალი თუ ნაგებობა პანმედიტერანული კოინეს შემადგენელი ნაწილი გახდა (თეილორი 2003, 7).

რომაული გავლენა აშკარაა პირველი-მესამე საუკუნეების არმაზში. თუმცა, რომაული აღმოსავლეთის სხვა მრავალი ქალაქის მსგავსად, ის არშაკიდებისა და სასანიდების კულტურულ ტრადიციებსაც ასახავს. ძვლის პართული ფიგურა და ვერცხლის გრიფონის გარსაკრავები ამის ნათელი მაგალითია.

არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არმაზი ქართლის სატახტო ქალაქია ძვ.წ. პირველი საუკუნიდან ახ.წ. მეოთხე საუკუნემდე. არმაზის მდებარეობა ხელს უწყობდა მის დაწინაურებას ქვეყნის მასშტაბით. ქალაქი მდინარის ხეობაში წარმოიშვა გზების გასაკონტროლებლად (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 37. 1. 4). ქალაქის ხელისუფალთ სახმელეთო და სანაოსნო გზების კონტროლი როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს შეეძლოთ. ომიანობის დროს გზები სამხედრო-

სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენდა, ხოლო მშვიდობის დროს ვაჭრობისა და შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო ხდებოდა.

არმაზის ურბანული განვითარება რომაული გავლენის შედეგი იყო. ქალაქი თავისი დროის ძლიერი გამოხატულება და რომაული ურბანიზაციის ამსახველი გახდა. რომაული არქიტექტურა და ურბანიზმი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმსაზღვრელი იყო (მაქდონალდი 1986, 253). პირველი-მესამე საუკუნეების არმაზში ახალმა სამშენებლო ტექნოლოგიებმა და არქიტექტურულმა სტილმა იჩინათავი. შენობების ღერძული დაგეგმარება, მრგვალი და ჰექსაგონური ფორმების შექმნა, რთული ბუნებრივი ლანდშაფტის ოსტატურად გამოყენება და მისი ქალაქის გეგმარებაში ჩართვა – ყოველივე ეს რომაული დიზაინის ნაწილი იყო და შესაძლოა, რომაელი ინჟინრებისა და ხელოსნების არმაზში ყოფნაზე მეტყველებდეს. წარმართული ტაძარი, აბანო, ცისტერნა, წყალმომარაგებისა და წყალგაყვანილობის სისტემები რომაული ქალაქებისთვის იყო დამახასიათებელი. ქართლის საზოგადოების სიარული აბანოებსა და წარმართულ ტაძარში რომაული ცხოვრების წესისა და იდეოლოგიის აშკარა გამოხატულებაა, რაც თავისთავად რომაული ურბანიზმის მარკერია და რაც სრულიად უცხო იყო ქართლის მოსახლეობისთვის რომაელების გამოჩენამდე.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურმა ცენტრმა, ხოლო შემდგომ რელიგიურმა, არმაზიდან მცხეთაში გადაინაცვლა. არმაზი სატახტო ქალაქი აღარ იყო, თუმცა, არსებობას გვიან ანტიკურ ხანაშიც განაგრძობდა, რაზეც ამ პერიოდის ნაგებობები მიუთითებს. მერვე საუკუნეში არაბების შემოსევამ ქალაქი გაანადგურა. „არამედ იყო ქალაქი არმაზი აქიდგან, ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოხრდა, ხოლო აწ არს დაბნები" (ვახუშტი 1941, 55). მერვე საუკუნეში არაბების შემოსევების შემდგომ არმაზში ცხოვრება შეწყვეტილა, რამაც, ფაქტობრივად, ნაქალაქარის დაკონსერვება განაპირობა.

ქალაქ არმაზს ბაგინეთისა და არმაზციხის სახელითაც ხშირად იხსენიებდნენ. ბაგინა სპარსული სიტყვაა და ტაძარს ნიშნავს. ქართული ლიტერატურული წყაროების მიხედვით არმაზში მაზდეანური

ტაძარი იყო. არასაკმარისი არქეოლოგიური მონაცემების გამო ამის დადასტურება არ ხერხდება, მაგრამ, საფიქრებელია, რომ არმაზში მაზდეანური ტაძარი მცხეთაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც შემორჩა. ამ ფაქტით შეიძლება აიხსნას ქალაქის გვიანდელი სახელი ბაგინეთი. რაც შეეხება სახელ არმაზციხეს, ქართლის მთაზე, არმაზისხევში დგას მე-13 - მე-15 საუკუნეების ციხე (სძა 1990, 235), რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა მტკვრის ხეობიდან წამოსული საფრთხის შესაჩერებლად. „მოქცევაი ქართლისაიში" ციხე არმაზნის მოხსენიების მიხედვით, ის მეშვიდე-მერვე საუკუნეებიდან მაინც არსებობს. ქალაქი არმაზის განადგურების შემდეგ, მისი სახელი არმაზციხე მიეწერებოდა ნაქალაქარს.

ამრიგად, ელინისტურ პერიოდში დაარსებულმა ქალაქმა უმაღლეს განვითარებას რომაულ იმპერიულ პერიოდში მიაღწია, რისი აშკარა გამოხატულებაც რომაული გრძელვადიანი და მრავალპროფილიანი მშენებლობა გახდა.



**26. არმაზციხე**

# ქალაქი მცხეთა - სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ

თანამედროვე ქალაქი მცხეთა მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ზღვის დონიდან 454-486 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მისი საქალაქო სივრცე ჩრდილოეთით ღართისკარამდე ვრცელდება, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით არმაზისხევამდე. აღმოსავლეთით არაგვის დასავლეთი სანაპირო საზღვრავს, დასავლეთით კი გოგოტის სერის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობები.

ისტორიულ მცხეთას გაცილებით პატარა ფართობი ეკავა. ის თანამედროვე ქალაქის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავდა. პირველად ქალაქი მცხეთა წერილობით წყაროში მეორე საუკუნის ავტორმა, კლავდიუს პტოლემაიოსმა ახსენა თავის ნაშრომში „გეოგრაფია". პტოლემაიოსი მეორე საუკუნის რომაელი მათემატიკოსი, ასტროლოგი და გეოგრაფი იყო, რომელმაც იმ დრომდე რომის იმპერიაში არსებული გეოგრაფიული ცოდნა ახალი სისტემით გამოსახა. ეს იყო გრძედისა და განედის კოორდინატთა სისტემა, რომლითაც დასახლებების გეოგრაფიული ლოკაცია აღინიშნებოდა. პტოლემაიოსმა რომაული სამყარო ამ სისტემით გამოსახა, სადაც ქართლის დასახლებებიც შეიტანა. მან აზიის მესამე რუკაში იბერიის ადგილმდებარეობა აღწერა, ქვეყნის 10 ქალაქი და ერთი სოფელი დაასახელა და მათ კოორდინატები შეუსაბამა.[32] ქალაქებს შორის ჩამოთვლილი იყო მესტლეტა (პტოლემაიოსი, გეოგრაფია, 10). მესტლეტა პლატონ იოსელიანმა მცხეთასთან გააიგივა (იოსელიანი 1850, 53). მეორედ ქალაქი მცხეთა მეექვსე საუკუნის ბიზანტიელმა ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა ახსენა. მან თავის საისტორიო თხზულებაში დაწერა, რომ რომაულ-სასანური ომების მონაწილე, სასანიდი გენერალი მიჰრ-მიჰროი, იგივე მერმეროსი ლაზიკაში დასნეულდა, რის გამოც დატოვა თავისი ჯარი და იბერიაში გაემგზავრა. მერმეროსი გატანჯული მგზავრობის შემდეგ 555 წელს მცხეთაში (მესხითა) გარდაცვლილა (აგათია, ისტორიანი 2. 22. 5).

32 პტოლემაიოსის კოორდინატთა სისტემა გრძედს არაზუსტად გამოსახავდა. თანამედროვე გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეშვეობით ეს უზუსტობები დადგენილი და გასწორებულია.

„მოქცევაი ქართლისაიში" მცხეთა პირველად ალექსანდრე მაკედონელის ქართლში არარეალური ლაშქრობისა და ქალაქების აღების შემდეგ იხსენიება. ალექსანდრემ მცხეთა სამართავად აზოს, არიან ქართლის შვილს გადასცა. აზო მცხეთაში დასახლდა ნათესავებთან ერთად და გარკვეული დროის შემდგომ იქვე გარდაიცვალა (მქ 1963, 81-82). ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში" მცხეთაში მეფე არჩილის მიერ ეკლესიის აშენებასა და ერისთავი ბარზაბოდის მიერ ცეცხლისმსახური მოგვების გაგზავნასაც აღნიშნავს (ქც 1955, 145). ლეონტი მროველი მცხეთის ირგვლივ წარმართავს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და რელიგიურ მოვლენებს ქართლის სამეფოს დასაბამიდან ქრისტიანობის შემოღებამდე. მან თავის კომპილაციურ თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში" მცხეთის სახელი ლეგენდარულ ეთნარქს მცხეთოსს დაუკავშირა (ქც 1955, 9). ვახუშტი ბაგრატიონმა კი მისი თანადროული მცხეთის საზღვრები აღწერა (ვახუშტი 1941, 60).

ტოპონიმ მცხეთის წარმოქმნას ქართველი მკვლევრების უმრავლესობა უკავშირებდა სამხრეთ საქართველოში მოსახლე მოსხების ტომის სახელსა და მათ ქართლში მიგრაციას (იოსელიანი 1871, 6; მელიქიშვილი 1962, 223; აფაქიძე 1959, 52). არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმად მცხეთა მთავართა ქალაქს, ანუ მხცეთა ქალაქს ნიშნავდა. ძველ ქართულში მხცეს მთავრის, მეთაურის მნიშვნელობა ჰქონდა, რომელსაც სუფიქსი თა დაემატა და წარმოიქმნა სახელი მცხეთა (ზედოშვილი 1983, 187). მე ამ მოსაზრებას ვიზიარებ და ვფიქრობ, რომ ამით შეიძლება აიხსნას სამთავროს მონასტრისა და ველის სახელწოდებების შინაარსი.

თანამედროვე მცხეთის სხვადასხვა უბანში მრავალწლიანი გათხრების შედეგად არქეოლოგიური ძეგლების კლასტერები გამოვლინდა. არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის გუნდმა თანამედროვე მცხეთის ცენტრი ანუ ისტორიული მცხეთა, 12 უბნად დაყო (სვეტიცხოველი 1-12) (იხ. მცხეთა V-XI), რაც მოიცავდა სვეტიცხოვლის კათედრალსა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიას.

მე შევცვალე მცხეთის არქეოლოგიური უბნების კონფიგურაცია და შევეცადე, ახლებურად გამეშუქებინა ისინი. არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიისა და მათი ლანდშაფტზე გავრცელების მიხედვით, თანამედროვე მცხეთის საქალაქო სივრცეში ოთხი უბანი გამოვყავი. ესენია: სამთავრო, სვეტიცხოველი, ბებრისციხე და ბაიათხევი.




**27. მცხეთის არქეოლოგიური უბნები**

ოთხივე არქეოლოგიური უბანი ერთ გეოლოგიურ ქანზე, პირველ ჭალისზედა ტერასზე მდებარეობს, რომელიც რამდენიმე ქედით, ხევითა და ხევის წყლით არის დასერილი. არქეოლოგიური ძეგლები ამ ბუნებრივი მსაზღვრელებით ერთმანეთისგანაა გამიჯნული. ისინი ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობენ.

არქეოლოგიურ უბანთაგან ყველაზე ადრეული სამთავროს ველია, რომელიც თანამედროვე ქალაქი მცხეთის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ზღვის დონიდან 471-481 მეტრზე. ველი დაახლოებით 16 ჰექტარზეა გაშლილი. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ბაიათხევი და მონასტრისხევი ფარგლავს. ხევები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიემართება და მდინარე არაგვის ჭალებს უერთდება, რომელიც

სამთავროს ველის აღმოსავლეთით მდებარეობს.

სამთავროს ველი პრეისტორიული ხანიდან შუა საუკუნეებამდე ძველი ადამიანის საქმიანობის ამსახველი არენა იყო. მრავალი განსხვავებული ფუნქციის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გამოვლინდა ველზე, მათ შორის მე-11 საუკუნის სამთავროს საეპისკოპოსო ეკლესია.[33] თუმცა, სამთავროს ველის მთავარ არქეოლოგიურ ღირსშესანიშნაობას მრავალფენიანი სამაროვანი წარმოადგენს. სამაროვანზე დადასტურებული უადრესი დასაკრძალავი ნაგებობები შუა ბრინჯაოს ორმოსამარხები იყო (კალანდაძე 1980, 33-38; სადრაძე 1993, 4-23; ცეცხლაძე 2008, 79; საგონა და სხვა 2010, 8). ორმოსამარხები გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაშიც ყოფილა გავრცელებული (კალანდაძე 1980, 22-32; სადრაძე 1997, 4; ცეცხლაძე 2006-07, 79; საგონა და სხვა 2010, 8). ისინი ველის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში მდებარეობდა.

ნასახლარის უადრესი ფენები სამთავროს ველზე გვიანბრინჯაოს ხანიდან შემორჩა (ca 1290 წ.წ.) (საგონა და სხვა 2010, 53), ხოლო სახლები რკინის ხანიდან (ca ძვ.წ. მერვე-მეშვიდე ს.ს.). სახლები ველის დასავლეთ შემაღლებულ ფერდობზე გამოვლინდა. ისინი ერთოთახიანი ნახევრად მიწურები იყო, რომელთა კედლები ქვითა და თიხის ხსნარით იყო ნაშენი და შიგნიდან თიხის ხსნარითვე შელესილი. სახლებს თიხატკეპნილი იატაკი ჰქონდათ, ხოლო გადახურვა ბანური. შიდა მარცხენა კუთხეში პურის საცხობი ღუმელები იყო აშენებული (აფაქიძე და სხვა 1978, 109-119; 1981, 133-137). ტერასულად განლაგებული მსგავსი მიწურები გრაკლიანის გორაზეც გამოვლინდა (ლიჩელი 2008, 85).

პრეისტორიული ხანის სამარხები იყო როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური. სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ლითონის საყოფაცხოვრებო და საომარი იარაღი, პირადი მოხმარების ნივთები – საკინძები, ორნამენტირებული სამაჯურები და ქვის მძივები, ასევე შინაური ცხოველისა და ფრინველის ძვლები. კაურების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევაც დადასტურდა. გვიანბრინჯაოს ხანიდან ჩნდება გეომეტრიული ორნამენტებით შემკული თიხის ჭურჭელი და მცირე

33 სამთავროს ეკლესია მე-19 საუკუნიდან დედათა მონასტერია.

რაოდენობით ლითონის საომარი იარაღი (კალანდაძე 1980, 22-173; 1981; 1982).

სამთავროს პრეისტორიული საზოგადოება საკმაოდ ეგალიტარული ყოფილა. გვიანბრინჯაოს სამარხები და მათი ინვენტარი საკმაოდ ერთგვაროვანია. იგივე შეიძლება ითქვას რკინის ხანის სამარხებსა და სახლებზეც. საზოგადოებაში ბელადების თუ დაწინაურებული პირების არსებობა შეგვიძლია ვივარაუდოდ ზოგიერთ სამარხში ლითონის იარაღისა და კაურების ერთად აღმოჩენის ფაქტებიდან გამომდინარე. კაურები ზღვისპირეთიდან უნდა ყოფილიყო იმპორტირებული და იშვიათობას წარმოადგენდა. კაურისგან გაკეთებული სამკაული პრესტიჟული იყო (თრუბითი 2003, 243–277). ზოგიერთ პრეისტორიულ საზოგადოებაში კაურის სახეობები ფულის ეკვივალენტი იყო და ნიჟარის ფულის სახელით არის ცნობილი (გემბელი 2020).

მომდევნო კულტურული პერიოდი ელინისტური ნასახლარის ფენებითა და ქვევრსამარხებით (ძვ.წ. მეორე-ახ.წ. პირველი ს.ს.) იყო წარმოდგენილი, რომლებიც სამაროვნის სამხრეთ უბანზე გამოვლინდა. ქვევრსამარხები როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური იყო. ნახმარი და დაზიანებული ქვევრები გამოიყენებოდა სამარხებად. მათი ინვენტარი შედგებოდა წითლად გამომწვარი და წითელი საღებავით მოხატული თიხის ჭურჭლისგან, იშვიათად, ნახევრადძვირფასი ქვების მძივებისგან, ბრინჯაოსა და ვერცხლის სამაჯურებისგან და პართელი არშაკიდი მეფეების (სინათრუკესი, ფრაატე III, ოროდე II) მონეტებისგან (თოლორდავა 1980, 47-56; აფაქიძე და სხვა 1981, 156-58; 1982, 83, 192).

ველის ცენტრალურ ნაწილში დამწვარი შენობის (სამლოცველოს ?) (ძვ.წ. 60 – ახ.წ. 80 წ.წ.) ნაშთები აღმოჩნდა, რომელსაც დატკეპნილი იატაკი ჰქონდა. იატაკში თიხის წრიული კერა იყო ჩაჭრილი. შენობა კრამიტით ყოფილა გადახურული (საგონა და სხვა 2010, 51-53)წ.

არქეოლოგიური მონაპოვრიდან ჩანს, რომ სამთავროს ველის მოსახლეობა ელინისტურ ხანაშიც სოციალურად საკმაოდ თანასწორი ყოფილა.

რომაული იმპერიული პერიოდის (პირველი-მესამე ს.ს.) სამარხები და ნასახლარების ფენები აღმოჩნდა სამთავროს ველის ჩრდილოეთ,

სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში (აფაქიძე და სხვა 1978, 122-131). განსხვავებული სამშენებლო პრაქტიკა და სტილი გამოვლინდა ამ პერიოდის სამარხებში. ორმო სამარხებთან და ქვაყუთებთან ერთად პირველად ჩნდება კრამიტსამარხები, აგურის სამარხები და თიხის სარკოფაგი. მიცვალებულები იმარხებოდა ცალ-ცალკე და წყვილებად, იშვიათად კოლექტიურად. რომაული ხანის სამარხებში მრავალფეროვანი ინვენტარია, მაგრამ არ გვხვდება საბრძოლო იარაღი. სამარხეული არტეფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი რომაული იმპორტია, რომელსაც დიდი ღირებულება ჰქონდა. ძვირფასი პირადი ნივთები – ოქროს რომაული უნიკალური სამკაული და ვერცხლის სუფრის ჭურჭელი (თასი, ვაზა, კოვზი), საპირფარეშო ნივთები (მინისა და აქატის უნგვენტარიუმები) და ფული – რომაული აურეუსები, დენარები და პართული დრაქმები ძირითადად ქვაყუთებში, უფრო იშვიათად კი კრამიტსამარხებში ჩნდებოდა. მათგან აღსანიშნავია ანტინოეს (117-138 წ.წ.) ბრინჯაოს მედალიონი ბერძნული წარწერით, თავსახურავიანი სამელნე და ბრინჯაოსა და ძვლის სტილოსები (აფაქიძე და სხვა 1978, 68-75; აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996, 7-79; აფაქიძე და სხვა 2001, 25-26).

ზოგ ქვაყუთში ნაკლებად ძვირფასი ნივთები იყო, მაგალითად, თიხის ჭურჭელი, თიხის ლამპები, რკინის საკინძები, ბრინჯაოს ქამრის ბალთები, ვერცხლისა და ნახევრად ძვირფასი ქვების საბეჭდავი-ბეჭდები და ბრინჯაოს ფული. მრავალფეროვანი იყო საბეჭდავ-ბეჭდებზე გამოსახული ფიგურები. ცხოველები, ჩიტები, თევზები, კიბორჩხალები, იშვიათად ბერძნული ასოები ან სიტყვები იყო ამოტვიფრული მათ ფარაკებზე (აფაქიძე და სხვა 1978, 72; 1982, 191-218; 2001, 27; აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996, 7-79). ერთ-ერთ ქვაყუთში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამელნე (?) ლათინური წარწერით ex officina calpurni (აფაქიძე და სხვა 1981, 206) – დამზადებულია კალპურნის სახელოსნოში. სამაროვანზე ღარიბული ორმოსამარხებიც გამოვლინდა, რომლებიც მხოლოდ თიხის ჭურჭელს შეიცავდა (აფაქიძე და სხვა 1978, 121-37; მანჯგალაძე 1985, 43-108).

სამთავროს ველის სამხრეთით, მონასტრის ხევის სამხრეთ ფერდზე კრამიტსამარხების კლასტერი გაითხარა, სადაც, თიხის ჭურჭელთან

და მინის სანელსაცხებლებთან ერთად, რომაული მონეტები და ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები სარდიონის თვლებით აღმოჩნდა. საბეჭდავ-ბეჭდებზე შინაურ ცხოველებთან და ფრინველებთან ერთად რომაული ღვთაებების ფორტუნასი და ვენერას გამოსახულებები იყო აღბეჭდილი (აფაქიძე და სხვა 1995, 7,13,15-16).

გვიან ანტიკური ხანის ქვაყუთები, ორმოსამარხები და ნასახლარის ფენები სამთავროს ველის უკიდურეს სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობდა. სამარხეული ინვენტარი მხოლოდ პერსონალური ნივთებით, საკინძებითა და მინის პატარა ბოთლებით შემოიფარგლებოდა (აფაქიძე და სხვა 1981, 131-133; 1982, 192-97; 1995, 7).

ებრაული და ბერძნული დამწერლობის ნიმუშები დადასტურდა სამთავროს ველის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მეხუთე-მეექვსე საუკუნეების ქვაყუთი მეორადი გამოყენების ქვიშაქვის ფილებით ყოფილა აგებული. ქვაყუთის ორივე გვერდითა ფილაზე ებრაული და ბერძნული ეპიტაფიები იყო ამოტვიფრული. მეოთხე-მეხუთე ს.ს. ებრაული ეპიტაფია ვინმე იოსებ ბარ ჰაზანს მიეძღვნა, რომლის საფლავიც, სავარაუდოდ, მისი ძმის ხარჯით ყოფილა გაკეთებული (ივაშენკო 1980, 206). ბერძნული ეპიტაფია კი ავრელიოს აქოლისისა და მისი ცოლის ბევრაზურიას სახელებზე ყოფილა დაწერილი. „ავრელიოს აქოლისი მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქ განვისვენებ ჩემ მეუღლე ბევრაზურიასთან ერთად. ვთხოვ მეგობრებსა და გამვლელებს თვალი ეჭიროთ ... რომ მეათიათასე (წლამდე) ვინმემ არ დააზიანოს (საფლავი) ან ვინმემ არ მოინდომოს დასაფლავება ჩვენთან ერთად, ან ჩვენი გვარისამ, ან უცხომ (და თუ ასეთი რამ მოხდა) მან აგოს პასუხი თავის აღდგომისას" (ყაუხჩიშვილი 2009, 30).

სამთავროს სამაროვანზე შუა საუკუნეების სამარხებიც აღმოჩნდა (აფაქიძე და სხვა 1981, 119-152, 157-158).

ამრიგად, სამთავროს უბანზე რამდენიმე ათეული წლის მანძილზე დასაკრძალავი ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი თუ სარიტუალო დანიშნულების შენობები შენდებოდა. თუკი ბრინჯაოსა და რკინის ხანებში მიცვალებულებს ძირითადად ორმოსამარხებში კრძალავდნენ, ელინისტური პერიოდის

მიწურულიდან ქვევრსამარხში ჩასვენების პრაქტიკა ჩნდება. ამ პერიოდიდან, ძვ.წ. პირველი საუკუნის ბოლოდან ქართლში პართული დრაქმები შემოდის და ისინი ქვევრსამარხებში ვლინდება.

სამარხის ფორმებისა და ინვენტარის მრავალფეროვნება აღინიშნება რომაული იმპერიული ხანიდან, რაც ამ პერიოდის საზოგადოების სტრატიფიცირების კარგი ილუსტრაციაა.

მეორე არქეოლოგიური უბანი, სვეტიცხოვლის უბანი, სამთავროს ველიდან 1 კმ-ით სამხრეთით მდებარეობს. ამ ორ ლოკაციას ერთმანეთისგან მონასტრის ხევი ყოფს. სვეტიცხოვლის უბანი თანამედროვე მცხეთის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს მოიცავს. ყველაზე შემაღლებული ადგილი მცხეთის გორაა, რომელიც ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 510 მ მდებარეობს, უდაბლესი კი სამხრეთ-აღმოსავლეთი მდინარისპირა მხარეა, რომელიც ზღვის დონიდან 455 მეტრზეა. ეს უბანი ისტორიულ მცხეთას მოიცავს. მისი ფართობი დაახლოებით 32 ჰექტარია. მასში ექცევა მცხეთის კარიბჭე და სვეტიცხოვლისა და ანტიოქიის ეკლესიები.




**28.** სვეტიცხოვლის არქეოლოგიური უბანი

ადამიანის საქმიანობის უადრესი კვალი სვეტიცხოვლის უბანზე ადრე ბრინჯაოს ხანიდან დასტურდება. მცხეთის გორაზე აღმოჩნდა ქვაყრილიანი ორმოსამარხები, რომლებშიც ადრებრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელი ბადიები იდო (ნიკოლაიშვილი და სხვა 1985 132, 140-150). ადრებრინჯაოს შემდეგ ვრცელი ქრონოლოგიური ლაკუნა გამოიკვეთა. მომდევნო კულტურული პერიოდი ელინისტური ხანა იყო. ელინისტურ ხანას თანმიმდევრობით მიჰყვა რომაული იმპერიული, გვიან ანტიკური და შუა საუკუნეები. ამ პერიოდების ძეგლების უმრავლესობა სვეტიცხოვლის უბნის ცენტრალურ ან სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა. ისინი შემდეგი სტრატიგრაფიული თანმიმდევრობით აღმოჩნდა: რომაული იმპერიული ხანის (მეორე-მესამე ს.ს.) კრამიტსამარხები და შენობის ნაშთები ელინისტურ (ძვ.წ. მეორე-პირველი ს.ს.) ქვევრსამარხებზე გამოვლინდა (აფაქიძე და სხვა 1978, 64-77; 1981, 119-152, 156-158; 1989, 9; 1995, 13, 15); ახ.წ. პირველი-მეორე საუკუნეების სამაროვანი ახ.წ. პირველი საუკუნის მეთუნეთა უბანზე (კალანდაძე 1959, 14-17); გვიან ანტიკური ნასახლარი რომაულ იმპერიულ სამარხებზე (აფაქიძე და სხვა 1989, 41-45; 50-51); გვიან ანტიკური კარიბჭე (მეხუთე საუკუნე) რომაულ იმპერიული (პირველი-მესამე საუკუნეების) ნასახლარის ფენებზე (კალანდაძე და სხვა 1966, 29-31); გვიან ანტიკური ნასახლარის ფენები რომაულ იმპერიულზე (აფაქიძე და სხვა 1982, 191-218); გვიან ანტიკური ხანის სამაროვნის ორი ფენა (მეექვსე-მეშვიდე და მეოთხე-მეხუთე ს.ს.) ერთმანეთზე (ნიკოლაიშვილი და სხვა 1985, 132-135); შუა საუკუნეების შენობის ნაშთები და ქვაყუთები რომაული იმპერიული ხანის წყალსადენზე (მანჯგალაძე 1997, 11-12); შუა საუკუნეების ქრისტიანული ტაძრები გვიან ანტიკურ ქვაყუთებზე (მანჯგალაძე 1997, 11-12; აფაქიძე და სხვ. 2004, 104-121) და ა.შ.

ამ არქეოლოგიური მონაპოვრიდან სულ რამდენიმე სამარხი და ნივთი განეკუთვნებოდა ადრებრინჯაოს ხანას. მცირერიცხოვანი იყო ელინისტური პერიოდის მატერიალური კულტურაც, რომელიც, ძირითადად, ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლით იყო წარმოდგენილი. ესენია: მოწითალო-მოყავისფროდ ანგობირე-

ბული, პირმოყრილი ქუსლიანი ჯამები, გრეხილსახელურიანი დოქები და წითლად მოხატული ქვევრები. ანალოგიური მასალა სამადლოს, ნასტაკისის, ციხიაგორასა და უფლისციხის ქვევრსამარხებშიც გამოვლინდა (აფაქიძე და სხვა 1989, 40-41).

მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო რომაული იმპერიული და გვიან ანტიკური ხანის ნივთები. ძვირფასი სამკაული და სუფრის ჭურჭელი, რომაული და პართული ოქროსა და ვერცხლის მონეტები და მინისა და მასიური ქვის სანელსაცხებლები დიდი რაოდენობით გამოვლინდა ქვაყუთებსა და კრამიტსამარხებში (აფაქიძე და სხვა 1989, 41-45). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერის ინსტრუმენტების - ძვლისა და ვერცხლის სტილოსების, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს სამელნეების აღმოჩენა (კალანდაძე 1959, 15; აფაქიძე და სხვა 1978, 70-75). მათგან გამოირჩევა გვიან ანტიკური (მესამე-მეოთხე ს.ს.) საწერი მოწყობილობის კომპლექტი, რომელიც მდიდარი ქალბატონის ქვაყუთში გამოვლინდა. კომპლექტი შედგება რამდენიმე ვერცხლის სტილოსისგან, ვერცხლის მოოქრული პენლისგან, ოქროს სამელნისგან, სამელნეს ჩასადები ვერცხლის მოოქრული კოლოფისგან და პერგამენტის გრაგნილის ოქროს ჭვირული სამაგრისგან, რომელსაც ბერძნულად ეწერა დედოფალი. პენლისა და სამელნის კოლოფის ზედაპირები რელიეფური ანთროპომორფული ფიგურებითაა შემკული. პენალზე ცხრა მუზა სამ რეესტრადაა გამოსახული. თითო რეესტრში სამ-სამი მუზაა, რომელთაც თავიანთი ატრიბუტები უპყრიათ ხელთ. მუზების სახელები ბერძნულად წერია თითოეული რეესტრის ძირში. სამელნის კოლოფზე სამი მამაკაცის ფიგურაა გამოსახული. თითოეული ფიგურა თაღშია ჩასმული. თაღები კორინთულ ორდერებსა და გრეხილ კოლონებს ეყრდნობა. თაღებზე ბერძნული წარწერებია გაკეთებული: მენანდრე, ჰომეროსი, დემოსთენე (აფაქიძე და სხვა 2004, 104-121).

მუზების, ბერძენი მწერლებისა და ორატორის ფიგურები ჭედურობის (repousse) ტექნიკითაა მიღებული. მსგავსი ტექნიკით შესრულებული და სტილით გაფორმებული ძვირფასი ლითონების ნივთები რომაული გვიან ანტიკური სამყაროდანაა ცნობილი. უცნობია სახელოსნო, სადაც მცხეთაში აღმოჩენილი საწერი მოწყობილობა

დამზადდა. ახლო პარალელის გავლება შეიძლება ვერცხლის მოოქროულ სურასთან, რომელზეც ასევე მუზებია გამოსახული. მუზებს თავზე თავთავიანთი სახელები აწერიათ ბერძნულად და შესაბამისი ატრიბუტები – ნიღბები, ლირა, სტილოსი და ა.შ. უკავიათ ხელში.[34] სურა 400 წ. თარიღდება (ბიზანტიური ხელოვნება 1977, 271, სურ. 2-5.). არც მისი წარმოების ადგილია ცნობილი. ხოლო მეოთხე საუკუნის ვერცხლის კოლოფი, რომელზეც ასევე მუზები და მათი ატრიბუტებია თაღების ქვეშ გამოჭედილი, ქალაქ რომში შექმნილა.[35]



**29. მუზების გამოსახულებები ვერცხლის ნივთებზე, პენალი არმაზიდან, სურა კურსკიდან, კოლოფი რომიდან**

გამოსახულებათა ამგვარი იკონოგრაფია რომაული იმპერიული და გვიან ანტიკური ხანის ქვის სარკოფაგებშიც გვხვდება. ამის კარგი ილუსტრაციაა პიზის კამპოსანტოს ტაძარში განთავსებული სარკოფაგები. ერთი, მესამე საუკუნის სარკოფაგის კედლებზე ფეხზემდგომი მუზებია თაღებქვეშ გამოქანდაკებული. მეორე სარკოფაგზე ერთი ოჯახის წევრების ფიგურებია. ორი ცენტრალური ფიგურა გრეხილ კოლონებიან ედიკულაში (პატარა სამლოცველო) დგას (ჰასკინსონი 2010, 61-63).

34 სურა აღმოჩნდა სამარხში, კურსკის ოლქში, რუსეთის ფედერაციაში. ინახება მოსკოვის იარაღის პალატაში.
35 ვერცხლის კოლოფი ინახება ბრიტანეთის მუზეუმში.

აღსანიშნავია, რომ მცხეთის ქვაყუთში კიდევ რამდენიმე წარწერიანი ნივთი აღმოჩნდა. ყოველ მათგანს ბერძნულად ან ლათინურად სხვადასხვა დედოფლის სახელი ეწერა და შესაბამისად, ოდესღაც მათი საკუთრება უნდა ყოფილიყო. მათგან სამი ოქროს საბეჭდავი-ბეჭედია. ერთი მარკუს ავრელიუსის ცოლის ფაუსტინა ავგუსტას ინსიგნიაა, მეორე კი მათი შვილის ლუცილა ავგუსტასი. რაც შეეხება მესამეს, რომელზეც თავსაბურავიანი ქალის პროფილი იყო ამოტვიფრული და ბერძნული წარწერა ჰქონდა, საფიქრებელია, რომ პალმირას დედოფლის ზენობიას საბეჭდავი უნდა ყოფილიყო (ავალიანი 2019, 503-512).

ამ პერიოდის იბერიელი დიდგვაროვნების ყოფაში თვალშისაცემია მომრავლებული მაღალი სინჯის ოქროს მორთულობა და საბეჭდავი-ბეჭდები. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და დახვეწილობით ქალის სამკაული გამოირჩევა. საბეჭდავებს ხმარობდნენ როგორც კაცები, ასევე ქალები. მრავლად იყო იმპორტული და ადგილობრივი საბეჭდავები. რომაულ საბეჭდავ-ბეჭდებზე ბერძნულ-რომაული მითოლოგიური პერსონაჟების ფიგურები და ისტორიული პირების პორტრეტები და სახელები იყო გამოსახული. მაგალითად, ქართლში აღმოჩენილი უადრესი პორტრეტთა ჯგუფი რომის სამოქალაქო ომის პერიოდისაა (ძვ.წ. 50-48 წ.წ.). ესენია იულიას,[36] ოქტავიანეს და გნეუს პომპეუს უმცროსის საბეჭდავი-ბეჭდები. მათი პორტრეტები რომაულ გამორჩეულ ნიმუშებს განეკუთვნება (ჯავახიშვილი 2008, 191-193).

რომაულ საბეჭდავებზე გამოსახული პორტრეტების მიბაძვით, ქართლში ადგილობრივი მმართველების სახელობითი საბეჭდავი-ბეჭდები გაჩნდა. ქართლის პიტიახშები და სხვა დიდგვაროვნები, რომაელი იმპერატორებისა და მაღალი წრის ხალხის მსგავსად, უკვეთავდნენ ინსიგნიებს, რომლებზეც თავიანთი პორტრეტები, სახელები და წოდებები იყო ამოკვეთილი, მაგალითად, ასპარუგ პიტიახშის საბეჭდავი, ზევახისა და კარპაკის ინტალიო და სხვა. პორტრეტთა ამ ჯგუფს განსაკუთრებული ინდივიდუალიზმი ახასიათებს. ზევახისა და კარპაკის ინტალიოზე, რომელიც თავდაპირველად საბეჭდავი უნდა

36 იულია იყო იულიუს კეისრის შვილი და პომპეუსის ცოლი, რომელიც თავისი სათნოებითა და სილამაზით იყო განთქმული.

ყოფილიყო, ქალისა და მამაკაცის პორტრეტული გამოსახულებაა პრო-ფილში. მისი წარწერა ამ წყვილის სასიყვარულო ურთიერთობაზე მეტყველებს. საბეჭდავს მოგვიანებით ფუნქცია შეუცვალეს. ის ოქროთი მოაჩარჩოეს და ძვირფასი ქამრის ერთ-ერთ რგოლად გამოიყენეს. ნივთმა ჩვენამდე მდიდრული სამარხეული ინვენტარის სახით მოაღწია.



**30. ადგილობრივი და უცხოური სახელობითი საბეჭდავი-ბეჭდები**

ნივთები ადამიანებს ბიოგრაფიულად უკავშირდებიან, რადგანაც ისინი მათ იდენტობასა და სოციალურ კონტრასტს ასახავენ. მათი მნიშვნელობა, არსებითად, სოციალური კონტექსტიდან იქმნება. ნივთების შექმნის, გამოყენებისა და უარყოფა-გადაგდების ციკლი ადამიანის მიერ განვლილ ცხოვრებას ასახავს (ჰოდერი 1986; შანქი, თილი 1992).

რომაული თუ ადგილობრივი ოქროს საბეჭდავი ბეჭდები, ოქროს სამკაული და ვერცხლის ჭურჭელი დაკვეთით კეთდებოდა რომაულ სახელოსნოებში, რომლებიც მთელ იმპერიაში იყო გავრცელებული. ზოგიერთი რომაული ოქროს საიუველირო ნაწარმი და ვერცხლის თასები იმდენად ექსკლუზიურია, რომ მკვლევართა ნაწილი მათ რომის

იმპერატორების მიერ ქართლის მეფეებისთვის მირთმეულ საჩუქრებად მიიჩნევდა (მაჩაბელი 1976, 51-52; გაგოშიძე 2008, 21-22; ცეცხლაძე 2008, 101-104).

თასები, სასმისები და კოვზები რომაული ბანკეტის განუყოფელი ნაწილი იყო. რომაელები, ძირითადად, სამი სახის კოვზს ხმარობდნენ. ჩანგალი იშვიათობა იყო.  პირველი პატარა, გრძელტარიანი, ხშირად, ბოლოში დაწვრილებული და წვეტიანი კოვზი კოქლეარიუმი (cochlearium) იყო; მეორე პატარა, მოკლე, მოხრილტარიანი სიგნუსი (cignus) და მესამე ღრმა და დიდი გრძელტარიანი ჩამჩა. კოვზები ლითონისგან კეთდებოდა, ხშირად ვერცხლისგან. ტარი სადა ან მეანდრის ორნამენტით მორთული იყო და ხშირად იხვის ან გედის თავის გამოსახულებით ბოლოვდებოდა. კოვზები მთელ იმპერიაში, ყველა სოციალურ ფენაში იყო გავრცელებული. ძვირფასი ლითონისა და მორთულობის კოვზები, ცხადია, მაღალი ფენის წარმომადგენლების კუთვნილება იყო. იბერიაში სამივე ტიპის კოვზია აღმოჩენილი, მაგრამ რომის იმპერიის პროვინციებისგან განსხვავებით, მათი გამოყენება მხოლოდ მაღალ სოციალურ წრეებში დასტურდება.



**31. რომაული ვერცხლის კოვზები**

რომაულ იმპერიულ ხანაში სამარხის რამდენი ტიპი გვხვდება: ქვაყუთი ბანური ან ორფერდა სახურავით, აგურის სამარხი, თიხის ფილასამარხი და კრამიტსამარხი. კრამიტსამარხებში ბერძნული დაკრძალვის წესი დადასტურდა – მიცვალებულისთვის მონეტის ე.წ. ქარონის ობოლის ჩატანება. დაკრძალვის ამ ბერძნულ წესს ქართლის მოსახლეობის გარკვეული სოციალური ფენა მისდევდა, რომელიც უმეტესწილად ინდივიდუალურ კრამიტსამარხებში იკრძალებოდა. ეს წესი რომაელებს უნდა შემოეტანათ ქართლში ელინისტური მცირე აზიის დაპყრობის შემდეგ (დემეტრაძე 2014, 98).

სვეტიცხოვლის უბანზე რომაული იმპერიული ხანიდან მიცვალებულის სახლთან ახლოს დასაფლავების პრაქტიკა შეინიშნება. სამარხების უმრავლესობა კარგად იყო შემონახული, შენობები კი ძალიან დაზიანებული. რომაული, გვიან ანტიკური და შუა საუკუნეების საცხოვრებელი სახლები, ან საზოგადოებრივი ნაგებობები თითქმის არ შემორჩენილა. იშვიათი გამონაკლისი იყო რამდენიმე სახლი და მარანი (კალანდაძე 1959, 14-17; აფაქიძე და სხვა 1989, 50-51). მათგან გეგმარებით გამოირჩევა სვეტიცხოვლის ტაძრის გალავნის დასავლეთით მდებარე გვიან ანტიკური საცხოვრებელი სახლების რიგი (ნიკოლაიშვილი 2004, 39-43).

სამარხების უმრავლესობა კარგად იყო შემონახული, შენობები კი ძალიან დაზიანებული. რომაული, გვიან ანტიკური და შუა საუკუნეების საცხოვრებელი სახლები, ან საზოგადოებრივი ნაგებობები თითქმის არ შემორჩენილა. იშვიათი გამონაკლისი იყო რამდენიმე სახლი და მარანი (კალანდაძე 1959, 14-17; აფაქიძე და სხვა 1989, 50-51). მათგან გეგმარებით გამოირჩევა სვეტიცხოვლის ტაძრის გალავნის დასავლეთით მდებარე გვიან ანტიკური საცხოვრებელი სახლების რიგი (ნიკოლაიშვილი 2004, 39-43). თავად სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოსა და საძირკველში სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილი პილასტრის სამი კომპოზიტი ორდერია (cf. ყიფიანი 1997 ა, 61-63)[37] აღსანიშნავი. ისინი ტაძრის ან სასახლის მორთულობა უნდა ყოფილიყო.

37 გ. ყიფიანმა ორდერები კორინთულად მიიჩნია და მეორე საუკუნით დაათარიღა. თუმცა დათარიღების საფუძველი არ გამოუთქვამს.




32. სახლების რიგი სვეტიცხოვლის გალავანთან



33. კომპოზიტი ორდერი სვეტიცხოვლის ეზოდან

სვეტიცხოვლის უბანზე დამწერლობის რამდენიმე ნიმუში გამოვლინდა. მათგან აღსანიშნავია ქვიშაქვის ქვაზე გაკეთებული სამშენებლო წარწერა, რომლითაც ანტიოქიის ეკლესიის ზღურბლი გაუკეთებიათ. წარწერა ბერძნულია და მასში ჩვენთვის ცნობილი ავრელიოს აქოლისია ნახსენები: „მე ვარ ალფა და ომეგა. გააკეთა აქილევსმა ხუროთა (უფროსი) რომ არის. ავრელიოს აქოლისი მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ... ზღუდით გამაგრება ... საბოლოო ხსოვნა. არსპაკორესი'' (ყაუხჩიშვილი 2009, 30-31). ეს წარწერაც სამშენებლოა და, სავარაუდოდ, დონორის სახელს – არსპაკორესს გვამცნობს.

მეორე წარწერა ებრაული იყო, რომელსაც მაგიური შინაარსი ჰქონდა. 29-სტრიქონიანი ტექსტი ოქროს ფირფიტაზე დაუწერიათ, დაუხვევიათ, ხელადაში ჩაუდიათ და შენობის საძირკველში ჩაუყოლებიათ (კალანდაძე 1963, 37-43). მაგიური შინაარსის წარწერას ამულეტის ფუნქცია ჰქონდა, რომელიც სახლის პატრონს ავისგან იცავდა. ის მეხუთე-მეექვსე ს.ს. დათარიღდა (წერეთელი 1996, 95-132). სახლის ან სინაგოგის საძირკველში ამგვარი ამულეტის ჩატანება ებრაული ტრადიცია იყო (ნოი და სხვა 2004).

მესამე არქეოლოგიური უბანი ბებრისციხეა. ჩვენამდე ციხე-სიმაგრემ შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობის სახით მოაღწია. ის მდინარე არაგვის დასავლეთ, შემაღლებულ ნაპირზე, ზღვის დონიდან 480 მ მდებარეობს. მცხეთის გვიან ანტიკური კარიბჭიდან ჩრდილოეთით, 1.4 კმ არის მოშორებული, ხოლო სამთავროს ველიდან 500 მ. ამჟამად ბებრისციხე თანამედროვე ქალაქი მცხეთის შუაში ექცევა. მისი ისტორიული სახელი ბელტის ციხე ყოფილა. ამ სახელით მოიხსენიებდნენ სიმაგრეს მე-12 და მე-18 საუკუნის ისტორიული წყაროების ავტორები. მე-12 საუკუნეებში ბელტის ციხე მცხეთის ჩრდილოეთი სიმაგრე ყოფილა. 1156 წელს იქ დემეტრე მეფე გარდაცვლილა (ქც 1955, 367; ვახუშტი 1941, 62, 112).




### 34. ბებრისციხე

შუა საუკუნეების მშენებლებს ბებრისციხე ლანდშაფტის ფორმებზე მოურგიათ. მისი სამი ნახევრად ოვალური კოშკი ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და დასავლეთითაა მიმართული. კოშკები სამ და ოთხსართულიანი ყოფილა. ციხე დასავლეთიდან სამი ნახევარწრიული კონტრფორსითაა გამაგრებული. სამხრეთიდან მას ეზო ეკვრის. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ეზოს ნახევარწრიული გალავანი უნდა ჰქონოდა. ციხე ქვიშაქვის პატარა, მეტ-ნაკლებად თანაზარი ქვებისგან და ქვითკირისგანაა აშენებული (ზაქარაია 1973, 51; სძა 1990, 242; ნიკოლაიშვილი და სხვა 2009, 11-12). დასავლეთი კედლისა და კოშკის საძირკველში ადრეული კედლის ფრაგმენტები გამოვლინდა,

რომელიც ქვიშაქვების ლოდებითა და ალიზის აგურებით იყო აგებული. იქვე იყო წითლად შეღებილი ჭურჭლისა და კრამიტის ფრაგმენტები. წითლად შეღებილი კრამიტის ფრაგმენტები დამწვარი ალიზის აგურის ფენებთან ერთად ჩრდილოეთი კოშკის ძირშიც აღმოჩნდა (სძა 1990, 242; ნიკოლაიშვილი და სხვა 2009, 1, 13). ადრეული კედლების ფრაგმენტები და კერამიკული მასალა ელინისტური ხანით დათარიღდა (ნიკოლაიშვილი და სხვა 2009, 6, 11).

ბებრისციხის უადრესი არქეოლოგიური მასალა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის რამდენიმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტისგან შედგებოდა. უფრო ბევრი და მრავალფეროვანი იყო რომაული იმპე-რიული და გვიან ანტიკური პერიოდების არტეფაქტები, მაგალითად, კრამიტისა და ქვევრის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, აგურები და თიხის მილები (გამყრელიძე და სხვა 2013, 101).

ამრიგად, ლიტერატურული წყაროების, არტეფაქტებისა და საფორტიფიკაციო კედლების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბებრისციხის ბორცვი რკინის ხანიდან იყო ადამიანის მიერ ათვისებული. უშუალოდ ციხე-სიმაგრის მშენებლობა ელინისტურ პერიოდში დაწყებულა. მისი გამოყენება კი რომაულ იმპერიულ, გვიან ანტიკურ და შუა საუკუნეებშიც გაგრძელდა.

მეოთხე არქეოლოგიური უბანი ზაიათხევია. ეს უბანი ბებრისციხის დასავლეთით, სამთავროს ველის ჩრდილოეთით, ზღვის დონიდან 420 მეტრზე მდებარეობს. ზაიათხევი და სამთავროს ველიც ერთ-მანეთისგან ხევით არის გამიჯნული. ზაიათხევის უბანზე მესამე-მეოთხე ს.ს. სამაროვანი პირველი-მეორე ს.ს. ნასახლარის ფენებზე გამოვლინდა. სამაროვანზე რამდენიმე ტიპის სამარხი დადასტურდა – კრამიტსამარხი, თიხის ფილასამარხი და ქვის ფილით გადახურული ორმოსამარხი. სამარხეული ინვენტარის მიხედვით, სამაროვანზე საკმარისად შეძლებული ხალხი იკრძალებოდა, რომელთა საკუთრებაში იყო ნახევრადძვირფასი ქვებისგან გაკეთებული საბეჭდავი ბეჭდები, ავგუსტუსის ვერცხლის დენარები და პირადი მოხმარების ნივთები (ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995, 97-134).

მრავალი მასიური ნახევრადძვირფასი ქვებისგან გაკეთებული

საბეჭდავი-ბეჭედი აღმოჩნდა სამთავროსა და ბაიათხევის სამაროვნებსა და სვეტიცხოვლის უბანზე. საბეჭდავები მესამე-მეოთხე ს.ს. თარიღდება. ყოველ საბეჭდავს ფარაკზე ინდივიდუალური გამოსახულება ჰქონდა, რომელიც სხვა ეგზემპლარებში არ მეორდებოდა. ასეთი საბეჭდავები ადგილობრივი ვაჭრობისთვის იყო განკუთვნილი (რენფრიუ, ბანი 2008, 374). საბეჭდავები ადგილობრივ ვაჭრებსა და მეწარმეებს ეკუთვნოდათ. ისინი საბეჭდავებით თავიანთ საქონელს ან საქონლის საწყობებს ბეჭდავდნენ. საბეჭდავები მოგვთაკარის, მუხათგვერდისა და წიწამურის სამარხებშიც გამოვლინდა. ეს, თავის მხრივ, ვაჭართა და მეწარმეთა საშუალო ფენის არსებობაზე მიუთითებს.

წარმოდგენილი მონაცემების კვლევამ აჩვენა, რომ უადრესი პრეისტორიული ძეგლები – ადრე და შუა ბრინჯაოს სამარხები და რკინის ხანის ნასახლარი სამთავროს, სვეტიცხოვლისა და ბებრისციხის უბნების ყველაზე ამაღლებულ ადგილებში მდებარეობდა, ხოლო ელინისტური, რომაული იმპერიული, გვიან ანტიკური და შუა საუკუნეების სამთავროს, სვეტიცხოვლისა და ბაიათხევის უბნების უდაბლეს ადგილებზე.

არქეოლოგიური ძეგლების რაოდენობისა და მათი გავრცელების არეალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ადრე ბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაომდე (დაახლოებით ძვ.წ. 3000-1200 წ.წ.) აღნიშნულ ტერიტორიებზე, მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო და მათი საქმიანობის კვალი მაღლობზეა დაფიქსირებული. ადრეული რკინის ხანაში (დაახლოებით ძვ.წ. 1100-900 წ.წ.) მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ძვ.წ. მერვე-მეშვიდე საუკუნეებიდან ადამიანები შემაღლებულ ადგილებში სახლდებოდნენ, ხოლო ვაკობს სასაფლაოდ იყენებდნენ. ამ პერიოდში ოთხი უბნიდან მხოლოდ სამთავროს ველის აღმოსავლეთი, შემაღლებული მხარე იყო დასახლებული.

ელინისტური ხანიდან ხალხმა დაბლობების ათვისება დაიწყო. სამთავროს ველის სამხრეთი და სვეტიცხოვლის უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთი როგორც საცხოვრებლად, ასევე სასაფლაოდ ჩანს გამოყენებული. რომაულ იმპერიულ და გვიან ანტიკურ ხანებში მოსახლეობის ზრდა და გაფართოება შეიმჩნევა სვეტიცხოვლის

უბნის სამხრეთით, მტკვრის ჩრდილოეთ სანაპიროსკენ, სამთავროს, ზებრისციხისა და ზაიათხევის უბნებში.

რომაული იმპერიული ხანიდან მოსახლეობის ზრდა, შესაძლოა, ვაჭრობის განვითარებითაც ყოფილიყო გამოწვეული. სახმელეთო გზები მტკვრის ხეობას მიყვებოდა. გზები როგორც სავაჭროდ, ასევე სხვა მიზნებისთვისაც გამოიყენებოდა. „გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას…" (ქც 1955, 15). ასე აღწერს ლეონტი მროველი თურქთა მცხეთამდე მოსვლის მარშრუტს. ნინოც მტკვრით მოსულა მცხეთაში: „ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოისათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად, ქალაქსა დიდსა მეფეთა საჯდომელსა" (მქ 1963, 84). მდინარე მტკვარი სანაოსნოდაც გამოიყენებოდა. ამის წერილობითი დასტური მე-19 საუკუნიდან მოგვეპოვება. მე-19 საუკუნის ბოლოს სანაოსნო ტრანსპორტი მტკვარზე ტივი ყოფილა, რომლითაც პლატონ იოსელიანს გორიდან თბილისამდე უმგზავრია (იოსელიანი 1893, 103).

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მცხეთის ტერიტორიაზე ადამიანი გვიანბრინჯაოს ხანიდან სახლდება. ამ დროიდანვე იკვეთება საკმაოდ განვითარებული, მაგრამ თანასწორი საზოგადოება. ელინისტური ხანის საზოგადოება უფრო დაწინაურებული ჩანს, თუმცა, ასევე ფრიად ერთგვაროვანი. საზოგადოების აშკარა კომპლექსურობა და სტრატიფიცირება რომაული იმპერიული ხანიდან იწყება. ვფიქრობ, რომ მცხეთის დასახლებული ტერიტორიის ურბანულ ცენტრად გარდაქმნაც ამ პერიოდში მოხდა.

მცხეთის წარმოშობასა და ლოკალიზაციასთან დაკავშირებით მრავალ მეცნიერს განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული. ზოგი ფიქრობდა, რომ მცხეთა ელინისტურ ხანაში უკვე ქართლის დედაქალაქი იყო (ჯავახიშვილი 1960, 453-461; აფაქიძე 1959, 1963; სანაძე 2001, 55-59), ზოგი კი მცხეთის წარმოშობასა და დაწინაურებას რომაულ იმპერიულ ხანას უკავშირებდა (მელიქსეთ-ბეგი 1921, 1938; კაკაბაძე 1924; მელიქიშვილი 1958, 156-160; ყიფიანი 2010 ა, 104). ქალაქი მცხეთის წარმოშობის საკითხი მსჯელობისა და კამათის საგანი ალბათ იმიტომ გახდა, რომ რომის იმპერიის ბერძნულ და ლათინურენოვანი

გეოგრაფებისა და ისტორიკოსების ნაშრომები და შუა საუკუნეების ქართული ისტორიული ქრონიკები წინააღმდეგობრივ ინფორმაციას შეიცავენ. ამას ისიც დაერთო, რომ არ აღმოჩენილა მცხეთის დამცავი კედლები და არც შთამბეჭდავი ურბანული არქიტექტურის ნიმუშები, ისეთი, როგორიც გამოვლინდა არმაზში.

მკვლევრების ნაწილი პირველი-მესამე საუკუნეების ბერძნულ-ლათინურენოვან ავტორებს ეყრდნობოდა, ნაწილი კი – შუა საუკუნეების იმ ქართველ ჟამთააღმწერლებს, რომლებიც მცხეთაში ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპებს ხედავდნენ. პირველად ლეონ მელიქსეთ-ბეგმა აღნიშნა ლიტერატურულ წყაროებში არსებული წინააღმდეგობები. სტრაბონმა არაფერი იცოდა მცხეთის შესახებ. მას თავის „გეოგრაფიაში" არც კი უხსენებია მცხეთა, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა ქვეყნის შესახებ. მან იცოდა ორი გამაგრებული ქალაქის – ჰარმოზიკესა (არმაზი) და სევსამორას (წიწამური) არსებობა და მათი ზუსტი მდებარეობა მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან. იცოდა სომხეთიდან ქართლისკენ მიმავალი ვიწრო გზებისა და იმის შესახებ, რომ ამ გზებით ქართლში ჯერ პომპეუსი შეჭრილა, ხოლო შემდგომ კანიდიუსი (სტრაბონი 11. 3. 5). მცხეთა ამ ორი ქალაქის შუაში მდებარეობდა და მას ვერ აუვლიდა გვერდს, ვერც დამპყრობელი და ვერც ჟამთააღმწერელი. არც დიო კასიუსს უხსენებია მცხეთა თავის „რომის ისტორიაში", როდესაც პომპეუსის ქართლში ლაშქრობაზე, ქალაქი აკროპოლისის (არმაზი) აღებასა და მის მიდამოებში რომაული ჯარის მოძრაობაზე წერდა (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 37. 1, 2). ამ ავტორების მიხედვით, რომის სამხედრო და პოლიტიკური მოქმედებების არენა ქალაქი არმაზი იყო. ქართლის მეფე არტოკე არმაზიდან იმიტომ გაიქცა, რომ იქ ცხოვრობდა. ახ. წ. მეორე საუკუნეში პტოლემაიოსმა მცხეთის არსებობა უკვე იცოდა. მან ქალაქის მდებარეობა კოორდინატებით აღნიშნა (პტოლემაიოსი, გეოგრაფია 10). ეს არგუმენტაცია ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოიყენა, როდესაც მცხეთის ისტორიულ კონტექსტს განიხილავდა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალაქი მცხეთა ახ. წ. მეორე საუკუნეზე ადრე ვერ დაარსდებოდა (მელიქსეთ-ბეგი 1938). მოგვიანებით გ. ყიფიანმა

მელიქსეთ-ბეგის არგუმენტაცია გაიზიარა (ყიფიანი 2010 ა).

რომაელი გეოგრაფები და ისტორიკოსები რომის იმპერიაში შემავალ ან მის ინტერესის სფეროში მყოფ ტერიტორიებს აღწერდნენ. ისინი თავიანთი წინამორბედი ავტორების თხზულებებს ეყრდნობოდნენ, მაგრამ იმავდროულად ახალ ინფორმაციას უმატებდნენ. სტრაბონი პირველი რომაელი გეოგრაფი გახლდათ, რომელმაც ქართლის გეოგრაფიისა და სოციალური სტრუქტურის აღწერა წარმოადგინა. პტოლემაიოსმა იმდროინდელი ცოდნა კიდევ უფრო გააღრმავა ქართლის ქალაქების გეოგრაფიული ლოკაციების დამატებით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით ახ.წ. 150 წ., როდესაც პტოლემაიოსი „გეოგრაფიას" წერდა, მცხეთა უკვე არსებობდა და რომაელებმა ამის შესახებ იცოდნენ.

ჩვენ მიერ განხილული არქეოლოგიური წყაროები შეესაბამება რომაული პერიოდის ბერძნულ-ლათინურენოვან ლიტერატურას, ქართული ქრონიკებისგან კი დრამატულად განსხვავდება. „მოქცევაი ქართლისაის" ავტორი და ლეონტი მროველი მცხეთას ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლეგენდარულ ლაშქრობასა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს უკავშირებენ. უფრო მეტიც, ორი თხზულება ერთმანეთის საწინააღმდეგო ინფორმაციას შეიცავს მცხეთის დაარსების თაობაზე. ეს საკითხი მრავალჯერ ყოფილა განსჯის საგანი ქართულ ისტორიოგრაფიაში (ჯავახიშვილი 1960; მელიქიშვილი 1958; თუმანოვი 1963; სანაძე 2001; არახამია 2002; რაპი 2003; ყიფიანი 2010 ა), მაგრამ ჩვენ კიდევ ერთხელ განვიხილოთ წყაროებში მოცემული წინააღმდეგობრივი ინფორმაცია.

„მოქცევაი ქართლისაი" ქართლში ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდარული ლაშქრობით იწყება. მცხეთა არ არის იმ ქალაქთა ჩამონათვალში, რომელიც ვითომდა ალექსანდრემ დაიპყრო. მიუხედავად ამისა, ავტორი ამბობს, რომ ალექსანდრემ არიან-ქართლის პირველი მეფის ძე აზო დასვა მცხეთაში. მცხეთა პირველად ხდება სატახტო ქალაქი აზოს ხელში. აზოს სიკვდილის შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის ფარნავაზი, რომელიც აარსებს არმაზის კერპს და აშენებს ქალაქ არმაზს მდინარის პირას. შემდგომი ორი მეფე საურმაგი

და მირვანიც არმაზის აღმშენებლობითაა დაკავებული. დამატებით ისინი კიდევ ორ კერპს – აინინასა და დანინას აღმართავენ. ქართლის მეხუთე მეფე ფარნაჯომი ზადენის კერპს აღმართავს არმაზის მოპირდაპირე მხარეს, ზედაზენზე და იქვე აშენებს ციხეს. შემდეგი მეფეები – არსოკ და არიკ არმაზის გალავანსა და შიდა ციხეს ამაგრებენ თუ აშენებენ. მხოლოდ ქართლის მერვე მეფე ბრატმანი იწყებს ქალაქი მცხეთის მშენებლობას. ბრატმანის მეფობას გ. მელიქიშვილი დაახლოებით ძვ.წ. 36 წელს ვარაუდობს (მელიქიშვილი 1958, 155). ს. რაპი კი დაახლოებით ძვ.წ. 63-30 წ.წ. (რაპი 2014, 222). ბრატმანის კვალს მომდევნო მეფე მირეანი მიჰყვება, რომელიც ასევე მცხეთაში მოღვაწეობს. შემდგომმა მეფე არსუკმა კასპი შეიპყრო და უფლისციხეს განაგებდა. ქართლის მეათე მეფე როკი კი მცხეთას ემიჯნება (მქ 1963, 81-82) და არმაზში ბრუნდება. ეს დაახლოებით ძვ.წ. პირველ - ახ.წ. პირველ ს.ს. ხდება (მელიქიშვილი 1958, 155) ან დაახლოებით ახ.წ. 1-58 წ.წ. (რაპი 2014, 223). ამის შემდეგ ქართლში იწყება ორმეფობის ხანა, რაც იმიერი და ამიერი ანუ მცხეთელი და არმაზელი მეფეების მცხეთასა და არმაზში მკვიდრობას ეხება. ბოლო იმიერი და ამიერი მეფეები იყვნენ როკ და მირდატ და დაახლოებით ახ.წ. 163 წ. მეფობდნენ (მელიქიშვილი 1958, 155). ორმეფობის დასასრულს მხოლოდ მცხეთა რჩება სამეფო ქალაქად „და ამისა ზე მოაკლდა არმაზი სამეუფოჲ და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ" (მქ 1963, 83). ეს პერიოდი დაახლოებით ახ.წ. მეორე-მესამე ს.ს. მოდის (მელიქიშვილი 1958, 156, 162). ბოლო წარმართი და პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი იყო, რომელიც ქრისტიანობის მიღების დროს, 330-იან წლებში მცხეთაში ცხოვრობდა (მელიქიშვილი 1958, 161–62; რაპი 2009, 677; cf. ჯავახიშვილი 1979, 216-67).[38]

ლეონტი მროველმა მოვლენების განსხვავებული ვერსია წარმოადგინა. მას ქართლის მთლიანი ისტორიის დაწერის ამბიცია ჰქონდა. ამიტომ, კოსმოგონური მითით დაიწყო თხრობა და ქალაქი მცხეთა ქართლის დასაბამს დაუკავშირა. მროველმა გამოიგონა ქართლის პირველი მეფისა და ქართველების ეპონიმური წინაპრის ქართლოსისა და

38 ი. ჯავახიშვილმა ქართლში ქრისტიანობის გავრცელების თარიღად 337 გამოთვალა. ის ფიქრობდა, რომ ქრისტიანობა პირველად ბაკურ მეფემ მიიღო.

მისი ვაჟიშვილების სახელები. ერთ-ერთი ვაჟიშვილის, ლეგენდარული ეთნარქის მცხეთოსის სახელი დაუკავშირა ქალაქ მცხეთას (ქც 1955, 9). მცხეთოსის გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრეები მცხეთაში დარჩნენ საცხოვრებლად. ისინი მცხეთის მამასახლისები იყვნენ და არა მეფეები (ქც 1955, 11). მცხეთის შემდგომი აღმშენებლობა სპარს არდამს მიეწერება (ქც 1955, 13). მროველის მიხედვით, ალექსანდრეს იბერიაში ლაშქრობა არდამის შემდეგ მოხდა. იმ დროს მცხეთა უკვე დედაქალაქი, „დიდი ქალაქი" იყო, რომელიც სხვადასხვა გამაგრებულ და დასახლებულ ადგილს განაგებდა: „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა". ამიტომ აიღო ალექსანდრემ მცხეთა და იქვე დატოვა აზო  მმართველად, რომელმაც მცხეთის კედლები განამტკიცა (ქც 1955, 18). „მოქცევაი ქართლისაის" ავტორისგან განსხვავებით, ლეონტი მროველს ფარნავაზის ასპარეზად მცხეთა გამოჰყავს. ფარნავაზი ჯერ აზოს ამარცხებს მცხეთაში, ამაგრებს მცხეთას და მხოლოდ შემდეგ აარსებს არმაზის კერპს (ქც 1955, 24-25). ფარნავაზის  შემდგომ ოთხი მეფე – საურმაგი, მირვან, ბარტომ, ადერკი მცხეთიდან მართავს ქართლს (ქც 1955, 26-35). მეათე მეფის ადერკის შვილებს, ბარტომსა და ქართამს შორის ქართლი ორად იყოფა. ერთი ნაწილია მტკვრის ჩრდილოეთი მხარე „მუხრანით კერძი ქალაქი", ხოლო მეორე მტკვრის სამხრეთი მხარე „არმაზით კერძი ქალაქი" (ქც 1955, 56). ეს დაახლოებით ახ.წ. 70-იან წლებში მოხდა (მელიქიშვილი 1958, 155). მროველის მიხედვით ორმეფობა გარკვეული პერიოდი გრძელდება და ქართლის მეფეები არმაზსა და შიდაქალაქს მეფობენ. იგი ორმეფობის დასასრულს ფარსმან ქველის  ქართლის გაერთიანებისთვის ბრძოლას უკავშირებს. გ. მელიქიშვილი და კ. თუმანოვი ფარსმან ქვე-ლის მეფობის ორ სხვადასხვა თარიღს გვთავაზობენ. ფარსმან ქველის მეფობა მელიქიშვილმა ახ.წ. 130-150-იანი წლებით განსაზღვრა, ხოლო თუმანოვმა ახ.წ. 116-132 წლებით (მელიქიშვილი 1958, 155; თუმანოვი 1969, 17). მროველის მიხედვით, ფარსმან ქველის შემდგომი მეფეებისთვის მცხეთა ისევ მთავარი სარბიელია. ამაზასპმა ოვსებთან ბრძოლის წინ „განავსნა კართა და ციხენი მცხეთისანი ლაშქრითა" (ქც 1955, 56-73; თომსონი 1996, 49-77). უკანასკნელი წარმართი მეფე

მროველის თხზულებაშიც მირიანია.

როგორც ვნახეთ, „მოქცევაი ქართლისაიში" მოთხრობილი ამბავი მნიშვნელოვან ფაქტობრივ და კონტექსტურ ცვლილებებს განიცდის მროველის ნარატივში. ქართველმა მკვლევრებმა განმარტეს ამ ცვლილებების საფუძველი. ისინი თვლიდნენ, რომ ლეონტი მროველისთვის მიუღებელი იყო მცხეთის დაარსების გვიანდელი თარიღი. მან ბრატმანის მიერ მცხეთის შენება შეცვალა ზართომის მიერ მცხეთის გამაგრებით და ფაქტობრივად მცხეთა ჩაანაცვლა არმაზს. ასევე, შეცვალა ძველი ტოპონიმები, გეოგრაფიული ლოკაციები, ეთნიკური და საკუთარი სახელები მისი დროისთვის შესაფერისი სახელწოდებებით (სანაძე 2001, 11; არახამია 2002, 132-133).

ლეონტი მროველს განსაკუთრებული მისია ჰქონდა. მას უნდა დაეკავშირებინა მცხეთა ერთიანი, ცენტრალიზებული, ქრისტიანული სამეფოს შექმნასთან, რადგანაც მროველის ხანაში მცხეთა ქრისტიანული სამეფოს დედაქალაქი იყო (ზედოშვილი 1983, 187).

მცხეთის განსაკუთრებული სტატუსი და მნიშვნელობა პირველად „მოქცევაი ქართლისაის" ავტორმა გამოკვეთა, როდესაც მან მცხეთას „დიდი ქალაქი" უწოდა. მცხეთისკენ მიმავალ ნინოს მწყემსები შეხვდნენ ფარავნის ტბაზე. ნინომ მათ ჰკითხა, რომელი სოფლისანი ხართო? მათ უპასუხეს: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ" (მქ 1963, 116). ამ პარაგრაფიდან ვიგებთ, რომ მცხეთა მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ნინოს იქ მისვლამდე, სოფლებსა და სავაჭრო ცენტრებს განაგებდა და ქვეყნის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იყო. მცხეთაში ცხოვრობენ ქართლის მეფე და დედოფალიც. სწორედ, ამიტომ მიემართება ნინო მცხეთაში.

ლეონტი მროველმა გაიზიარა მცხეთის ძლევამოსილების იდეა და ამგვარად გამოსახა ის: „მცხეთა და უბანნი მისნი" (ქც 1955, 18; თომსონი 1996, 24).

მცხეთის ისტორიული როლის გაზვიადება შუა საუკუნეების ქართული ქრონიკების მიერ ქრისტიანული პროპაგანდით აიხსნება. ეს

განსაკუთრებით კარგად ჩანს ლეონტი მროველთან. მართალია, მისი თხზულება კომპილაციურია, მაგრამ ის ერთიანი, ახალი იდეოლოგიის პოზიციით არის შექმნილი, რომელიც ბიზანტიური ქრონიკების მსგავსად, ქრისტიანული სამეფო ხელისუფლების პოზიციის გამომხატველი უნდა ყოფილიყო (აბაშიძე 1993, 105-109). ერთიანი ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს იდეოლოგიის საყრდენი მცხეთა იყო. სწორედ, ამიტომ უპირისპირებდნენ ქრისტიანი ავტორები მცხეთას წარმართულ არმაზს. ამიტომ წარმოჩნდებოდა ის ქართლის დასაბამიდან კარდინალური მნიშვნელობის ქალაქად, სადაც ყველა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ვითარდებოდა. მცხეთა ქრისტიანობის სიმბოლო და დასაბამი გახდა, რადგანაც, გადმოცემით, სვეტიცხოვლის კათედრალის საძირკველში უდიდესი სიწმინდე – ქრისტეს კვართი იყო დამარხული. სწორედ ამან განაპირობა შუა საუკუნეების ქალაქის ემბლემატურობა, რასაც, უნდა აღინიშნოს, დღემდე ინარჩუნებს.

მცხეთის დაწინაურებისა და პირველი დედაქალაქობის აზრი კიდევ უფრო განავითარეს საბჭოთა ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა. თუმცა, ისინი, ძირითადად, ქალაქის ტერიტორიულ სიდიდეს უსვამდნენ ხაზს. 1940-იანი წლებიდან ქართულ არქეოლოგიაში დამკვიდრდა აზრი, რომ არმაზი და წიწამური ე.წ. „დიდი მცხეთის" უბნები იყო.[39] ამას საფუძვლად ს. ჯანაშიას განმარტება დაედო, რომელიც სტრაბონის მიერ ჰარმოზიკესა და სევსამორას[40] აღწერილობას და მათ შორის დისტანციას (16 სტადიონი – თანამედროვე ზომის ერთეულით დაახლოებით 2.5 კმ), ამგვარად ხსნიდა: „უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ცნობაში მოხსენებულია

39 „დიდი მცხეთის" სახელი პირველად ეწოდა ვრცელ არეალს: „დიდ არქეოლოგიურ სამუშაოთა ობიექტად დაისახა მცხეთა და მისი მიდამოები, სახელდობრ, ტერიტორია, რომელიც ისაზღვრება აღმოსავლეთით რკინიგზის სადგურ ზაჰესით, დასავლეთით – შიო-მღვიმე-ძეგვის მიდამოებით, ჩრდილოეთით – მუხრანის ველით, ხოლო სამხრეთით – საწკეპელა-დიდგორის ქედით. ეს იქნებოდა, ასე ვთქვათ, დიდი მცხეთა და მისი მიდამოები" (აფაქიძე და სხვა 1955, 3). მას შემდეგ ამ ტერიტორიას „დიდი მცხეთის" სახელი დაუმკვიდრდა და არქეოლოგიურ პუბლიკაციებში ფიგურირებდა, როგორც ერთი ქალაქისა და მისი უბნების აღმნიშვნელი ცნება (აფაქიძე 1963, 245; აფაქიძედა სხვა 1978, 5; კალანდაძე 1980, 8).

40 სტრაბონის სევსამორა მელიქსეთ-ბეგმა წიწამურთან გააიგივა (მელიქსეთ-ბეგი 1917). ქალაქი სევსამორა არქეოლოგიურად დადასტურებული არ არის. გამოვლენილი იქნა ფორტიფიკაციის მცირე ფრაგმენტები - ქვის მრგვალი ცოკოლი თანამედროვე სოფელი წიწამურის მაღლა მდებარე წიწამურის სერზე (აფაქიძე 1958).

ერთი და იმავე ქალაქის ორი ნაწილი, ვინაიდან ასე ახლო მანძილზე ორი დამოუკიდებელი ქალაქის არსებობა დამაჯერებელი არ არის" (ჯანაშია 1945). ამას ისიც დაერთო, რომ ს. ჯანაშიამ არმაზი მცხეთის უბნად განსაზღვრა, რადგანაც, მისი აზრით, არმაზი მცხეთის ციხე-სიმაგრე იყო, ისევე როგორც კალა თბილისის (ჯანაშია 1949, 11). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1930-იან წლებში ს. ჯანაშია სხვაგვარად ფიქრობდა. ის თვლიდა, რომ ქართლის პირველი დედაქალაქი არმაზი იყო (ჯანაშია 1949, 10). ჯანაშიას გვიანდელი მოსაზრება კიდევ უფრო განავრცო დ. მშვენიერაძემ, რომელიც ფიქრობდა, რომ მცხეთა სამი უბნისაგან – მცხეთა, წიწამური, არმაზი – შედგებოდა (მშვენიერაძე 1952, 23). ა. აფაქიძემ ტერმინი „დიდი მცხეთა" და მისი უბნების იდეა მტკვრისა და არაგვის ორივე სანაპიროზე გაავრცელა და მცხეთის ფარგლებში არა მარტო არმაზი და წიწამური, არამედ ნაქულბაქევი, მუხათგვერდი, კარსნისხევი, მოგვთაკარი, არმაზისხევი, მარტაზისხევი, სარკინე და სხვა ნასახლარებიც მოაქცია (აფაქიძე 1959, 7; 1963, 178, 245).

ეს ტერიტორია დაახლოებით 15 კვ$^2$ მოიცავს და ლანდშაფტის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მას ჩრდილოეთით საგურამოს ქედი და არაგვის ჭალები ესაზღვრება, სამხრეთით მტკვრის სამხრეთი სანაპირო ზაჰესამდე, აღმოსავლეთით წიწამურის ველები, ხოლო დასავლეთით მთა ქართლი და მტკვრის სამხრეთი სანაპირო არმაზისხევამდე. სხვადასხვა ფუნქციის დასახლებები და სიმაგრეები ერთმანეთისგან საკმაოდ მოშორებით იყო განლაგებული ამ ფართობზე. მცხეთა არმაზიდან 2 კმ ჩრდილოეთით, მტკვრის მოპირდაპირე ნაპირზე მდებარეობდა, წიწამური კი მცხეთიდან 5 კმ დასავლეთით – არაგვის მოპირდაპირე მხარეს. სხვა დასახლებები მცხეთიდან 7 კმ იყო დაშორებული. ცხადია, დასახლებების ამგვარი კონფიგურაცია ერთ საქალაქო სივრცეში ვერ გაერთიანდებოდა. ასეთი მასშტაბები, მთების, ქედების, ხეობებისა და მდინარეების სიმრავლე, არათუ რომაული ან გვიან ანტიკური ხანის ქალაქისთვის, არამედ მრავალი თანამედროვე ქალაქისთვისაც რთულად ასათვისებელი და რაც მთავარია, ძნელად სამართავი იქნებოდა. ასე რომ, წერილობით წყაროებში მცხეთასთან მიმართებით ნახსენები ეპითეტი „დიდი" სრულებითაც არ გუ-

ლისხმობს ქალაქის ტერიტორიულ სიდიდეს. ის ქალაქი მცხეთის განსაკუთრებულ სტატუსს უსვამს ხაზს და მის აღმატებულ ხარისხზე მეტყველებს (ყიფიანი 2010 ა, 105).

ამგვარად, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ პტოლემაიოსის მცხე-თა (მესტლეტა) და არმაზი (ჰარმასტიკა) ორი სხვადასხვა ქალაქი იყო, როგორც მიიჩნევდნენ მე-20 საუკუნის დასაწყისის ღირსშესანიშნავი მეცნიერები პლატონ იოსელიანი (იოსელიანი 1850, 53), გიორგი ნატროევი (ნატროევი 1900, 3-53) და ლეონ მელიქსეთ-ბეგი. მელქსეთ-ბეგი ფიქრობდა, რომ მცხეთის დაწინაურებასთან ერთად, არმაზის პოლიტიკური და რელიგიური მნიშვნელობა შესუსტდა და ის მცხეთის რაბატად გადაიქცა წინარექრისტიანულ ხანაში (მელქსეთ-ბეგი 1938, 58).

ჩემმა კვლევებმაც აჩვენა, რომ არმაზი ელინისტური ხანიდან დამოუკიდებელი ქალაქი იყო და რომ მცხეთა მეორე საუკუნიდან ვითარდება როგორც ურბანული ცენტრი (დემეტრაძე 2014, 120-150; დემეტრაძე-რენცი 2022, 337-403).

მცხეთის ურბანული განვითარება და ქვეყნის პოლიტიკურ-რელიგიურ ცენტრად ქცევა არ ნიშნავდა არმაზის ან რომელიმე სხვა დასახლების მის ტერიტორიულ საზღვრებში გაერთიანებას. დასახლებების სუბორდინაცია და მცხეთის დომინანტობა, პირველ რიგში, გადასახადების აკრეფასა და ბაჟის გადახდაში უნდა გამოვლენილიყო. ჩვენ არ გაგვაჩნია რომაული იმპერიული პერიოდის ან გვიან ანტიკური ხანის საგადასახადო ჩანაწერები, მაგრამ შემოგვრჩა შუა საუკუნეების ქართული იურიდიული დოკუმენტები – გუჯრები, რომლებიც მცხეთის გაბატონებულ პოზიციას აჩვენებენ. მე-14 – მე-16 და მე-18 საუკუნეებში მცხეთისა და მისი კათალიკოსის კუთვნილებაა არმაზის მონასტერი თავისი ციხით, ნაქულბაქევი, მუხათგვერდი და მრავალი სხვა შორიახლო მდებარე სოფელი თავისი გლეხებითურთ (ჟორდანია 2018, 195-198, 239-240, 244).

არქეოლოგიურმა მონაცემებმა პირველი-მეოთხე საუკუნეების მცხეთაში კარგად სტრატიფიცირებული საზოგადოება წარმოაჩინა. ადგილობრივ ელიტას, რომელიც რომაულ ზეგავლენას განიცდიდა, ცხოვრების მაღალი სტანდარტები ჰქონია. ამაზე მიუთითებს

მდიდრული სამარხები და იქ აღმოჩენილი რომაული წარმომავლობის პერსონალური ნივთები, მაგალითად, ექსკლუზიური ოქროს სამკაული და ვერცხლის სუფრის ჭურჭელი, მინისა და ნახევრადძვირფასი მასიური ქვის სანელსაცხებლები. ამ დროიდან იკვეთება წერა-კითხვის მცოდნე სოციალური ფენა. აღსანიშნავია, რომ დღემდე მხოლოდ თანამედროვე მცხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი სტილოსები. სავარაუდოდ, სამოქალაქო მმართველობითი სტრუქტურები, რომლებიც დამწერლობას ეფუძნებოდა, სწორედ, მცხეთისთვის გახდა კარდინალური. წერა-კითხვის მცოდნე ხალხს მნიშვნელოვანი ადგილი ექნებოდა არა მარტო ქალაქის ადმინისტრაციაში, არამედ სოციალურ და რელიგიურ საქმიანობასა და ვაჭრობაში.

„მოქცევაი ქართლისაი" მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ქრისტიანობის გავრცელებამდე, მცხეთას ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად წარმოსახავს. ამ წყაროს მიხედვით, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მეფის სასახლე და სამეფო ბაღი სვეტიცხოვლის ტაძრის ამჟამინდელ ეზოში უნდა ყოფილიყო (კაკაბაძე 1928, 3-4. გრიგოლია 1954, 71; აფაქიძე 1959, 55). ჩვენ არ გვაქვს საკმარისი არქეოლოგიური მასალა, რომ ეს მოსაზრება დავადასტუროთ, ან უარვყოთ, მაგრამ სვეტიცხოვლის საძირკველსა და ეზოში აღმოჩენილი ნახევარსვეტის კომპოზიტი ორდერები, შესაძლოა, მეფის სასახლის არქიტექტურული შემკულობა ყოფილიყო, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებამდე იდგა იმ ადგილას.

სამოქალაქო სტრუქტურები გვიან ანტიკურ ხანაში კიდევ უფრო განვითარდა. მეოთხე-მეხუთე საუკუნეების წარწერებმა მოქალაქეების პროფესიები და სოციალური სტატუსი გამოავლინა. გარკვეული სამშენებლო უნარების მქონე პირები პროფესიულ კავშირებში იყვნენ გაერთიანებულნი. ავრელიოს აქოლისი მცხეთის არქიტექტორთა ან მშენებელთა გაერთიანების წევრი ყოფილა. გაერთიანებას თავისი მეთაური აქილევსი ჰყოლია. ხელოსანთა ამგვარი ორგანიზაციული სტრუქტურა მსგავსია პროფესიული გაერთიანებებისა თუ გილდიებისა, რომლებიც რომის რესპუბლიკიდან დაწყებული არსებობდა რომაულ სამყაროში (ნიფი 1997; ლიუ 2013, 352-367;

ვერბოვენი 2016, 173-202). სახელი აქოლისიც მრავალ წარწერაში გვხვდება, მაგალითად, სარდისის ბერძნულენოვანი სამშენებლო წარწერიდან ვგებულობთ, რომ აქოლისი იმდენად კარგი მშენებელი და ორგანიზატორი ყოფილა, რომ მის პატივსაცემად მისი ძეგლიც კი აღუმართავთ (ფოსი 1976, 115). ავრელიოსის გვარი კი სარდისის მრავალ სხვადასხვა ტიპის წარწერაშია მოხსენიებული. მათ რიცხვშია სინაგოგის ერთი შეწირვითი ხასიათის წარწერაც. როგორც ჩანს, გვარი ავრელიოსი საკმაოდ გავრცელებული იყო სარდისის სინაგოგის წევრებსა და ზოგადად ამ ქალაქის მოქალაქეებს შორის, მაგალითად, ავრელიოს ოლიმპიოსი, ავრელიოს ელოგიუსი, ავრელიუს პოლიჰიპოსი, ავრელიოს ალექსანდროსი და ავრელიოს სიმეონიოსი. ერთი წარწერა ავრელიუს ჰერმოგენეს პროფესიასაც გვატყობინებდა. ის იუველირი თუ ოქრომჭედელი ყოფილა (ჰანფმანი 1970, 39-40; ქროლი 2001, 13-17, 43). ზოგიერთ წარწერაზე სახელი ავრელიოსი ამგვარად იყო შემოკლებული „ავრ.", ზუსტად ისე, როგორც ანტიოქიის ეკლესიაში აღმოჩენილ წარწერაზე.

ხელოსანთა ორგანიზაცია მცხეთაში რომაული გავლენის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო, რასაც გ. ლორთქიფანიძეც აღნიშნავდა (ლორთქიფანიძე 2004, 155). ხელოსნები რომის იმპერიაში ორგანიზაციულ სტრუქტურებში იყვნენ გაერთიანებულნი. მეორე საუკუნის პროფესიული მუშების გაერთიანებების/გილდიებისა და მათი წესების შესახებ პლუტარქეს თხზულებიდან ვიგებთ. ხელობის მიხედვით, პლუტარქე მათ მუსიკოსებად, ოქრომჭედლებად, ხუროებად, ფართლეულით მოვაჭრეებად, ტყავის დამმუშავებლებად, მეჩირაღდნეებად, კურიერებად, მეთუნეებად და ა.შ. ყოფდა. ვაჭრები ცალკე ჯგუფში იყვნენ გაერთიანებულნი. პროფესიული ორგანიზაციები თავიანთ წევრებზე ზრუნავდა. მათ ჰყავდათ საერთო მფარველი ღმერთი, აწყობდნენ სხვადასხვა სოციალურ აქტივობებს და ბოლოს ღირსეულად დაკრძალვას უზრუნველყოფდნენ (პლუტარქე, ნუმას ცხოვრება 17, 2; ულრიჩი 2007, 9). პროფესიული კავშირების წევრებს თავიანთი შრომითა და გამოცდილებით სპეციფიკური უნარები და ცოდნა უგროვდებოდათ, რომლის გამოყენებითაც თავის რჩენა შეეძ-

ლოთ. ლათინურენოვანი ხალხი ამ უნარების ფლობასა და საქმის კარგად შესრულებას ხელოვნებას (artes) უწოდებდა. აქედან გამომდინარე, არსებობდა სამხედრო ხელოვნება (artes military) ან სახალხო სიტყვის წარმოთქმის ხელოვნება (artes dicendi) და სხვა (ულრიჩი 2007, 6).

უცნობია, როდის შეიქმნა ხელოსან-მშენებელთა გაერთიანება მცხეთაში, მაგრამ, ვფიქრობ, მისი წარმოქმნა კონსტანტინე დიდის მიერ ვაჭრებისთვის და ხელოსნებისთვის გადასახადების დაწესებას უნდა უკავშირდებოდეს. მეოთხე საუკუნის დასაწყისში რომაელი ვაჭრები და ხელოსნები უნდა გაერთიანებულიყვნენ შესაბამის გილდიებში, რათა ქალაქის მოხელეებს ადვილად შეეგროვებინათ გადასახადები. ეს იყო ძალიან მძიმე გადასახადი – collatio lustralis, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ეკისრებოდათ ვაჭრებს, ხელოსნებსა და მევახშეებს (ულრიჩი 2007, 12).

ჩვენ არ გაგვაჩნია საკმარისი არქეოლოგიური ან წერილობითი მასალა იმისთვის, რომ განვიხილოთ მცხეთის ხელოსანთა გილდიის გადასახადების აკრეფისა თუ გადახდის წესები. თუმცა, ამგვარ გილდიებთან მსგავსება აშკარაა ავრელიოს აქოლისის დაკრძალვის წესის მიხედვით. რომაული პროფესიული გაერთიანებები თავიანთ წევრებს მთელ რიგ სოციალურ აქტივობებს სთავაზობდნენ. სიცოცხლის ბოლოს კი მათ ღირსეულ დაკრძალვას უზრუნველყოფდნენ. ავრელიოს აქოლისის შემთხვევაში, ის და მისი მეუღლე ბევრაზურია ღირსეულად დაუსაფლავებიათ, რაც კარგად ჩანს დიდი ზომის საგანგებოდ გამოთლილ და მოჩარჩოებულ საფლავის ქვასა და ეპიტაფიაზე. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ამგვარი საფლავის ქვები იშვიათი იყო ქართლში. უნდა ითქვას, რომ ეპიტაფიაში ჩაწერილ მუქარას ვერ დაუცვია მათი საფლავი. ავრელიოს აქოლისის საფლავი დაუნგრევიათ, ხოლო ეპიტაფია სხვა ქვაყუთის გასაკეთებლად გამოუყენებიათ. წყევლა-მუქარის შემცველი კიდევ ერთი ეპიტაფია, რომელიც საფლავის დაცვის მიზნით იყო დაწერილი, მოგვთაკარშიც (თანამედროვე მცხეთის უბანი) გამოვლინდა (ყაუხჩიშვილი 2009, 31). ამ წარწერების შინაარსებიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ საფლავის მითვისებისა და გაძარცვის შემთხვევები ყოფილა ქართლში.

მცხეთა მზარდი ქალაქია რომაული იმპერიული პერიოდიდან. გვიან ანტიკურ ხანაში მოსახლეობისა და მშენებლობის გაფართოება შეინიშნება. მოსახლეობის სიმჭიდროვით აიხსნება სვეტიცხოვლის უბანში გვიან ანტიკური ფენების ქვეშ რომაული იმპერიული ფენების არსებობა. როგორც ჩანს, ახალი შენობები ხშირად ძველის ადგილზე იგებოდა. ეს პირველი მიზეზია იმისა, თუ რატომაც არ შემორჩა საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობები მცხეთაში. მეორე მიზეზი ალიზის აგურის არქიტექტურაა. ალიზის ნაგებობები არ იყო მყარი და ადვილად ინგრეოდა. ალიზის აგურით მშენებლობა გვიან ანტიკურ ქართლში კვლავ ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც იაფი და ეკონომიური საშუალება. მეხუთე საუკუნის მცხეთის კარიბჭეც კი ალიზის აგურით იყო აგებული, მიუხედავად იმისა, რომ ახ.წ. პირველი საუკუნიდან რომაელებმა კირდუღაბითა და ქვით მშენებლობა დანერგეს.

ქალაქი და მისი საზღვრები დროთა განმავლობაში იცვლებოდა მოსახლეობის ზრდასთან ერთად. დასახლებათა კონფიგურაციის ცვალებადობა ახალი მმართველობითი და რელიგიური სისტემებისა და ტექნოლოგიების შექმნას უკავშირდებოდა (ჩანგი 1968, 3). ამ პროცესის ილუსტრირება ხდება სამთავროს ველისა და ბებრისციხის მაგალითებზე. გვიან ანტიკურ ხანაში სამთავროს ველი და ბებრისციხე მცხეთის გარეუბნები იყო და მდებარეობდა ქალაქის კარიბჭის მიღმა, რომელიც მეხუთე საუკუნის მცხეთის ჩრდილოეთ ლიმიტს წარმოადგენდა. მე-19 საუკუნის 70-იან წლებშიც კი სამთავრო მცხეთის მახლობლად მდებარე ველი იყო (ბაიერნი 1872, 1). დღეს სამთავროს ველი და ბებრისციხეც ქალაქის ცენტრშია მოქცეული.

მცხეთის, არმაზთან შედარებით, გვიანდელი ურბანული განვითარება გეოლოგიური და გეოგრაფიული სიტუაციითაც აიხსნება. უკანასკნელი ორი-სამი ათასწლეულის მანძილზე ბუნებრივი გარემო შეიცვალა, რაც მტკვრისა და არაგვის კალაპოტებსა და სანაპირო ზოლზე აისახა. რამდენიმე ათასი წლის წინ მტკვრისა და არაგვის სანაპირო ზოლი ჭალის ტყეებით უნდა ყოფილიყო დაფარული, რადგანაც მათი ცალკეული კორომები, პირველადი სახით, ახლაც შემორჩენილია

მტკვრის სანაპიროებზე თბილისსა და რუსთავში (მარუაშვილი 1971, 286-290). მდინარის სანაპიროების ნიადაგებში ტყეების ფართობის თანდათანობითი შემცირება გამოჩნდა (საბაშვილი 1965, 286-292).

მტკვრისა და არაგვის ნაპირებზე ჭალის ტყეების არსებობა პალინოლოგიურმა კვლევამაც დაადასტურა. სამთავროს რომაული იმპერიული ხანის სამარხების მიწის ნიმუშების პალინოსპექტრში შედარებით ბევრი ხე-მცენარისა და ბალახეულის მტვერი აღმოჩნდა. აღსანიშნავია მურყანისა და ისლისებრთა მტვრის მარცვლები და გვიმ-რანაირთა სპორები. მურყანი ტენის მოყვარული ხეების სახეობას განე-კუთვნება. სპექტრში მისი დომინანტობა მდინარისპირა ტერასებისა და თბილი და ტენიანი ეკოსისტემის მაჩვენებელია, ხოლო გვიმრანაირთა სპორები, კერძოდ, ერთღარიანი გვიმრების სიჭარბე ნატყევარი ადგი-ლის არსებობაზე მიუთითებს (დემეტრაძე 2014, 143-44). ამჟამად მცხე-თის სანაპირო ზოლზე ჭალის ტყეები აღარ არსებობს.

ისტორიული მცხეთა თანამედროვე ქალაქის სამხრეთ-აღმო-სავლეთ ნაწილში, მტკვრისა და არაგვის ჭალების ზედა, პირველ ალუვიურ ტერასაზე იყო გაშენებული. ტერასის სიმაღლე 1.5 მ-დან 4 მ-მდე მერყეობს. სავარაუდოდ, ეს ტერასა 2500 წლის წინ უფრო დაბალი იქნებოდა და მდინარეების ადიდების დროს დაიტბორებოდა. ამდენად, არ იქნებოდა საცხოვრებლად ვარგისი. დროთა განმავლობა-ში განხორციელებული ბუნებრივი და კულტურული მოდიფიკაციები ლანდშაფტის დიზაინს შეცვლიდა და დასახლებისთვის შესაფერისი ახალი მიწების ფორმირებას გამოიწვევდა. მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებული პროცესების გამო ტყის ფართობი შემცირდებოდა. შესაბამისად, მტკვრისა და არაგვის ხერთვისში მოქცეული ტერასა დროთა განმავლობაში ამაღლდებოდა, წყლის დონე კი დაიწევდა. ტერასა სტაბილური და საცხოვრებლად გამოსადეგი გახდებოდა, რადგანაც ტყის ფართობის შემცირება, მდინარეების სანაპირო ზოლის ცვლილება და წყლის დონის ფლუქტუაცია ურთიერთკავშირშია.

უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მტკვრისა და არაგვის სანა-პირო ზოლის აშკარა ცვალებადობას მე-19-მე-20 ს.ს. ტოპოგრაფიული რუკები და 21-ე ს. აეროფოტოები ასახავენ. სანაპირო ხაზზე დრამატუ-

ლი გავლენა ზემო ავჭალის ჰიდროელექტრო სადგურის (ზაჰესი) 1920-იანი წლების მშენებლობამ იქონია. უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები, მაფიქრებინებს, რომ ბუნებრივი და კულტურული ზეგავლენა 2000 - 3000 წლების წინაც ხდებოდა, თუმცა ნაკლებად გამოხატული ჰომოგენური ფაქტორით.

თანამედროვე მცხეთის ტერიტორიაზე დასახლებისა და ურბანული ცენტრის წარმოშობა-განვითარებაში სამი პერიოდი შეიძლება გამოიყოს. პირველია ადრე ბრინჯაოდან ელინისტურ ხანამდე, როდესაც მხოლოდ სამთავროს უბანი და მცხეთის გორა ასახავს ადამიანის საქმიანობის კვალს. მეორეა ელინისტური ხანიდან (ძვ.წ. მეორე-პირველი ს.ს.) რომაული იმპერიული ხანის დასასრულამდე (ახ.წ. მესამე ს.), როდესაც დასახლება სვეტიცხოვლის უბნის სამხრეთ ნაწილში ჩნდება, თანდათანობით იზრდება, ურბანულ ცენტრად გარდაიქმნება და მეორე საუკუნის რომაულ წყაროში იხსენიება. ხოლო მესამე გვიან ანტიკური ხანაა, როდესაც ქალაქებისთვის დამახასიათებელი სოციალური ფენები და მათი ორგანიზება იკვეთება და ისახება ახალი რელიგიური სტრუქტურები.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქართლში, სავარაუდოდ, გარკვეული პოლიტიკური არასტაბილურობა იქნებოდა, რაც პრორომაულ და პროსპარსულ ძალთა დაპირისპირებაში აისახებოდა. ქრისტიანობის მიღება რომის პოლიტიკის აღიარებას და მასთან კავშირს ნიშნავდა. პრორომაული ძალებისა და ორიენტაციის გამარჯვება ახალი რელიგიის – ქრისტიანობის მიღებაში გამოვლინდა (ლომოური 1975, 93-96). რომაულ-ირანულ პოლარულობაში ქართლის მეფეები რომის ავტოკრატიული და ბიუროკრატიული სახელმწიფოსკენ იხრებოდნენ. ეს ტენდენცია რომის ქრისტიანი იმპერატორების მეტაპოლიტიკურმა პრესტიჟმა კიდევ უფრო გააძლიერა (თუმანოვი 1963, 151).

ქალაქი მცხეთის წარმოქმნა და დაწინაურება რამდენიმე ურთიერთგანმსაზღვრელმა ფაქტორმა განაპირობა. პირველ ყოვლისა, ეს იყო პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რომის მიერ დამყარებულმა მშვიდობამ განაპირობა. პოლიტიკურმა სტაბილურობამ ეკონომიკური განვითარება და სავაჭრო

ქსელის გაფართოება გამოიწვია. ამ პერიოდში რეგიონში მაღლობზე განლაგებული ბევრი ქალაქი დაცარიელდა, ხოლო დაბლობში ახალი დასახლებები წარმოიქმნა, რადგანაც ხალხი უფრო მოსახერხებელ და ადვილად მისადგომ ადგილებში გადასახლდა. ეს პროცესები მტკვრისა და არაგვის აუზში მდებარე დასახლებებზეც აისახა. მცხეთაში მოსახლეობის ზრდა და ლოკალური მიგრაცია შეინიშნება ფერდობებიდან მდინარისპირეთში, რადგანაც მაღალ და გამაგრებულ ადგილებში ცხოვრების აუცილებლობა აღარ იყო.

მორიგი მნიშვნელოვანი ფაქტორი ლანდშაფტის ცვალებადობა იყო, რაზეც მოსახლეობისა და მისი მოთხოვნილებების ზრდა მოქმედებდა. ხე-ტყე აქტიურად გამოიყენებოდა სამშენებლო და საწვავ მასალად, მაგალითად, კერამიკული ჭურჭლის, კრამიტისა და კირქვის გამოსაწვავად. ყოველივე ეს ეკონომიკას აძლიერებდა. განვითარებული ეკონომიკა ტყეების გაჩეხას გამოიწვევდა, რის შედეგადაც შეიცვლებოდა მდინარეების სანაპირო ზოლი და ახალი, საცხოვრებლად ვარგისი მიწები წარმოიშობოდა. ყოველივე ამან ბიძგი მისცა ქალაქის წინსვლას. გაფართოვდა სატრანსპორტო და სავაჭრო ქსელი, გამდიდრდა და დაიხვეწა მოსახლეობა, რაც მდიდარი ზედაფენისა და საშუალო ფენის შექმნაში გამოიხატა. მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან მცხეთამ თბილისს დაუთმო პოზიციები, რომელიც ჯერ ქართლის დედაქალაქი გახდა, ხოლო მე-12 საუკუნიდან – გაერთიანებული საქართველოსი.

# ბოლოთქმა

ურბანიზაციის ნიშნები ქართლში, არქეოლოგიური წყაროების მიხედვით, ელინისტური პერიოდის დასასრულსა და რომაული იმპერიული ხანის დასაწყისში ჩნდება. ეს ის დროა, როდესაც რომაელების სამხედრო ექსპანსიამ სამხრეთ კავკასიას მიაღწია. პომპეუსის ექსპანსია რომაელი იმპერატორების მიერ თანდათანობით მშვიდობიანი და დიპლომატიური პოლიტიკით შეიცვალა. იმპერა-ტორების ქართლისადმი დამოკიდებულებას მცირე აზიაში შექმნილი პოლიტიკური და სამხედრო ვითარება განსაზღვრავდა. დიო კასიუსი წერდა, რომ რომი აღმოსავლეთით ისეთ ქვეყნებს მართავდა, რომელთა არსებობა წინათ არც კი იცოდა. ამ ქვეყნების რიცხვში მცირე და დიდ არმენიასთან და ალბანეთთან ერთად აზიის იბერიაც იყო (დიო კასიუსი, რომის ისტორია, 38, 38, 4). ქართლი რომაული მცირე აზიის კონფიგურაციაში ჩაეწერა. ქვეყანა რომის კლიენტი სამეფო გახდა, სადაც რომაული გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ურბანიზაციის პროცესებშიც კი გამოვლინდა. არმაზისა და მცხეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ქართლში რომაული ურბანიზაციის მოდელს ვხვდებით. რომაული ურბანიზმი სასახლის, სატაძრო და სხვა საზოგადოებრივი თუ კერძო შენობების არქიტექტურის გარდა, ურბანული სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და მართვაშიც გამოჩნდა. მხოლოდ მცხეთის გვიან ანტიკური ხანის მდიდრულ სამარხებში გამოვლინდა სტილოსები, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ამ ფაქტით დასტურდება, რომ მცხეთაში გაჩნდა ურბანული, წერა-კითხვის მცოდნე ელიტა, რომელსაც წერა-კითხვა ქალაქის ან ქვეყნის ეკონომიკური ან რელიგიური სტრუქტურების სამართავად ესაჭიროებოდა.

ვაჭრობისა და ეკონომიკის მართვის ერთ-ერთი საშუალება იყო საბეჭდავი-ბეჭდები. ქართლის უმაღლესი პირები სახელობით საბეჭდავ-ბეჭდებს ხმარობდნენ, რომლებიც რომაული გავლენის ადგილობრივი გამოძახილი იყო. საბეჭდავები საკუთრების ფლობის დამადასტურებელი საბუთი იყო. ნაკლებად ძვირფასი საბეჭდავები ცხოველებისა და მცენარეების გამოსახულებებით ადგილობრივ ვაჭ-რებსა თუ მეწარმეებს ეკუთვნოდათ. ადგილობრივი ვაჭრებისა და

მეწარმეების არსებობა, ქვეყანაში საშუალო ფენის არსებობას ნიშნავდა. საშუალო ფენის გაჩენა სტაბილურობას და მშვიდობიანი პოლიტიკის კურსს უკავშირდებოდა, რომელსაც რომი მცირე აზიის რეგიონში აწარმოებდა.

პირველ-მეხუთე საუკუნეებში სამარხეული და ეპიგრაფიკული მასალის საფუძველზე ქართლის მოსახლეობაში რამდენიმე სოციალური ფენა გამოიკვეთა. პირველია დიდგვაროვანთა ფენა, რომლის უმაღლესი პირი ქვეყნის გამგებელი მეფე იყო. მას ახ.წ. პირველი საუკუნის ბოლო მეოთხედიდან რომაელები ბასილევსს (მეფე ბერძნულად) უწოდებდნენ. დიდგვაროვნების ფენიდან იყვნენ ის უმაღლესი მმართველი პირები, რომლებიც უკვეთავდნენ საბეჭდავებს თავიანთი პორტრეტული გამოსახულებითა და სახელობითი წარწერებით, დადიოდნენ აბანოებში, აწყობდნენ ბანკეტებს და ხმარობდნენ ვერცხლის სუფრის ჭურჭელსა და კოვზებს. შესაძლოა, ბენეფექტორების ნაწილიც ამ ფენიდან ყოფილიყო. დიდგვაროვანთა ფენაში ქალის მდგომარეობა გამოიკვეთა. ქალები უნიკალური ოქროს სამკაულების მფლობელები გახდნენ. მათ წერა-კითხვაც იცოდნენ. ყოველივე ქალების დაწინაურებული სტატუსის არსებობაზე მეტყველებს.

მეორე საშუალო ფენას პროფესიული ხელოსნები, ვაჭრები და მეწარმეები განეკუთვნებოდნენ. მათ საბეჭდავებზე, ძირითადად, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახვა და იშვიათად, ბერძნული ასოებისა და სიტყვების, იმაზე მიგვითითებს, რომ მოსახლეობის ამ ფენამ წერა-კითხვა ნაკლებად იცოდა. ბენეფექტორების ნაწილის საშუალო ფენისადმი მიკუთვნებაც დასაშვებია.

მესამე დაბალი ფენა ქვეყნის ყველაზე ღარიბი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, რომელიც ორმოსამარხებში იკრძალებოდა და უმთავრესად თიხის ჭურჭელს ფლობდა.

რომაული ზეგავლენა ქართლში განსხვავდებოდა რომის პროვინციებისგან. ის არ გავრცელებულა ცხოვრების ყველა სფეროსა და მოსახლეობის ყველა ფენაში. დაბალი ფენები რომაული კულტურის გავლენას არ განიცდიდნენ. რომაული გავლენა არ ვლინდება ღარიბულ სამარხებში და ადგილობრივ კერამიკაში. მხოლოდ მცირეოდენი

ჭურჭელი, მესამე საუკუნის მოჭიქული კერამიკა, ავლენს მსგავსებას რომაული სირიის ნაწარმთან (მანჯგალაძე 2008, 72-75) და ერთეული შემთხვევებია ცნობილი ე.წ. ტერა სიგილატას ადგილობრივი მინაბაძისა (დემეტრაძე 2014, 150-151).

რომაული კულტურა ქართლში ელიტური იყო. ქართლელი დიდგვაროვნები მისდევდნენ რომაული ელიტური ცხოვრების წესს. ბანკეტები და აბანოები მათი ცხოვრების სტილი იყო. ბანკეტის გამართვა და აბანოში სიარული რომაული ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარე იყო, რომელსაც რომაელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ეს სოციალური აქტივობების სფერო იყო, რაც სრულიად უცხო იყო ქართლში რომის ექსპანსიამდე.

ქართლი ადგილობრივი მეფის მიერ იმართებოდა, სადაც რომაული პროვინციებისგან განსხვავებით, არ ცხოვრობდნენ რომაელი მმართველები და ადმინისტრატორები. რომის პროვინციებში ისინი მუდმივად იმყოფებოდნენ და აქტიურად ამკვიდრებდნენ რომაულ მართვის სისტემებს, წესებსა და ცხოვრების სტილს. ამიტომ, პროვინციებში ადვილად ვრცელდებოდა მართვის რომაული სისტემები, არქიტექტურა და კულტურა მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს იძულებითი იყო. რომაული გადასახადების სისტემა და პროფესიული კავშირები კარგად ორგანიზებული და შესაბამისად, ადვილი სამართავი იყო. ამიტომ, მისაღები იყო ქართლელი მმართველებისთვის, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში ავრცელებდნენ. ქართლელი მეფეები და პიტიახშები ცხოვრების რომაულ, ელიტურ სტილს მისდევდნენ, რომელიც მათთვის ზემოდან თავსმოხვეული და სავალდებულო სრულებითაც არ იყო. რომაული ცხოვრების სტილი პრესტიჟული და მოდური იყო. ქართლის დიდგვაროვნები მას ნებაყოფლობით ითვისებდნენ. ქართლელ მეფეებსა და უფლისწულებს პირადი კონტაქტები ჰქონდათ რომის იმპერატორებთან. ისინი რომში მიემგზავრებოდნენ ხოლმე. ცხადია, რომში ვიზიტი პოლიტიკური ხასიათის იყო, მაგრამ მოგზაურობის შემდეგ, საფიქრებელია, რომ თავად მეფეს და მისი ოჯახისა და ამალის წევრებს ცენტრიდან პროვინციაში გარკვეული სიახლეები ჩაჰქონდათ, რაც ელიტის ცხოვრების სტილსა და ქალაქების არქიტექტურაზე

აისახებოდა. რომაული ელიტური ცხოვრების სტილის აშკარა ილუსტრაციაა რომაული ვილების მშენებლობა არმაზისხევსა და ძალისში.

ქართლის ქალაქების პროვინციული არქიტექტურული სტილი და იაფფასიანი მშენებლობა  არ შეესაბამება სამარხებში გამოვლენილ ძვირფას სამკაულსა და სუფრის ჭურჭელს. დიდი სხვაობაა არქიტექტურასა და პირადი მოხმარების ფუფუნების საგნებს შორის. აშკარაა ამ ნივთების რომაული წარმოშობა და  მათი იმპორტი ქართლში. შესაძლოა, ისინი თავად რომაელ მმართველებსა და გენერლებს, ან სულაც იმპერატორებს საჩუქრად გაეგზავნათ ქართლელი მეფეებისთვის. ასევე შესაძლებელია, ისინი მრავალრიცხოვან ომებსა და ლაშქრობებში მოპოვებული ნადავლი იყოს, რომლებშიც იბერიელი მეფეები და დიდგვაროვნები თავიანთი ჯარებით იბრძოდნენ ხან რომაელების მხარეს, ხან კი მათ წინააღმდეგ.

როდესაც იბერიელებს რომაელების მხარე ეკავათ, ისინი რომისგან გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ. რომის საგარეო პოლიტიკის ნაწილი იყო სამხედრო თუ სხვა სახის სამსახურისთვის კლიენტი სამეფოების ადგილობრივი მმართველების დასაჩუქრება, მათთვის ფულის გადახდა. ქართლში 500-მდე რომაული მონეტაა აღმოჩენილი. საკითხავია თუ რა იყო მათი ინფილტრაციის მიზეზი, რადგანაც რომაულ იმპერიულ ხანაში ქართლში ფულადი ეკონომიკა არ არსებობდა. ადგილობრივი ფული მეექვსე საუკუნემდე არ იჭრებოდა. არც ისაა ცნობილი, თუ რისი ექსპორტირება ხდებოდა ქვეყნიდან და რაში შეიძლება ყოფილიყო გადახდილი უცხოური ფული. უცხოური მონეტებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ავგუსტუსის დენარებია (დაახლოებით 350 ცალი). ისინი ყველა ერთ, ლუგდუნუმის (გალია, თანამედროვე ლიონი) ზარაფხანაში, ერთ დროს, ძვ.წ. 2 - ახ.წ. 4 წლებშია მოჭრილი (დუნდუა, დუნდუა 2006, 122-124; შეროზია 2008, 238-240). ავგუსტუსის ვერცხლის მონეტები ნერონის ფულის რეფორმამდე ცირკულირებდა, თუმცა, ძირითადად იმპერიის დასავლეთ ნაწილში (ბუჩერი, ფონთინგი 2014, 688-691). საფიქრებელია, რომ რომაელები ამ ფულს ქართლის უმაღლეს პირებს გარკვეული სამსახურისთვის უხდიდნენ.

რომაული გავლენა ქართლში რამდენიმე გზით ვრცელდებოდა.

